

524
1955



საქართველოს სსრ

გეოგრაფიული მუნიციპალიტეტი

ე მ ა მ გ ე

გოგო XVI, № 6

ძირითადი, ძარღის გამოცემა

1955

საქართველოს სსრ გეოგრაფიული მუნიციპალიტეტის გამოცემების
თბილისი

მ ი ნ ა რ ს ი

მათემატიკა

1. ა. ვალფიში. ზოგიერთი მოდულარული ფორმის კოეფიციენტების ჯამების შესახებ	417
დარჩენილი თაორიგი	
2. გ. ჩხიკვაძე. შედგენილი პრიზმული ძელის წყვილძალით ირიბი ღურვა	425
ფიზიკა	
3. ვ. ჭავჭავაძე. ურთიერთმოქმედ ბოზონ-ფერმიონული ველების განტოლებათა სისტემის საკითხისათვის	431
გეოფიზიკა	
4. დ. ღონილაძე და ლ. პაპინაშვილი. თოვლის ზვავის მიერ უძრავ წინააღმდეგობაზე დარტყმით გამოწვეული ძალის გაანგარიშება	437
მიმოხილვა	
5. ლ. ჩიგოგიძე და რ. ლალიძე. მ-ქლოროთილბენზოატის მიღების ახალი პრეპარატული მეთოდი	443
გეოგრაფია	
6. პ. კოვალიოვი. ბაქსანის ზემო ნაწილის თანამედროვე გაყინვარების ზოგიერთი ნიშანი	447
გეოლოგია	
7. მ. რუბინიშტეინი. საქართველოს ზოგი მაგმური წარმონაქმნის აბსოლუტური ასაკის შესახებ	453
პალეოციოლოგია	
8. ლ. გაბუნია. <i>Bovinae</i> -ს ახალი წარმომადგენელი აღმოსავლეთ საქართველოს ზედა მიოცენიდან	459
მეცნიერებები	
9. პ. შენგელია. დაწევვის გამოყენება ზანმოკლე რეგულირების დროს	461
მეტალურგია	
10. რ. აგლაძე (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი) და ა. გონგლიაშვილი. ელექტროლიზით რეინის მიღების საკითხისათვის . .	467
11. ფ. თავაძე, ქ. დოლიაშვილი და მ. ნაბიჭვარიშვილი. თერმული დამუშავების გავლენა მანგანუმ-ნახშირბადინი შენადნიბების მდგრადობაზე	475
ექსპერიმენტული მედიცინა	
12. გ. ზირიშვილი. სისხლის ქლორიდების რაოდენობრივი ცვლილებები ცოდნილი ნერვების გადაკეთის შემდეგ	481
ხელოვნების ისტორია	
13. ლ. შერვაშიძე. „ვეფხისტყაოსნის“ 1646 წლის ხელნაწერის მინიატურების ავტორობის შესახებ	487

მათემატიკა

ა. ვალეშიშვილი

ზოგიერთი მოდულარული ფორმის კოეფიციენტების ჯამების
შესახებ

(წარმადგინა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა 7.1.1955)

წინამდებარე შრომაში n, N აღნიშნავს დადებით მთელ რიცხვებს; $h, q,$
 t, u, σ —ნამდვილ რიცხვებს; d, g, j, l, p, v, y —დადებით რიცხვებს; $k \geq 2,$
 $x \geq 1, 0 < \varepsilon < 1; b, c, w, \zeta$ აღნიშნავს კომპლექსურ რიცხვებს; $\tau = u + vi,$
 $s = \sigma + ti.$ საჭიროების შემთხვევაში, ამ ასოებს ვიხმართ ინდექსებითა და
აქცენტებით. ვთქვათ,

$$\exp(z) = e^z, \quad e(z) = \exp(2\pi iz).$$

შემდეგ,

$$F(\tau) = \sum_{n=1}^{\infty} c_n e\left(\frac{n\tau}{N}\right) \quad (1)$$

წარმოადგენს — k განზომილების, N ზუსტი საფეხურისა და მულტიპლიკა-
ტორთა რომელილაც სისტემის ნებისმიერი მთელი მოდულარული ფორ-
მის $e\left(\frac{\tau}{N}\right)$ რიცხვის ხარისხების მიხედვით გამწერივებას, რომელიც ნულად
იქცევა ფუნდამენტალური არის ყველა რაციონალურ წვეროში, მაგრამ იგი-
ვურად ნულის ტოლი არ არის. ასეთ მოდულარულ ფორმას უძრავოდ ვუ-
წოდოთ ნულფორმა, ამასთანავე ნულფორმა უმულტიპლიკატოროდ, თუ მისი
ყველა მულტიპლიკატორი ერთის ტოლია. ნულფორმის განსაზღვრა მოცემუ-
ლია პეტერსონთან ([6], გვ. 217). აღნიშნოთ


$$C(x) = \sum_{1 \leq n \leq x} c_n, \quad C[x] = \sum_{1 \leq n \leq x} |c_n|. \quad (2)$$

a_1, a_2, a_3 შესაფერი დადებითი რიცხვებია, რომლებიც დამოკიდებულია მარ-
ტო $F(\tau)$ -ზე. B ასოთი უინდექსოდ აღინიშნება რიცხვები, რომელთა მოდუ-
ლები არ აღმატება a_n რიცხვთა ტიპის საზღვრებს. თუ ζ არ არის უარყო-
ფითი რიცხვი ან ნული, მაშინ

$$\zeta^h = \exp(h \log \zeta), \quad |\operatorname{Im} \log \zeta| < \pi; \quad (3)$$

მაგალითად,

$$\left(\frac{Ny i}{2\pi}\right)^{-k} = \left(\frac{Ny}{2\pi}\right)^{-k} e\left(-\frac{k}{4}\right).$$



ამავე სახელწოდების შრომაში [8] მთელრიცხვითი განზომილების უმულტიპლიკატორო ნულფორმისათვის დამტკიცებულ იქნა შეფასება

$$\int_1^x |C(y)|^2 dy = a_1 x^{k+\frac{1}{2}} + B x^k \log^2 2 x, \quad (4)$$

საიდანაც, კერძოდ, გამომდინარეობდა

$$C(x) = \Omega\left(\frac{\frac{k}{2} - \frac{1}{4}}{x^2}\right). \quad (5)$$

(4) ფორმულის დამტკიცება მაინც ძალაში რჩება, რაიმე ცვლილების გარეშე, ჩვენს ზოგად შემთხვევაშიც, როცა k ნებისმიერი ნამდვილი რიცხვია ≥ 2 და გვაძეს მულტიპლიკატორები. ასევე ჰქვეს ფორმულები, რომლებსაც ქვემოთ ვიმოწმებთ, მიღებულ იქნა ასეთი კერძი სახის ნულფორმებისათვის, მაგრამ მათი დამტკიცება ძალაში რჩება ჩვენს ზოგად შემთხვევაშიც (ამას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ პეტერბურგში [6], გვ. 230).

წინამდებარე წერილში მოცემულია (5) შეფასების სხვა, უშუალო დამტკიცება, ამასთანავე მიიღება რამდენადმე უფრო ზუსტი შედეგი. რამდენადაც $F(\tau)$ არის k განზომილების, N საფეხურის ნულფორმა, ამიტომ $\tau^k F(\tau)$ შეიძლება გავამწყრივოთ $e\left(-\frac{1}{N\tau}\right)$ -ს ხარისხების მიხედვით მუდმივი წევრის გარეშე, ვთქვათ,

$$\tau^k F(\tau) = \sum_{n=1}^{\infty} b_n e\left(-\frac{n}{N\tau}\right). \quad (6)$$

ამას გარდა (ვ. კე, [2], გვ. 221),

$$F(\tau) = B v^{-\frac{k}{2}}. \quad (7)$$

შემდგომ გამოყენებულ იქნება მხოლოდ $F(\tau)$ ფუნქციის გაშლა (1), (6) ხარისხებან მწყრივებად და (7) შეფასება. ამიტომ ჩვენი მსჯელობა ვრცელდება ნებისმიერ ფუნქციებზე, რომელიც ამ სამ პირობას აკმაყოფილებენ მაშინაც კი, როდესაც ისინი არ წარმოადგენენ მოდულარულ ფორმებს. (7) და (3) ძალით,

$$\tau^k F(\tau) = B(u^2 + v^2)^{\frac{k}{2}} v^{-\frac{k}{2}} = B v^{-\frac{k}{2}} \left(-\frac{1}{\tau} = u' + v'i \right). \quad (8)$$

(1), (2), (6), (7) და (8)-დან მიიღება შეფასებები ([2], გვ. 222; [3], გვ. 8)

$$c_n = B n^{\frac{k}{2}}, \quad C[x] = B x^{\frac{k}{2} + \frac{1}{2}}, \quad b_n = B n^{\frac{k}{2}}, \quad (9-11)$$

$$\sum_{1 \leq n \leq x} |b_n| = B x^{\frac{k}{2} + \frac{1}{2}}. \quad (12)$$



(10)-ის საფუძველზე, მშკრივი

$$Z(s) = \sum_{n=1}^{\infty} \frac{c_n}{n^s} \quad (13)$$

აბსოლუტურად კრებადია $\sigma > \frac{k}{2} + \frac{1}{2}$ ნახევარსიბრტყეში და მასში წარმოადგენს რეგულარულ ფუნქციას. ამ ფუნქციის შესახებ დაგამტკიცოთ შემდეგი ლემა:

ლემა 1. $Z(s)$ მთელი ფუნქციაა. თუ $\sigma < \frac{k}{2} - \frac{1}{2}$, მაშინ

$$\Gamma(s) Z(s) = i^{-k} \left(\frac{N}{2\pi} \right)^{k-2s} \Gamma(k-s) \sum_{n=1}^{\infty} b_n n^{s-k}, \quad (14)$$

ამასთან მშკრივი მარჯვენა ნაწილში აბსოლუტურად კრებადია.

დამტკიცება ამ ლემისა მიმღინარეობს ძეტაფუნქციის ფუნქციონალური განტოლების რიმანის ერთ-ერთი დამტკიცების ნიმუშით (იხ. ტიტემარში [7], გვ. 29—31 და ვარდი [1], გვ. 173). ვთქვათ,

$$\frac{2\pi i \tau}{N} = -w, \quad (15)$$

საიდანაც w წარმოადგენს ნებისმიერ რიცხვს დადებითი ნამდვილი ნაწილით. მაშინ, (1)-ის საფუძველზე,

$$F(\tau) = H(w) = \sum_{n=1}^{\infty} c_n e^{-nw}. \quad (16)$$

ახლა ვაჩვენოთ, რომ

$$\begin{aligned} H(y) &= B \exp\left(-\frac{i}{N^2 y}\right), \quad \text{თუ } 0 < y \leq 1, \\ &= B \exp\left(-\frac{i}{2} y\right), \quad \text{თუ } y > 1. \end{aligned} \quad (17)$$

(15), (16) და (6)-ის ძალით,

$$H(y) = F\left(\frac{Ny i}{2\pi}\right) = \left(\frac{Ny i}{2\pi}\right)^{-k} \sum_{n=1}^{\infty} b_n \exp\left(-\frac{4\pi^2 n}{N^2 y}\right). \quad (18)$$

აქედან, თუ $0 < y \leq 1$, მაშინ, (11)-ის თანახმად,

$$\begin{aligned} H(y) &= B y^{-k} \sum_{n=1}^{\infty} n^{\frac{k}{2}} \exp\left(-\frac{4\pi^2 n}{N^2 y}\right) = B y^{-k} \sum_{n=1}^{\infty} \exp\left(-\frac{2n}{N^2 y}\right) \\ &= B y^{-k} \exp\left(-\frac{2}{N^2 y}\right) = B \exp\left(-\frac{i}{N^2 y}\right). \end{aligned}$$

тако \$y > 1\$, то из (16) и (9)-ыи саломит,

$$H(y) = B \sum_{n=1}^{\infty} n^{\frac{k}{2}} e^{-ny} = B \sum_{n=1}^{\infty} \exp\left(-\frac{1}{2} ny\right) = B \exp\left(-\frac{1}{2} y\right).$$

Амнот (17) Шефасеъдеъди да мөркүйгүйдүлди. Рөнгүа \$\sigma > \frac{k}{2} + \frac{1}{2}\$, (16)-даң гаамандылардан аржондыс

$$\int_0^{\infty} y^{s-1} H(y) dy = \int_0^{\infty} y^{s-1} \sum_{n=1}^{\infty} c_n e^{-ny} = \sum_{n=1}^{\infty} c_n \int_0^{\infty} e^{-ny} y^{s-1} dy, \quad (19)$$

Шашасаңдаамж, (13)-ыи саломит,

$$\Gamma(s) Z(s) = \int_0^{\infty} y^{s-1} H(y) dy. \quad (20)$$

(19)-ди мөчкүрүүгүүс үйүнкөндөрүүгүү өндүрүгүйдүү гаамаңтадылдулди. Амнот, рөнг

$$\sum_{n=1}^{\infty} |c_n| \int_0^{\infty} e^{-ny} y^{s-1} dy = \Gamma(s) \sum_{n=1}^{\infty} \frac{|c_n|}{n^s},$$

Амасатада мөчкүрүүгүү өңөрүнүүгүү 2-ди (10)-ыи таңасбамад.

(17) Шефасеъдеъди саломит, (20) өтөллөндөс мөркүүнүн ңащылди аркында \$s\$-ыи мөтөлди ფүнкшүриа, саидананаң мөркүүнүн ңащылди үйүнкөндөрүүнүн мөтөлди ფүнкшүриа, Қаңғаңанаң \$\Gamma(s)\$ ფүнкшүриаңын ңүллөбди ар ажырас, амнигүйд \$Z(s)\$ мөтөлди ფүнкшүриа. Заткызаат, аხлоо \$\sigma < \frac{k}{2} - \frac{1}{2}\$. То из (20) и (18)-даң гаамандылар

$$\Gamma(s) Z(s) = \left(\frac{Ni}{2\pi}\right)^{-k} \int_0^{\infty} y^{s-k-1} \sum_{n=1}^{\infty} b_n \exp\left(-\frac{4\pi^2 n}{N^2 y}\right) dy$$

$$= \left(\frac{Ni}{2\pi}\right)^{-k} \int_0^{\infty} y^{k-1-s} \sum_{n=1}^{\infty} b_n \exp\left(-\frac{4\pi^2 ny}{N^2}\right) dy \quad (21)$$

$$= \left(\frac{Ni}{2\pi}\right)^{-k} \sum_{n=1}^{\infty} b_n \int_0^{\infty} y^{k-1-s} \exp\left(-\frac{4\pi^2 ny}{N^2}\right) dy \quad (22)$$

$$= \left(\frac{Ni}{2\pi}\right)^{-k} \left(\frac{N}{2\pi}\right)^{2k-2s} \Gamma(k-s) \sum_{n=1}^{\infty} b_n n^{s-k},$$

რაც (14) ტოლობას ამტკიცებს. ამ ტოლობის მარჯვენა ნაწილის მწყრივი, (12)-ის ძალით, აბსოლუტურად კრებადია, რამდენადაც $\sigma - k < -\frac{k}{2} - \frac{1}{2}$.

მწყრივის წევრობრივი ინტეგრება, (21)-დან (22)-ზე გადასვლისას, დასაშვებია, რადგან

$$\sum_{n=1}^{\infty} |b_n| \int_0^{\infty} y^{k-1-\sigma} \exp\left(-\frac{4\pi^2 ny}{N^2}\right) dy = \sum_{n=1}^{\infty} |b_n| n^{\sigma-k} \int_0^{\infty} y^{k-1-\sigma} \exp\left(-\frac{4\pi^2 y}{N^2}\right) dy,$$

ამასთან მწყრივი მარჯვნივ კრებადია.

შემდეგი ლემა წარმოადგენს ლანდაუს ერთი უფრო ზოგადი თეორემის ქმრობ სახეს.

ლემა 2. ვთქვათ, მოცემულია რიცხვთა მიმდევრობა c_1, c_2, \dots, c_m , რომელთაგან ერთი მაინც განსხვავებულია ნულისაგან. ვთქვათ, შემდეგ, ამ მიმდევრობას შეიძლება შევუსაბამოთ ისეთი h, j, d, q რიცხვები და ისეთი ორი მიმდევრობა z_1, z_2, \dots და l_1, l_2, \dots , რომ შესრულებული იყოს შემდეგი პირობები:

$$1) 0 < l_1 < l_2 < \dots; \quad \lim_{n \rightarrow \infty} l_n = \infty;$$

$$2) (13) \text{ მწყრივი } \alpha \text{ აბსოლუტურად } \text{ კრებადია, } \text{ როცა } \sigma > j; \\ Z(s) \text{ მთელი } \text{ ფუნქციაა;}$$

$$3) \text{ მწყრივი } \sum_{n=1}^{\infty} z_n l_n^s \text{ აბსოლუტურად } \text{ კრებადია, } \text{ როცა } \sigma < 0;$$

$$4) \text{ როცა } \sigma < 0, \text{ მაშინ}$$

$$\Gamma(h + ds) Z(s) = \Gamma\left(q + \frac{1}{2} - ds\right) \sum_{n=1}^{\infty} z_n l_n^s;$$

5) σ_1, σ_2 რიცხვთა ყოველ წყვილს, სადაც $\sigma_2 > \sigma_1$, შეესაბამება რომელიღაც მუდმივი $g = g(\sigma_1, \sigma_2)$, რომლისთვისაც აღგილი აქვს შეფასებას

$$Z(s) = O(e^{\theta|t|}), \text{ როცა } \sigma_1 \leq \sigma \leq \sigma_2, |t| \geq 1. \quad (23)$$

ვთქვათ, n_0 არის უმცირესი რიცხვი n , რომლისთვისაც $z_n \neq 0$, და

$$z_{n_0} = \frac{1}{w}, \quad \sum_{1 \leq n \leq x} c_n = C(x). \quad (24)$$

მაშინ არსებობს რიცხვთა ორი მიმდევრობა x_1, x_2, \dots და y_1, y_2, \dots, y_m , რომელიც მონოტონურად უსასრულოდ იზრდება, და რომელიღაც ჩმუდმივი, დამოკიდებული მხოლოდ $Z(s)$ -ზე, რომელთათვისაც, როცა $n = 1, 2, \dots$, შესრულებულია უტოლობანი

$$x_{n+1} < x_n + px_n^{\frac{1}{2d}}, \quad y_{n+1} < y_n + py_n^{\frac{1}{2d}}, \quad (25)$$

$$\operatorname{Re}\{wC(x_n)\} > \frac{1}{p} x_n^{\frac{q-h}{2d}}, \quad \operatorname{Re}\{wC(y_n)\} < -\frac{1}{p} y_n^{\frac{q-h}{2d}}. \quad (26)$$

Ես լրեմա հոօղենք [5] Միջակա մուտքագրությունը բավարար է ամոցալու և պահպան պահպանի համապատասխան առաջնային շարժությունը (4)-ին), ուղարկության ազդակը պահպանի մուտքագրությունը բավարար է ամոցալու և պահպան պահպանի համապատասխան առաջնային շարժությունը (4)-ին)։

1 և 2 լրեմենք գամոմգունարյան մասին առաջարկություններում։

Եթե առաջարկությունը պահպանի մուտքագրությունը բավարար է, ապա այս մուտքագրությունը պահպանի առաջնային շարժությունը բավարար է ամոցալու և պահպան պահպանի համապատասխան առաջնային շարժությունը (4)-ին)։

$$x_{n+1} < x_n + a_2 x_n^{\frac{1}{2}}, \quad y_{n+1} < y_n + a_2 y_n^{\frac{1}{2}}, \quad (27)$$

$$\operatorname{Re}\{wC(x_n)\} > a_3 x_n^{\frac{k}{2} - \frac{1}{4}}, \quad \operatorname{Re}\{wC(y_n)\} < -a_3 y_n^{\frac{k}{2} - \frac{1}{4}}. \quad (28)$$

Համապատասխան առաջարկությունը (2), (10) և լրեմա 1-ին գամոմգունարյան մասին առաջարկությունը (1)-ի 2-րդ մասը պահպանի մուտքագրությունը բավարար է ամոցալու և պահպան պահպանի համապատասխան առաջնային շարժությունը (4)-ին)։

$$h = 0, \quad j = \frac{k}{2} + \frac{1}{2}, \quad d = 1, \quad q = k - \frac{1}{2},$$

$$\zeta_n = \left(\frac{N}{2\pi i} \right)^{\frac{k}{2}} \frac{b_n}{n^k}, \quad l_n = \frac{4\pi^2}{N^2} \cdot n.$$

5) Հունվարի 1-ին ամոցալու մասին առաջարկությունը (20) գործությունը բավարար է ամոցալու և պահպան պահպանի համապատասխան առաջնային շարժությունը (4)-ին)։

Ամ ամոցալու մասին առաջարկությունը (5) պահպանի մուտքագրությունը բավարար է ամոցալու և պահպան պահպանի համապատասխան առաջնային շարժությունը (4)-ին)։

Տարբերակը ստուգական է այս պահպանի մուտքագրությունին։

Տարբերակը ստուգական է այս պահպանի մուտքագրությունին։

Տարբերակը ստուգական է այս պահպանի մուտքագրությունին։

(Դաստիարակությունը պահպանի մուտքագրությունը 5.1.1955)



დამოუმზული ლიტერატურა

1. G. H. Hardy. Ramanujan. Cambridge, 1940.
2. E. Hecke. Theorie der Eisensteinschen Reihen höherer Stufe und ihre Anwendung auf Funktionentheorie und Arithmetik. Abhandlungen aus dem mathematischen Seminar der Hamburgischen Universität 5, 1927, 199—224.
3. E. Hecke. Über Modulfunktionen und die Dirichletschen Reihen mit Eulerscher Produktentwicklung. I. Mathematische Annalen 114, 1937, 1—28.
4. E. Landau. Über die Anzahl der Gitterpunkte in gewissen Bereichen. Zweite Abhandlung. Nachrichten der K. Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen. Mathematisch-physikalische Klasse. 1915, 209—243.
5. E. Landau. Über die Anzahl der Gitterpunkte in gewissen Bereichen. Vierte Abhandlung. Nachrichten der Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen. Mathematisch-physikalische Klasse. 1924, 137—150.
6. H. Petersson. Über die Entwicklungskoeffizienten der ganzen Modulformen und ihre Bedeutung für die Zahlentheorie. Abhandlungen aus dem mathematischen Seminar der Hamburgischen Universität 8, 1930, 215—242.
7. E. К. Титчмарш. Теория дзета—функции Римана. ИИЛ. Москва, 1953.
8. A. Walfisz. Über die Koeffizientensummen einiger Modulformen. Mathematische Annalen 108, 1933, 75—90.



დოკუმენტის თაორია

გ. ჩხილაძე

შეღზენილი პრიზელი ქადაგის აღმოჩენის თაორია ლუნევი

(წარმოადგინა აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა 8.5.1954)

როგორც დრეკადობის წრფივი თეორიიდან ცნობილია, წყვილძალით ირიბი ღუნვის დეფორმაცია მიიღება, თუ ღუნვის მთავარ სიბრტყეებში წყვილძალებით შესაბამ ღუნვის დეფორმაციათა შეკრებას მოგახდენ, რადგან ამ შემთხვევაში, როგორც ამბობენ, ადგილი აქვს სუპერპოზიციის პრინციპს.

დრეკადობის არაწრფივი თეორიაში ძირითადი განტოლებების არაწრფივობის გამო ამ პრინციპს ადგილი არ აქვს და, მაშასადამე, მხედველობაში მისაღებია ხსენებული დეფორმაციების ურთიერთგავლენა.

დრეკადობის არაწრფივი თეორიის ოვალსაზრისით წყვილძალით ირიბი ღუნვის ამოცანა ერთგვაროვანი პრიზმული ძელის შემთხვევაში ამოხსნილი იყო ა. პოვალოს ტინის და პ. რიზის [1] მიერ.

ჩვენი მიზანია შევისწავლოთ სხვადასხვა მასალისაგან შედგენილი პრიზმული ძელის ირიბი ღუნვის ამოცანა დრეკადობის არაწრფივი თეორიის ოვალსაზრისით, როდესაც შემადგენელ მასალებს აქვთ პუასონის ერთი და იგივე ქოფიციენტი.

ამოცანის დასმა. ვთქვათ, მოცემულია ძელი, რომელიც შედგენილია რიგი პარალელური ძელებისაგან, რომელიც ერთმანეთს არ ეხებიან. ამ ძელებსა და მათ შემომსაზღვრელ ცილინდრულ ზედაპირს შორის მყოფი არე შევსებულია დრეკადი სივრცით. ცილინდრის მსახუელები ძელების პარალელურია.

ასეთი ძელის განვითარება S_1, S_2, \dots, S_m არეებისაგან, რომელიც შემადგენელი ძელების განვივეთს შესაბამებიან, და S_0 არის საგან, რომელიც შემომსაზღვრელ მასალის განვივეთს წარმოადგენს. S_1, S_2, \dots, S_m არეების საზღვრები აღვნიშნოთ შესაბამისად L_1, L_2, \dots, L_{m-1} , მაშინ S_0 არეს საზღვარი იქნება L_1, L_2, \dots, L_m კონტურები და L_{m+1} კონტური, რომელიც თავის შიგნით ყველა წინა კონტურს შეიცავს.

აღვნიშნოთ λ_j, μ_j და E_j -ით S_j ($j = 0, 1, 2, \dots, m$) არეების შესაბამისი ლამებს შუდმივები და დრეკადობის მოღულები, ხოლო σ -პუასონის კოეფიციენტი, რომელიც ძელის შემადგენელი მასალებისათვის იყოს ერთი და იგივე.

კოორდინატთა სისტემის სათავე მოვათავსოთ „ქვედა“ — (დამაგრებული) ფუძის „ინერციის დაყვანილ ცენტრში“, Oz და Oy ღერძები მიმმართოთ

„ინერციის დაყვანილი მთავარი ლერძების“ მიმართულებით (იხ. [2]), ხოლო $O\xi$ ლერძი იყოს ცილინდრის მსახველის პარალელური.

მივიღოთ, რომ ძელის გვერდითი ზედაპირი თავისუფალია გარე ძალვებისაგან და გადაადგილების u , v , w კომპონენტები უწყვეტნი არიან ერთი არიდან მეორეში გადასვლის დროს. ამას გარდა ვგულისხმობთ, რომ სხვადასხვა მასალის გამყოფი ზედაპირების ელემენტებზე მოქმედი ძალვები სიღიღით ტოლია და ურთიერთსაწინააღმდევგოდაა მიმართული. დავუშვათ, რომ ზედა „თავისუფალ“ $\zeta = l$ ფუძეზე მოქმედი ძალვები დაიყვანება ორ წყვილძილამდე, რომელთა მომენტები მიმართულია შესაბამის $O\xi$ და $O\eta$ ლერძების პარალელური ლერძის გასწევრივ.

სხვულის რაიმე წერტილის კოორდინატები დეფორმაციამდე აღვნიშნოთ ξ , η და ζ -თი, ხოლო დეფორმაციის შემდეგ x , y და z -თი.

ზემოთ დასმული ამოცანის ამოხსნა ვეძებოთ შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} u &= \frac{\gamma_1}{2} [\zeta^2 + \sigma(\xi^2 - \eta^2)] + \gamma_2 \sigma \xi \eta + \gamma_1 \gamma_2 u_1, \\ v &= \gamma_1 \sigma \xi \eta + \frac{\gamma_3}{2} [\zeta^2 + \sigma(\eta^2 - \xi^2)] + \gamma_1 \gamma_2 v_1, \\ w &= -\gamma_1 \xi \zeta - \gamma_2 \eta \zeta + \gamma_1 \gamma_2 w_1, \end{aligned} \quad (1)$$

სადაც u_1 , v_1 და w_1 საძიებელი ფუნქციებია, რომელიც დამატებით გადაადგილების კომპონენტებს გამოსახავენ, ხოლო

$$\gamma_1 = \frac{M\eta}{\sum_{j=0}^m E_j J_{\eta j}}, \quad \gamma_2 = \frac{M\xi}{\sum_{j=0}^m E_j J_{\xi j}},$$

სადაც $M\eta$ და $M\xi$ წყვილძალების მღწნაფი მომენტებია $O\eta$ და $O\xi$ ლერძების პარალელური ლერძების მიმართ შესაბამისად, E_j და $J_{\eta j}$ — კვეთის დაყვანილი ინერციის მომენტებია $O\eta$ და $O\xi$ ლერძების მიმართ.

შემდეგში, დასმული ამოცანის ამოხსნის დროს შევინარჩუნოთ მხოლოდ ის წევრები, რომელიც შეიცავენ γ_1 , γ_2 და $\gamma_1 \gamma_2$ ნამრავლებს.

თუ ვისარგებლებთ წარმოებულთა გარდაქმნის ფაილონისა [3] და შემდეგ მერნახანის [4] ფორმულებით, მაშინ ძაბვის ტენსორის მდგრენებს ზემოთ მოყვანილი სიზუსტით ექნება შემდეგი სახე:

$$\begin{aligned} X_x &= -\lambda_j \gamma_1 \gamma_2 \sigma \xi \eta + \gamma_1 \gamma_2 \tau_{11}, \\ Y_y &= -\lambda_j \gamma_1 \gamma_2 \sigma \xi \eta + \gamma_1 \gamma_2 \tau_{22}, \\ Z_z &= -E_j \gamma_1 \xi - E_j \gamma_2 \eta + 2 \gamma_1 \gamma_2 \sigma [\lambda_j (2 - \varsigma \sigma) + 4 \mu_j] \xi \eta + \gamma_1 \gamma_2 \tau_{33}, \\ Y_z &= -\mu_j \gamma_1 \gamma_2 \xi \zeta + \gamma_1 \gamma_2 \tau_{23}, \\ Z_x &= -\mu_j \gamma_1 \gamma_2 \eta \zeta + \gamma_1 \gamma_2 \tau_{13}, \\ X_y &= \mu_j \gamma_1 \gamma_2 \xi^2 + \gamma_1 \gamma_2 \tau_{12}, \end{aligned} \quad (2)$$

სადაც $\tau_{11}, \tau_{22}, \dots, \tau_{12}$ ძაბვის ტენორის კომპონენტებია, რომელიც შესაბამებიან საძიებელ u_1, v_1 და w_1 გადაადგილებებს.

დეფორმაციამდე და დეფორმაციის შემდეგ ზედაპირის ნორმალის კოსინუსებს შორის, ზემოაღნიშნული სიზუსტით, არსებობს შემდეგი დამოკიდებულება:

$$\begin{aligned}\cos(n_j, x) &= \cos \alpha_j - (\gamma_1 \eta - \gamma_2 \xi) \sigma \cos \beta_j, \\ \cos(n_j, y) &= \cos \beta_j + (\gamma_1 \eta - \gamma_2 \xi) \sigma \cos \alpha_j, \\ \cos(n_j, z) &= -\gamma_1 \zeta \cos \alpha_j - \gamma_2 \zeta \cos \beta_j \quad (j = 1, 2, \dots, m),\end{aligned}\tag{3}$$

სადაც $\cos \alpha_j$ და $\cos \beta_j$ წარმოადგენენ $F_j(\xi, \eta) = 0$ ზედაპირის ნორმალის მიმართულების კოსინუსებს.

ჩვენს შემთხვევაში დრეკადი ტანის წონასწორობის განტოლებები მიიღებენ შემდეგ სახეს:

$$\begin{aligned}\frac{\partial \tau_{11}}{\partial \xi} + \frac{\partial \tau_{12}}{\partial \eta} + \frac{\partial \tau_{13}}{\partial \zeta} - (\lambda_j \sigma + \mu_j) \eta &= 0, \\ \frac{\partial \tau_{21}}{\partial \xi} + \frac{\partial \tau_{22}}{\partial \eta} + \frac{\partial \tau_{23}}{\partial \zeta} - (\lambda_j \sigma + \mu_j) \xi &= 0, \\ \frac{\partial \tau_{31}}{\partial \xi} + \frac{\partial \tau_{32}}{\partial \eta} + \frac{\partial \tau_{33}}{\partial \zeta} &= 0.\end{aligned}\tag{4}$$

ხოლო იმავე სიზუსტით სასაზღვრო პირობები ასე გადაიწერება:

$$\begin{aligned}\tau_{11} \cos \alpha + \tau_{12} \cos \beta - \lambda_0 \sigma \xi \eta \cos \alpha + \mu_0 \zeta^2 \cos \beta &= 0, \\ \tau_{21} \cos \alpha + \tau_{22} \cos \beta - \lambda_0 \sigma \xi \eta \cos \beta + \mu_0 \zeta^2 \cos \alpha &= 0, \\ \tau_{31} \cos \alpha + \tau_{32} \cos \beta + \mu_0 (1 + 2 \sigma) (\eta \cos \alpha + \xi \cos \beta) \zeta &= 0\end{aligned}\tag{5}$$

თავისუფალ ზედაპირზე,

$$\begin{aligned}[\tau_{11} \cos \alpha + \tau_{12} \cos \beta]_j - [\tau_{11} \cos \alpha + \tau_{12} \cos \beta]_0 - (\lambda_j - \lambda_0) \sigma \xi \eta \cos \alpha; \\ + (\mu_j - \mu_0) \zeta^2 \cos \beta_j &= 0, \\ [\tau_{21} \cos \alpha + \tau_{22} \cos \beta]_j - [\tau_{21} \cos \alpha + \tau_{22} \cos \beta]_0 - (\lambda_j - \lambda_0) \sigma \xi \eta \cos \beta_j; \\ + (\mu_j - \mu_0) \zeta^2 \cos \alpha_j &= 0, \\ [\tau_{31} \cos \alpha + \tau_{32} \cos \beta]_j - [\tau_{31} \cos \alpha + \tau_{32} \cos \beta]_0 \\ + (\mu_j - \mu_0) (1 + 2 \sigma) (\eta \cos \alpha_j + \xi \cos \beta_j) \zeta &= 0\end{aligned}\tag{6}$$

არეთა გამყოფ ზედაპირზე ($j = 1, 2, \dots, m$).

ამ განტოლებებს უნდა დაემატოს თავსებადობის შესაბამისი პირობები.

ადვილი საჩვენებელია, რომ წონასწორობის (4) განტოლებები, სასაზღვრო (5), (6) და თავსებადობის პირობები დაქმაყოფილებულ იქნება, თუ საძიებელი ძაბვის კომპონენტები შერჩეული იქნება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned}
 \tau_{11} &= (E_j + \lambda_j \sigma) \xi \eta + E_j \frac{\partial^2 \Phi}{\partial \eta^2} - 2 a \mu_j \varphi, \\
 \tau_{22} &= (E_j + \lambda_j \sigma) \xi \eta + E_j \frac{\partial^2 \Phi}{\partial \xi^2} - 2 a \mu_j \varphi, \\
 \tau_{33} &= 2 \lambda_j \sigma^2 \xi \eta + E_j \sigma \Delta \Phi + 4 a \mu_j \varphi, \\
 \tau_{12} &= -\mu_j \xi^2 - E_j \frac{\partial^2 \Phi}{\partial \xi \partial \eta} - a \mu_j (\xi^2 - \eta^2), \\
 \tau_{13} &= -[\mu_j (1 + 2 \sigma) + 2 a E_j] \eta \xi + 2 a \mu_j \xi \frac{\partial \varphi}{\partial \xi}, \\
 \tau_{23} &= -[\mu_j (1 + 2 \sigma) - 2 a E_j] \xi \eta + 2 a \mu_j \eta \frac{\partial \varphi}{\partial \eta},
 \end{aligned} \tag{7}$$

სადაც $\varphi(\xi, \eta)$ შედგენილი ძელის გრეხის ფუნქციაა, ხოლო $\Phi(\xi, \eta)$ ფუნქცია განისაზღვრება შემდეგი პირობებით:

$$\Delta \Delta \Phi = 0 \quad S_j (j=0, 1, 2, \dots, m) \text{ არეში,}$$

$$\begin{aligned}
 E_0 \left(\frac{\partial \Phi}{\partial \xi} + i \frac{\partial \Phi}{\partial \eta} \right)_0 &= -2a \int_0^s \mu_0 \varphi_0 (\cos \beta - i \cos \alpha) ds \\
 - a \int_0^s \mu_0 (\xi^2 - \eta^2) (\cos \alpha - i \cos \beta) ds + E_0 \int_0^s \xi \eta (\cos \beta - i \cos \alpha) ds
 \end{aligned} \tag{8}$$

L_{m+1} კონტურზე და

$$\begin{aligned}
 E_j \left(\frac{\partial \Phi}{\partial \xi} + i \frac{\partial \Phi}{\partial \eta} \right)_j - E_0 \left(\frac{\partial \Phi}{\partial \xi} + i \frac{\partial \Phi}{\partial \eta} \right)_0 &= -2a \int_0^{s_j} (\mu_j - \mu_0) \varphi (\cos \beta - i \cos \alpha) ds \\
 - a \int_0^{s_j} (\mu_j - \mu_0) (\xi^2 - \eta^2) (\cos \alpha - i \cos \beta) ds + \int_0^{s_j} (E_j - E_0) \xi \eta (\cos \beta - i \cos \alpha) ds
 \end{aligned}$$

$L_j (j = 1, 2, \dots, m)$ კონტურზე.

შეიძლება დამტკიცება იმისა, რომ Φ ფუნქცია და მისი კერძო წარმოებულები $\frac{\partial \Phi}{\partial \xi}, \frac{\partial \Phi}{\partial \eta}$ არიან ცალსახა [5], თუ ა მუდმივი შერჩეულია შემდეგი სახით:

$$a = \frac{\sum_{j=0}^m \iint_{S_j} E_j (\xi^2 - \eta^2) d\xi d\eta}{2 \sum_{j=0}^m \iint_{S_j} \left[\mu_j \left(\frac{\partial \varphi}{\partial \xi} - \eta \right)^2 + \left(\frac{\partial \varphi}{\partial \eta} + \xi \right)^2 \right] d\xi d\eta}.$$

თუ გამოვიყენებთ ერთ-ერთ ცნობილ მეთოდს [2], მაშინ ყოველთვის შეგვიძლია განვისაზღვროთ ბიპარმონიული Φ ფუნქცია.

(7) ძაბვების შესაბამისი გადაადგილების კომპონენტებია:

$$\begin{aligned}
 u_1 &= \frac{1 - \sigma + \sigma^2}{2} \left(\xi^2 \eta - \frac{1}{3} \eta^3 \right) - \frac{1}{2} \eta \zeta^2 - \sigma(1 + \sigma) \frac{\partial \Phi}{\partial \xi} \\
 &\quad + (1 - \sigma^2) \int_0^\xi \frac{\partial^2 \Phi}{\partial \eta^2} d\xi - a \int_0^\xi \varphi d\xi + a \left(\frac{1}{3} \eta^3 - \eta \zeta^2 \right), \\
 v_1 &= \frac{1 - \sigma + \sigma^2}{2} \left(\xi \eta^2 - \frac{1}{3} \xi^3 \right) - \frac{1}{2} \xi \zeta^2 + (1 + \sigma)(\sigma - 2) \frac{\partial \Phi}{\partial \eta} \quad (9) \\
 &\quad - (1 - \sigma^2) \int_0^\xi d\xi \int_0^\xi \frac{\partial^3 \Phi}{\partial \eta^3} d\xi - a \left(\frac{1}{3} \xi^3 - \xi \zeta^2 \right) + a \int_0^\xi d\xi \int_0^\xi \frac{\partial \varphi}{\partial \eta} d\xi, \\
 w_1 &= -2 \sigma \xi \eta \zeta + 2 a \zeta \varphi.
 \end{aligned}$$

თუ (9) გამოსახვებს შევიტანთ (1)-ში, მაშინ მივიღებთ განხილული ამოცანის ამოხსნას.

ძაბვის ტენზორის კომპონენტები, რომელიც შეესაბამებიან u , v , w გადაადგილების კომპონენტებს $\zeta = l$ ზედაპირზე, უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნილ სასაზღვრო პირობებს, მაგრამ ეს პირობები არ კმაყოფილდებიან. ამიტომ ჩვენ მიერ მოძებნილ ამოხსნას უნდა დაემატოს სენ-ვენანის ამოცანის ისეთი ამოხსნა, რომელიც მოახდენს ზედაპირზე ზედმეტი ძაბვების ნეიტრალიზაციას.

სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

(ჩედაქციას მოუვიდა 19.10.1953)

დამოჯებული ლიტერატურა

1. А. И. Пожалости и П. М. Риз. К теории косого изгиба в нелинейной теории упругости. Прикладная математика и механика, том VI, 1942.
2. Н. И. Мусхелишвили. Некоторые основные задачи математической теории упругости. Издательство Академии Наук СССР, М.—Л., 1949.
3. Э. Кокер и Л. Файлон. Оптический метод исследования напряжений, М.—Л., 1936, стр. 91.
4. F. D. Murnaghan. Finite deformations of elastic solid. Amer. Journ. of math, vol. LIX, № 2, 1937, 235.
5. ბ ა ტ ი ა შ ვ ი ლ ი. დატვირთული გვერდითი ზედაპირის მქონე შედგენილი ცილინდრული ძელის დრეჭადი წონასწორობა პუსონის სხვდასხვა კოეფიციენტის შემთხვევაში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVI, № 1, 1955.

⁽¹⁾ ყოველთვის შეიძლება ბიპარმონიული Φ ფუნქციის ისე განსაზღვრა. რომ გადაადგილების u და v კომპონენტები დარჩენ უწყვეტი გამყოფ ზედაპირზე გადასჭლის დროს.



ფიზიკა

8. ჰაზრინიძე

ურთიერთობის ბოლონ-ფურიონული ველების განტოლებათა
სისტემის საჭიროების

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. მამასახლისოვმა 14.2.1955)

როგორც ცნობილია, ურთიერთქმედების ლაგრანჯინის ჩაწერის შესი
იმაში მდგომარეობს, რომ ერთმანეთზე მრავლდებიან ურთიერთმოქმედი ვე-
ლების ველის ფუნქციების ისეთი კომბინაციები, რომლებიც ქმნიან ინვარი-
ანტს. თვითეულ ინვარიანტს მიეწერება ბმის განსაზღვრული მუდმივა [1].

ბოზონ-ფერმიონული ტიპის ურთიერთქმედი ველების განტოლებათა სი-
სტემის ჩამოყალიბებისას ჩვენ დავეყრდნობით შემდეგ დებულებას:

1. ფერმიონები წარმოადგენენ ნაწილაკებს, რომლებსაც აქვთ უნარი
წარმოქმნან ბოზონები;

2. ფერმიონები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან ბოზონების ურთიერთ-
გაცვლის საშუალებით. ურთიერთქმედების გადამტანი ნაწილაკები ბოზო-
ნებია;

3. ფერმიონებს გააჩნიათ სპეციფიკური მუხტი, რომელიც ახასიათებს
მათ ბმას ბოზონურ ველთან;

4. ბოზონებს გააჩნიათ სპეციფიკური მუხტი, რომელიც ახასიათებს მათ
ბმას ფერმიონულ ველთან.

გარკვეულობისათვის შემდგომ განხილვას ვაწარმოებთ ნუკლონებისა და
მეზონების ურთიერთქმედების მაგალითზე. ადრევე შევნიშნავთ, რომ დამკვიდ-
რებული მიღვომა ნუკლონისადმი, როგორც მეზონების წყაროსადმი, ჩვენ არ
მივგააჩნია სამართლიანად. მეზონური ველის წყაროს წარმოადგენს მძიმე
ფერმიონი, რომელსაც ჩვენ ნუკლოიდს ვუწოდებთ. თავისუფალი ნუკლოიდი
ემორჩილება დირაკის განტოლებას. ნუკლოიდს აქვს უნარი ვირტუალურად
შთანთქას და გამოასხივოს π მეზონები. ნუკლოიდი, რომელიც სტაციონარუ-
ლად ურთიერთქმედებს პიონურ ველთან, ჩვენ წარმოგვიდგება სტრუქტურუ-
ლად რთული ნაწილაკის სახით ნუკლონის სახით.

როგორც ცნობილია, ნუკლონები არ აღიწერება დირაკის განტოლებით.
თავისუფალი ნუკლოიდი აღიწერება დირაკის განტოლებით. ნუკლოიდი, რო-
მელიც სტაციონარულად ბმულია მეზონურ ველთან, წარმოადგენს რთულ
სისტემას (ნუკლონს), რომელიც აღიწერება განტოლებათა სისტემით პიონისა
და ნუკლოიდის ველის ფუნქციებისათვის. ნუკლოიდი შეიძლება გაიგივე-
ბულ იქნეს ერთ-ერთ არასტაბილურ ნაწილაკთან, რომელიც განიცდის და-

შლას မ მეზონად და ბოზონური ტიპის მეზონებად. წინასწარ ასეთ ნაწილაკად შეიძლება დავასახელოთ *K* მეზონი. ექსპერიმენტული მონაცემები ნუკლონ-ატომგულის დაჯახებების შესახებ გვიჩვენებს, რომ *K* ნაწილაკები წარმოიქმნება π მეზონებთან შესადარი რაოდენობით. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ *K* ნაწილაკები „გატიტვლებული“ ნუკლონებია, რომლებმაც დაკარგეს პიონური „ატმოსფერო“.

შემდეგ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ უაზროვანი მივაწეროთ ბმულ ნუკლოიდს განსაზღვრული უძრაობის მასა. განსაზღვრული უძრაობის მასა შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ „იონიზებულ“ ნუკლოიდს. პიონური ველის ქვანტის შთანთქმა და გამოსხივება ნუკლოიდის შეირ განსაზღვრავს ფერმიონის ველის ენერგიის „გადასხმას“ მასთან ბმულ მეზონურ ველში.

ჩვენ მიერ განვითარებული წარმოდგენები არ ეწინააღმდეგება პიპოთებას თვით პიონების რთული აგებულების შესახებ (მაგალითად, ნუკლოიდების ვირტუალური წყვილების სახით). შემდგომისათვის ყველაზე გადამწყვეტ დებულებად მიგვაჩნია შემდეგი დებულება: ნუკლოიდს შეიძლება გააჩნდეს და — *g* მუხტი ნებისმიერი ელექტრომაგნეტური მუხტის მქონე პიონის მიმართ. მეზონების (პიონების) ელექტრომაგნეტური მუხტები არ ასრულებენ გადამწყვეტ როლს ურთიერთმოქმედი ნუკლოიდებისა და პიონების ოვისებების გამოვლენაში.

ჩვენ დავუშვებთ, რომ პიონის ველი (ელექტრომაგნეტური მუხტის მიუხედავად) აღიწერება ორი კომპლექსურად შეუდლებული ველის ფ და ფ⁺ ფუნქციების საშუალებით. ამ შეუდლებას საერთო არაფერი აქვს მეზონების ველის ფუნქციების იმ შეუდლებასთან, რომელიც დაკავშირებულია დადებითი და უარყოფითი ელექტრომაგნეტური მუხტის მქონე მეზონების არსებობასთან. „*g* მუხტურად“ შეუდლების წარმოსახვით ორტსაც გააჩნია თვისება, რომ *j*² = — 1. ამ ახალ ორტს, რომელსაც აქვს თვისება *j*² = — 1, ჩვენ აღვნიშვნავთ *i*, რადგანაც ჩვენ არ ვიმართ „*g* შეუდლებასთან“ ერთად „*e* შეუდლებასაც“. ამ შემთხვევაში ყველა ცნობილი ფორმულა დამუხტული π მეზონური ველებისათვის შეიძლება ჩვენ მიერ თავისუფლად იქნეს გამოყენებული, რამდენადაც ჩვენ არ ავურევთ ერთმანეთში „*g* შეუდლებასა“ და „*e* შეუდლებას“.

ეს ნიშავს, რომ ველის ფუნქციას, რომელსაც გააჩნია *g* მდგრენელი კვატერნიონულ სივრცეში, ჩვენ ვაპროექტირებთ (*I*, *j*) სიბრტყეზე და არა (*I*, *i*) სიბრტყეზე. ზოგად შემთხვევაში ველის ფუნქცია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს კვატერნიონით⁽¹⁾. რამდენადაც ჩვენ გვაინტერესებს „*g* მუხტები“, ამდენად შეგვიძლია შემოვიფარგლოთ (*I*, *j*) სიბრტყით და ჩავთვალოთ, რომ ინვარიანტობას *g* მუხტურად—შეუდლების გარდაქმნის მიმართ შეესაბამება *g* მუხტის შესახვის კანონი.

ასეთი მიდგომისას გასაგები ხდება, რომ ნუკლოიდებსა და პიონებს შორის ურთიერთქმედების შემოყვანის პროგრამა შეიძლება წარმართულ იქნეს

(1) ოთვორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩვენგან დამოუკიდებლად ველის ფუნქციის ბუნების საკითხში ასეთსავე დასკვნებამდე მივიდა მ. მირიან შვილი.

ურთიერთმოქმედ ბოზონ-ფერმიონული ველების განტოლებათა სისტემის საკითხისათვის 433
შორის ურთიერთქმედების შემოყვანის მსგავსად.

ნუკლოიდის ველის ზემოქმედება მეზონის ველზე მხედველობაში მივიღოთ ოპერატორ $\frac{I}{i} \cdot \frac{\partial}{\partial x_i}$ შენაცვლებით შემდეგი ოპერატორით:

$$\frac{I}{i} \cdot \frac{\partial}{\partial x_i} + g(\bar{\Psi} \gamma_i \Psi) = \frac{I}{i} \cdot \frac{\partial}{\partial x_i} + g\mu_i$$

ან

$$P_i + g\Gamma_i,$$

სადაც P_i არის ბმული ნაწილაკის განზოგადებული იმპულსი, Ψ არის ნუკლოიდის ბისპინორი, $\bar{\Psi} = \Psi^*\beta$. γ_i არის მატრიცი კომპონენტებით ($\beta \vec{\alpha}, \beta$), სადაც $\vec{\alpha}$ და β ელექტრონის რელატივისტური თეორიის ჩვეულებრივი მატრიცებია.

მეზონური ველის ზემოქმედება ნუკლოიდის ველზე გავითვალისწინოთ $\frac{I}{i} \cdot \frac{\partial}{\partial x_i}$ ოპერატორის შენაცვლებით შემდეგი ოპერატორით:

$$\frac{I}{i} \cdot \frac{\partial}{\partial x_i} + f \left(\frac{\partial \varphi^+}{\partial x_i} \varphi - \varphi^+ \frac{\partial \varphi}{\partial x_i} \right) = \frac{I}{i} \cdot \frac{\partial}{\partial x_i} + \pi k_0 \left(\frac{\partial \varphi^+}{\partial x_i} \varphi - \varphi^+ \frac{\partial \varphi}{\partial x_i} \right),$$

სადაც f აქვს $-\frac{m_0 c}{h}$ განზომილება. თუ მივიღებთ, რომ $k = \frac{m_0 c}{h}$, მაშინ π აქვს ბმის მუდმივას $f \frac{\pi}{c} / hc$ განზომილება. f მუდმივას კავშირის საკითხს გმუდმივასთან ცალკე განვიხილავთ.

ისმება საკითხი ბმის შემოყვანის ოპერაციის ცალსახობის შესახებ. ჩვენი აზრით, ეს საკითხი შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს მხოლოდ თეორიული მონაცემების შედარებით ექსპერიმენტულ მონაცემებთან. ერთადერთი ვეტორი, რომელიც შეიძლება შედგენილ იქნეს ორ $\bar{\Psi}$ და Ψ ბისპინორისაგან, არის $(\bar{\Psi} \gamma_i \Psi)$, რომელიც განაპირობებს ალბათობის ნაკადს და ალბათობის სიმკვრივეს ფერმიონული ნაწილაკისთვის.

თუ მივიღეთ ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ერთი წყაროს ზემოქმედება მეორე წყაროზე განისაზღვრება ნაკადის ინტენსივობით და ალბათობის სიმკვრივით ზემოქმედი ნაწილაკისა იმ წერტილში, რომელშიაც იმყოფება ზემოქმედების ქვეშ მყოფი ნაწილაკი, მაშინ არ იქნება დაუსაბუთებელი ერთისა და იმავე ვარიანტობისა და ერთისა და იმავე ფიზიკური განზომილების სიდიდეთა შეკრება.

ავაგოთ ურთიერთმოქმედი ნუკლოიდ-პიონური ველების ლაგრანჯიანი იმ შემთხვევისათვის, როდესაც: „ნუკლოიდის 4 ნაკადი“ უშუალოდ ახდენს ზემოქმედებას პიონურ ველზე, „პიონური 4 ნაკადი“ კი უშუალოდ ზემოქმედებს „ნუკლოიდურ ველზე“. მაშინ ორივე ველი საგრძნობლად იცვლება. იმ შემთხვევაში, თუ გარეშე ველები არ არსებობს, შეიძლება დამყარდეს სტაციონარული ურთიერთქმედების მდგომარეობა. ამ შემთხვევაში არსებობს გან-

საზღვრული კავშირი 4 ნაკადს შორის. „ნუკლოიდური ველის“ უშუალო ზემოქმედება პიონურ ველზე იმით გამოიხატება, რომ თავისუფალი პიონური ველის (ზოგად შემთხვევაში ბოზონური ველი) ლაგრანჟიანში ოპერატორი $\frac{\partial}{\partial x_i}$ შეიცვლება $\frac{\partial}{\partial x_i} + ig(\bar{\Psi}\Gamma_i\Psi)$ ოპერატორით, სადაც $\bar{\Psi} = \Psi^*\beta$. ამასთანავე თავისთვის იგულისხმება, რომ Ψ^* აქვს „ g შეუღლება“ და არა „ e შეუღლება“. თავისუფალი ფერმიონული ველის ლაგრანჟიანში ოპერატორი $\frac{\partial}{\partial x_i}$ იცვლება $\frac{\partial}{\partial x_i} + ifS_i$ ოპერატორით $(S_i = \frac{\partial\varphi^+}{\partial x_i} \varphi - \varphi^+ \frac{\partial\varphi}{\partial x_i})$. საერთო ლაგრანჟიანში შეცვლა ხდება ერთსა და იმავე დროს, ე. ი. „ნუკლოიდური ველის“ (ზოგად შემთხვევაში ფერმიონული ველის) ზემოქმედება მხედველობაში მიიღება ლაგრანჟიანის პიონურ ნაწილში, პიონური ველი კი მხედველობაში მიიღება ლაგრანჟიანის „ნუკლოიდურ“ ნაწილში. ნათელია, რომ ჩვენ შეგვეძლო გაგვეხილა როგორც კერძო შემთხვევები, ისეთი ლაგრანჟიანები, რომლებისთვისაც:

$$\text{a)} g \neq 0 \quad f = 0 \quad \text{და} \quad \text{b)} g = 0 \quad f \neq 0.$$

ზემოთქმულის შესაბამისად ავაგოთ პიონ-ნუკლოიდის ლაგრანჟიანი. მივიღოთ, რომ

$$\begin{aligned} L = & -\frac{1}{2} \left\{ \left(\frac{\partial}{\partial x_i} + ig\Gamma_i \right) \varphi^+ \left(\frac{\partial}{\partial x_i} - ig\Gamma_i \right) \varphi + k_0^2 \varphi^+ \varphi \right\} \\ & - \frac{1}{2} \bar{\Psi} \left(\gamma_i \left(\frac{\partial}{\partial x_i} + ifS_i \right) + k \right) \Psi - \frac{1}{2} \Psi \left(\tilde{\gamma}_i \left(\frac{\partial}{\partial x_i} - ifS_i \right) - k \right) \bar{\Psi} \end{aligned} \quad (1)$$

თუ ვაწარმოებთ ვარიაციას φ^+ , φ , Ψ და $\bar{\Psi}$ -ს მიხედვით, მივიღებთ ნუკლოიდ-პიონის სისტემის განტოლებებს:

$$\square \varphi - k_0^2 \varphi = i(g-f) \left(\Gamma_i \frac{\partial \varphi}{\partial x_i} + \frac{\partial}{\partial x_i} (\Gamma_i \varphi) \right) + g^2 \Gamma_i \Gamma_i \varphi \quad (2)$$

$$\square \varphi^+ - k_0^2 \varphi^+ = -i(g-f) \left(\Gamma_i \frac{\partial \varphi^+}{\partial x_i} + \frac{\partial}{\partial x_i} (\Gamma_i \varphi^+) \right) + g^2 \Gamma_i \Gamma_i \varphi^+ \quad (3)$$

$$\left\{ \gamma_i \left(\frac{\partial}{\partial x_i} + i(f-g) S_i + 2g^2 \Gamma_i \varphi^+ \varphi \right) + k \right\} \Psi = 0 \quad (4)$$

$$\left\{ \tilde{\gamma}_i \left(\frac{\partial}{\partial x_i} - i(f-g) S_i - 2g^2 \Gamma_i \varphi^+ \varphi \right) - k \right\} \bar{\Psi} = 0 \quad (5)$$

$$\bar{\Psi} \left\{ \gamma_i \left(\frac{\partial}{\partial x_i} + i(f-g) S_i + 2g^2 \Gamma_i \varphi^+ \varphi \right) + k \right\} = 0 \quad (6)$$

$$\Psi \left\{ \tilde{\gamma}_i \left(\frac{\partial}{\partial x_i} - i(f-g) S_i - 2g^2 S_i \varphi^+ \varphi \right) - k \right\} = 0 \quad (7)$$



საკითხისათვეს 435

შემუშავება

ურთიერთმოქმედ ბლონ-ფერმიონული ველების განტოლებათა სისტემის საკითხისათვეს 435 განტოლებაზე ამ განტოლებებს შეიძლება ვუწოდოთ ნუკლო-მეზოდინამიკის ძირითადი განტოლებანი. ა) და ბ) შემთხვევებში მივიღებთ ნუკლო-მეზოდინამიკის კერძო სახის განტოლებებს. ურთიერთმედების ლაგრანჯიანს აქვს ძალიან მარტივი სახე:

$$L_{\text{ფრ}} = i(g/2 - f) \Gamma_i S_i - \frac{g^2}{2} \Gamma_i \varphi^+ \varphi. \quad (8)$$

ადვილი შესამჩნევია ურთიერთქმედების ახალი ლაგრანჯიანის თავისებურებანი:

1. ურთიერთქმედების ლაგრანჯიანი შეიცავს პიონური ველის ოპერატორებს ბიწროფივად.

2. ურთიერთქმედების ლაგრანჯიანი პრინციპულად არ შეიძლება დაწერილ იქნეს ასეთი სახით, თუ არ მოვახდენ ველის ფუნქციის ცნების განზოგადებას. ჩვენს შემთხვევაში ფ და Ψ კვატერნიონებია.

ჩვენი პიბოთეზის თანახმად არსებობენ ნუკლონიდები და ანტინუკლონიდები და არა ნუკლონები და ანტინუკლონები. ანტინუკლონიდს აქვს ნუკლონიდის საწინააღმდეგო „ g მუხტი“ და არა „ e მუხტი“. შესაძლებელია სწორედ ამით აიხსნება ის, რომ არ არის აღმოჩენილი ანტიპროტონი.

თუ გამოვიყენებთ S მატრიცის [2] ფორმალიზმს, ადვილად დავინახავთ, რომ ყოველ კვანძში იკრიბება პიონების ორი ხაზი. ჩვენი ინტერპრეტაციის მიხედვით, ეს უნდა ნიშნავდეს ერთი „ g მუხტის“ პიონის მოსვლას კვანძში და მეორე „ e მუხტის“ პიონის წასვლას კვანძიდან. უზოგადეს შემთხვევაში (როდესაც ფ წარმოდგენილია სრული კვატერნიონით) პიონი გარდა „ g მუხტისა“ გახდება სხვა მუხტების მატარებელი (მაგალითად, „ e მუხტისა“ და რაღაც უცნობი მუხტისა).

შემდგომ წერილებში განვითარებული იქნება კანონიკური ფორმალიზმი (1) ლაგრანჯიანის საფუძველზე.

ავტორი მადლობას უძლვნის ი. მამალაძეს საქმიანი შენიშვნებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფიზიკის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოჟვიდა 15.2.1955)

დამოუმატებელი ლიტერატურა

1. Г. Вентцель. Введение в квантовую теорию волновых полей. ГТТИ, 1947.
2. А. И. Ахиезер и В. Б. Берестецкий. Квантовая электродинамика. ГИТТЛ, 1953.



გეოფიზიკა

დ. ლონდაძე და ლ. პაპიაშვილი

თოვლის ზეპირ მიერ უძრავ ზინეალების გარემონტიზაცია და განვითარება

(ჭარმალი აკადემიის ნამდებლმა წევრმა კ. ზაგრიევმა 27.5.1954)

მთიან და მაღალმთიან რაიონებში მომუშავე ინჟინერ-მშენებელთა წინაშე დიდი ხანია დგას თოვლის ზეავების დარტყმისაგან საინჟინრო ნაგებობათა დაცვის საკითხი. მკვლევართა მიერ თოვლის ზეავებისადმი მიძღვნილი შრომები [2, 3, 4] ხსენებული ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებოდა.

1938 წელს ჭარმოდგენილი იყო უძრავ წინალობაზე თოვლის ზეავის დარტყმით გამოწვეული წნევის გაანგარიშების ფორმულა შემდეგი სახით:

$$p = 10^{-2} \frac{\rho \rho_1}{\rho_1 - \rho} v^2, \quad (1)$$

სადაც p წნევაა, გაძოსახული $\text{კგ}/\text{მ}^2$ -ით, ρ და ρ_1 — შესაბამიდ ზეავური თოვლის სიმკვრივე მის დარტყმამდე და დარტყმის შემდეგ, v — თოვლის ზეავის მოძრაობის სიჩქარე წინალობასთან შეხვედრის მომენტში.

თუ დავუშვებთ, რომ დარტყმამდე ზეავური თოვლის სიმკვრივე მუდმივი რჩება, ე. ი. იგივეა, რაც სიმკვრივე თოვლის საბურვლისა, ამ შემთხვევაში (1) განტოლება შეიცავს ორ უცნობს, კერძოდ თოვლის საბოლოო ρ_1 სიმკვრივესა და ზეავის მოძრაობის v სიჩქარეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში ექსპერიმენტული გამოკვლევებით [1, 5] მიღებულ იქნა ფუნქციონალური დამოკიდებულება p წნევასა, ρ საწყისა და ρ_1 საბოლოო სიმკვრივეთა შორის:

$$\rho_1 = \rho(1 + kp), \quad (2)$$

სადაც

$$k = 3,10 - 7,81 \rho. \quad (2')$$

(1) და (2) განტოლებათა თავსებადი ამოხსნით მიიღება წნევის განმსაზღვრელი ფორმულა, რომელიც თოვლის ზეავის უძრავ წინალობაზე დარტყმის შედეგად ჭარმოიქმნება:

$$p = \frac{\rho v^2}{200} \left(1 + \sqrt{1 + \frac{400}{k \rho v^2}} \right). \quad (3)$$

(3) ამყარებს დამოკიდებულებას ზეავური თოვლის სიმკვრივესა, მისი მოძრაობის სიჩქარესა და წნევას შორის.

თოვლის ზეავის მოძრაობის სიჩქარის გამოსახულება მიღებული იყო მ. საატჩიანის, ა. გოფისა და სხვათა მიერ [3, 4, 6] თოვლის ზეავის მოძრაობის შემდეგი დიფერენციალური განტოლებიდან:

$$m \frac{d^2 s}{dt^2} = mg \sin \alpha - fmg \cos \alpha - k'v, \quad (4)$$

სადაც m თოვლის ზეავის მასაა, $f = \operatorname{tg} \varphi$ —თოვლის შინაგანი ხახუნის კოეფიციენტი, α —იმ ზედაპირის დახრილობის კუთხე, რომლის გასწვრივ მოძრაობს ზეავი, s —დროის t მომენტში გვლილი მანძილის სიგრძე, ხოლო $k'v$ —თოვლის მოძრაობისადმი წინააღმდეგობა.

(4) დიფერენციალური განტოლების ამოხსნით მიღება თოვლის ზეავის მოძრაობის სიჩქარის ფორმულა შემდეგი სახით:

$$v = (v_0 - v^*) e^{-kt} + v^*, \quad (5)$$

სადაც v_0 არის ზეავის მოძრაობის სიჩქარე α დახრილობის მქონე უბანზე გამოსვლის მომენტში, v^* —თანაბარი მოძრაობის ზღვრული სიჩქარე, გამოსახული ფორმულით:

$$v^* = \frac{g}{k} \frac{\sin(\alpha - \varphi)}{\cos \varphi}, \quad (6)$$

სადაც

$$k = \frac{k'}{m}$$

წარმოადგენს სიდიდეს, რომელიც დამკიდებულია თოვლის ზეავის მოძრაობით გამოწვეულ წინააღმდეგობის პარამეტრებზე. ზემოთ ციტირებულ შრომებში უკანასკნელი სიდიდე მიღებული იყო მუდმივად და პირველი მიახლოებით (გამოსაკვლევი ფერდობებისათვის) ტოლი 0,25. (5) და (6) განტოლებებში $k = 0,25$ და $g = 10 \text{ მ/სეკ}^2$ სიდიდეთა ჩასმით (მუდმივი ან ზრდადი დახრილობის კუთხის მქონე ფერდობებისათვის), გვექნება, რომ

$$v \leq 40 \text{ მ/სეკ}. \quad (7)$$

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიონის მთავარი ქედის მიღამოებში ვხვდებით თოვლის ზეავებს, რომელთა მოძრაობის სიჩქარე აღემატება 60—70 მ/სეკ, რაც, ცხადია, ეწინააღმდეგება (7) უტოლობას. კავკასიონზე თოვლის საბურჯლის წარმოქმნის პირობებისა და თოვლის ზეავების მოძრაობის თავისებურებათა ანალიზის შედეგით ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორის მიერ მიღებული იყო მოძრაობის შემდეგი დიფერენციალური განტოლება [1]:

$$\frac{d(mv)}{dt} = \frac{mg \sin(\alpha - \varphi)}{\cos \varphi} - k_1 Hv^2, \quad (8)$$

სადაც მხედველობაში მიღებულია თოვლის ზეავის ძირითადი თვისება, რომ იგი გზადაგზა იქრებს თოვლის ახალ მასებს და მის ხარჯზე განუწყვეტლივ იზრდება (H წარმოადგენს ზეავის ფრონტის სიმაღლეს). ზეავის ცვლადი მასისათვის მიღებულია გამოსახულება:

$$m = k_2 \rho h s, \quad (8')$$

თოვლის ზეავის მიერ უძრავ წინააღმდეგობაზე დარტყმით გამოწვ. ძალის გაანგარიშული 4391922

სადაც k_2 განკუნებული კოეფიციენტია, დამოკიდებული ზეავური თოვლის ტიპიურობასა და ქვენაგებ ზედაპირზე ($0 \leq k_2 \leq 1$), ρ და h —შესაბამად ფერდობზე მდებარე თოვლის საბურვლის სიმკვრივისა და სიმაღლის საშუალო მნიშვნელობანი. შესაბამი საწყისი პირობების დაცვით მე-(8) დიფერენციალური განტოლების ამოხსნა გვაძლევს თოვლის ზეავის მოძრაობის სიჩქარის შემდეგ გამოსახულებას:

$$v = \sqrt{\frac{2gs\rho \sin(\alpha - \varphi)}{(3\rho + 2\lambda) \cos \varphi} \left[1 - \left(\frac{s_0}{s} \right)^{3+\frac{2\lambda}{\rho}} \right]}, \quad (9)$$

სადაც s_0 მოწყვეტილი ფენის სიგრძეა, ხოლო

$$\lambda = \frac{k_1 H}{k_2 h}.$$

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ქვედა უბნებისათვის $s_0 \ll s$, მაშინ (9) ფორმულა შედარებით მარტივ სახეს მიიღებს:

$$v = \sqrt{\frac{2gs\rho \sin(\alpha - \varphi)}{(3\rho + 2\lambda) \cos \varphi}}. \quad (9')$$

სიჩქარის სიდიდე, რომელიც (9') ფორმულით გამოითვლება, გვაძლევს დაკვირვებით მიღებულ შედეგებთან უკეთეს თანმთხვევას, (5) განტოლებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში, როდესაც ფერდობი დაქანების კუთხის მკვეთრი ცვლილებით ხასიათდება, მაშინ იგი დაიყოფა ცალკეულ s_1, s_2, \dots, s_n უბნებად შესაბამისი $\alpha_1, \alpha_2, \dots, \alpha_n$ დაქანებით და ყოველი უბნისათვის ამოიხსნება მე-(8) დიფერენციალური განტოლება სათანადო საწყისი პირობებით. v_i სიჩქარე ნებისმიერ i -ურ უბანზე გამოისახება ფორმულით

$$v_i = \sqrt{\frac{a_i s \rho}{2\rho + \lambda} \left[1 - \left(\frac{s_{i-1}^0}{s} \right)^{2+\frac{\lambda}{\rho}} \right] + \left(\frac{s_{i-1}^0}{s} \right)^{1+\frac{\lambda}{\rho}} v_{i-1}^2}, \quad (10)$$

სადაც

$$a_i = \frac{2g \sin(\alpha_i - \varphi)}{\cos \varphi}, \quad s_{i-1}^0 = \frac{k_2 h}{H} \sum_0^{i-1} s_j.$$

ამრიგად, უძრავ წინააღმდეგობაზე თოვლის ზეავის დარტყმის ძალა შეიძლება განისაზღვროს მე-(3) ფორმულით, სადაც მოძრაობის π —სიჩქარის სიდიდე განისაზღვრება მე-(9) ან მე-(10) ფორმულიდან. როგორც ამ ფორმულებიდან ჩანს, ρ -ს გაანგარიშებისათვის საჭიროა ვიცოდეთ წინააღმდეგობაზე მოქმედი თოვლის ზეავის ძალის მაქსიმალურად შესაძლებელი სიდიდე, ამიტომ მე-(3) და მე-(9) ფორმულების მარჯვენა ნაწილში შემავალი პარამეტრები ისე უნდა იყოს შერჩეული (მოცემული რაიონის დამახსიათებელ მნიშვნელობათა საზღვრებში), რომ ისინი შეესაბამებოდნენ მაქსიმალურ ρ -წევას: $\rho = 0,35$, $\varphi = 19^\circ$, $k_2 = 1$, $k_1 = 0,10$.

მიღებულ ფორმულათა საფუძველზე შედგენილია ρ_{\max} -თათვის ცხრილები α, s, h -ის სხვადასხვა მნიშვნელობისათვის.

I $h = 1 \text{ } \vartheta, H = 3 \text{ } \vartheta.$

α	s				
	500	750	1000	1250	1500
20	6,81	8,55	10,1	11,5	12,8
25	19,5	25,3	30,8	35,9	41,1
30	29,0	38,3	47,1	55,6	63,9
35	37,3	50,0	62,1	73,9	85,5
40	45,0	60,9	76,2	91,2	103,9

II $h = 2 \text{ } \vartheta, H = 3,5 \text{ } \vartheta.$

α	s				
	500	750	1000	1250	1500
20	7,5	9,4	11,1	12,6	14,1
25	21,7	28,3	34,5	40,4	46,1
30	32,4	43,1	53,2	63,1	72,7
35	41,9	56,5	70,6	84,2	97,6
40	50,8	69,2	86,7	104,3	121,5


III $h = 3 \text{ } \vartheta, H = 5 \text{ } \vartheta.$

α	s				
	500	750	1000	1250	1500
20	7,5	9,5	11,2	12,8	14,3
25	21,8	28,4	34,9	40,8	46,6
30	32,8	43,7	54,1	64,1	73,8
35	42,2	55,8	71,7	85,5	99,1
40	51,6	70,8	88,5	106,3	123,9

IV $h = 5 \text{ } \vartheta, H = 6,5 \text{ } \vartheta.$


α	s				
	500	750	1000	1250	1500
20	7,7	9,6	11,4	13,0	14,6
25	22,4	29,3	35,7	42,2	47,8
30	33,6	44,9	55,3	65,8	76,1
35	43,6	57,3	73,6	87,6	102,1
40	52,9	72,3	93,2	109,3	127,5

ქვემოთ მოყვანილია პერპენდიკულარულ დაბრკოლებაზე თოვლის ზეავის მაქსიმალური დარტყმის გრაფიკები (დატვირთვა გამოსახულია $\text{ტ}^2/\text{მ}^2$) h და H -ის სხვადასხვა მნიშვნელობათათვის.




სურ. 1

თოვლის ზვავის პერპენდიკულარულ დაბრ-კოლებაზე მაქსიმალური დარტყმის გრა-ფიკი ($h=1$ გ, $H=3$ გ)




სურ. 2

თოვლის ზვავის პერპენდიკულარულ დაბრ-კოლებაზე მაქსიმალური დარტყმის გრა-ფიკი ($h=2$ გ, $H=3,5$ გ)



სურ. 3

თოვლის ზვავის პერპენდიკულარულ დაბრ-კოლებაზე მაქსიმალური დარტყმის გრაფიკი ($h=3$ გ, $H=5$ გ)



სურ. 4

თოვლის ზვავის პერპენდიკულარულ დაბრ-კოლებაზე მაქსიმალური დარტყმის გრაფიკი ($h=5$ გ, $H=6,5$ გ)

მოყვანილ ფორმულათა და გრაფიკების საშუალებით შესაძლებელია მოცემული ადგილისათვის განისაზღვროს თოვლის ზვავის დარტყმის მაქსიმალური ძალა, თუ ცნობილია ზვავსაშიში ფერდობების დახრილობის კუთხის მნიშვნელობა, მანძილი თხემსა და ნაგებობას შორის და თოვლის საბურვლის მაქსიმალური სილრმე მოცემულ რაონბში.

როგორც ცხრილებიდან და გრაფიკებიდან ჩანს, დარტყმის მაქსიმალური ძალა (თოვლის საბურვლის მაქსიმალური სილრმისათვის 3-დან 5-მეტ-რამდე) უმთავრესად თოვლის ზვავის კალაპოტის სიგრძესა და აღგილმდებარეობის დაქანების კუთხეზეა დამოკიდებული. ამიტომ მიზანშეწონილია ზვავ-

საწინააღმდეგო ნაგებობა აღმართული იყოს მთიანი სისტემის ზედა ნაწილში,
 სადაც განვლილი მანძილის სიგრძე შედარებით მცირება.

მიუხედავად იმისა, რომ ამოცანა სრულიად არ არის გადაწყვეტილი,
 ავტორები მაინც იმედოვნებენ, რომ ჩატარებული გაანგარიშებანი ნაწილობ-
 რივ დაეხმარება ინჟინერ-პრაქტიკოსებს შეავსონ ამ საკითხში არსებული
 ხარვეზები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 გეოფიზიკის ინსტიტუტი
 თბილისი

(რედაქტორის მოუვიდა 27.5.1954)

დაოჭებული ლიტერატურა

1. Д. Н. Гонгадзе. Некоторые вопросы теории образования и движения снежных лавин. Труды Института геофизики АН ГССР, т. XIII, Тбилиси, 1953.
2. А. Г. Гофф и Г. Ф. Оттен. Экспериментальное определение силы удара снежных обвалов. Изв. АН СССР, серия геогр. и геоф. № 23, 1939.
3. Г. Г. Саатчян. Снег и снежные обвалы. Тбилиси, 1936.
4. Г. К. Сулаквелидзе. К вопросу об образовании и движении снежных лавин. Труды Института физики и геофизики АН ГССР, т. XI, 1949.
5. Г. К. Сулаквелидзе. Удар снежной лавины о неподвижную стенку. Сообщения АН ГССР, т. XII, № 5, 1951.
6. Г. К. Тушинский. Лавины. М., 1949.

ლ. ჩიგოზიძე და რ. ლალიძე


წ-ქლორეთილბენზოატის მიღების ახალი პრეპარატული გეთოდი

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ციციშვილმა 17.12.1954)

უწყლო AlCl_3 -ის თანაობით ზოგიერთი მრავალატომიანი სპირტის რთული ეთერების არომატულ ნახშირწყალბადებთან კონდენსაციათა რეაქციების შესწავლისას ერთ-ერთი ჩვენთაგანის მიერ [1] დადგენილი იყო შემდეგი საინტერესო ფაქტი: ეკვიმოლეკულური რაოდენობა უწყლო AlCl_3 -ის მოქმედებით დიეთილენგლიკოლის დიაცეტატი თითქმის ოდენობრივად განიცდის გახლებას მარტივი ეთერის ჟანგბადის კავშირთან, ორი მოლეკულა წ-ქლორეთილაცეტატის წარმოქმნით. ანალოგიური სურათი შემჩნეული იყო აგრეთვე უწყლო AlCl_3 -ის ურთიერთქმედებისას ტრიეთილენგლიკოლის დიაცეტატთან, მაგრამ ამ შემთხვევაში წ-ქლორეთილაცეტატთან ერთად ადგილი აქვს 1,2 დიქლორეთანის წარმოქმნასაც.

ზემოხსენებულის საფუძველზე გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ განხილული რეაქცია, როგორც ჩანს, ზოგადი ხასიათისაა და იგი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს რიგი ქლორიანი ეთერების მისაღებად. წინამდებარე შრომაში ჩვენს მიზანს შეადგენდა ალნიშნული რეაქციის გავრცელება ზოგიერთი სხვა შერეული ეთერების მიმართ. ამ მიმართულებით შესწავლილი იყო უწყლო AlCl_3 -ის ურთიერთქმედება დიეთილენგლიკოლისა და ტრიეთილენგლიკოლის დიბენზოატებთან, საიდანაც ჩანს, რომ მიღებული შედეგები საგრძნობლად განამტკიცებენ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას.

როგორც დასახელებული გლიკოლების ძმარმავა ეთერებისათვის, ისე მათი დიბენზოატებისთვისაც გახლების რეაქციები უწყლო AlCl_3 -ის მოქმედებით ქვემომოყვანილი სქემის შესაბამისად მიმდინარეობს:



წ-ქლორეთილბენზოატის გამოსავალი თეორიულის მიმართ პირველ შემთხვევაში 88,5% -ს აღწევს, მეორე შემთხვევაში კი 71,1% -ს.



ამგვარად, მოლეკულაში მარტივი ეთერის ჟანგბადისა და რთული ეთერის მევაური ნაშთის არსებობისას უწყლო AlCl_3 -ის მოქმედება უპირატესად მიმართულია პირველი მათგანის კავშირის გახლებისაკენ; მაგრამ ინტერესი ჩვენ მიერ შესწავლილი რეაქციებისადმი მარტო ამით არ ამოიწურება: განხილული რეაქციები შესაძლებელია გამოყიყენოთ როგორც ადვილად ხელმისაწვდომი და მოხერხებული პრეპარატული მეთოდი მ-ქლორეთილბენზოატის მისაღებად. ამ შემთხვევაში რეაქცია ძალიან კარგად მიმდინარეობს, თანამდეპროდუქტების წარმოქმნის გარეშე, და იგი შესაძლებელია დასრულებულ იქნეს მცირე დროის განმავლობაში.

ჩვენ მიერ მოწოდებული მეთოდებისაგან განსხვავებით, ამჟამად გავრცელებული გზა მ-ქლორეთილბენზოატის სინთეზისა, რომელიც დაფუძნებულია ქლორინინი ბენზოილის ურთიერთქმედებაზე ეთილენქლორპიდრინთან, საგრძნობი სიძნელეებით ხასიათდება. ეს სიძნელეები დაკავშირებულია როგორც ეთილენქლორპიდრინის სუფთა სახით მიღებასთან, ისე საბოლოო პროდუქტის გამოყოფასთან. ამ შერივ მ-ქლორეთილბენზოატის სინთეზის უფრო მოხერხებული და მარტივი გზა მოწოდებული იყო გოლდფარბისა და სმორგონსკის მიერ [2], მაგრამ მისი გამოსავალი ავტორების მიერ აღწერილ პირობებში $70\%_o$ -ს არ აღმატება და მ-ქლორეთილბენზოატის წარმოქმნასთან ერთად თანამდეპროდუქტის სახით ადგილი აქვს ეთილენგლიკოლის დიბენზოატის წარმოქმნასაც.

ექსპერიმენტული ნაწილი

დიეთილენგლიკოლისა და ტრიეთილენგლიკოლის დიბენზოატები მზადდებოდა შოტტენბაუმანის მეთოდით—ბენზოილქლორიდისა და შესაბამისი გლიკოლის ურთიერთქმედებით პირიდინის არეში. ამ გზით მიღებული დიეთილენგლიკოლის დიბენზოატი შემდეგი თვისებებით ხასიათდება: დ. ტ. 206—207° 1—1,5 მმ წნევაზე d_{4}^{20} 1,1743; n_{D}^{20} 1,5458. ლიტერატურული მონაცემებით დ. ტ. 235—237° 7 მმ წნევაზე; d_{4}^{20} 1,1751; n_{D}^{20} 1,5448 [3].

მიღებულ დიბენზოატში ბენზოლირების ხარისხს გამოწებდით შესაპვნით, რისთვისაც ვიყენებდით 0,5N ტუტის სპირტიან ხსნარს. ტრიეთილენგლიკოლის დიბენზოატის აწერა ლიტერატურაში ვერ ვნახეთ. ჩვენ მიერ მიღებული პროდუქტი (გამოსავალი $77,56\%$ ოქორიულის მიმართ) შემდეგი თვისებებით ხასიათდება: დ. ტ. 226—230° 1—1,5 მმ წნევაზე d_{4}^{20} 1,1717, n_{D}^{20} 1,5353.

შესაპვნისათვის 0,0293 გრ ნივთიერების წონაკზე დაიხარჯა 0,36 მლ. 0,5N KOH-ის სპირტიანი ხსნარი. ოქორიულად საჭიროა 0,32 მლ.

შესაპვნისათვის 0,04436 გრ ნივთიერების წონაკზე დაიხარჯა 0,5 მლ. 0,5 N KOH-ის სპირტიანი ხსნარი. ოქორიულად საჭირო რაოდენობა 0,48 მლ.

ელემენტარული ანალიზი

ნაპოვნია %: C 67,18; 67,73; %: H 5,7; 6,23;

$C_{20}H_{22}O_6$ გამოვლილია %: C 67,03; %: H 6,14;

ყველა ცდის დროს უწყლო $AlCl_3$ -ს და დასახელებული გლიკოლების დიბენზოატებს ვლებულობდით მოლარული თანაფარდობით.

I. უწყლო $AlCl_3$ -ისა და დიეთილენგლიკოლის დიბენზოატის ურთიერთქმედება

ქვემოთ მოგვავს ალწერა ერთ-ერთი ცდისა იმ მრავალრიცხოვანი ცდებიდან, რომლებიც ჩატარებული იყო ჩვენ მიერ უწყლო $AlCl_3$ -ის ურთიერთქმედების შესასწავლად დიეთილენგლიკოლის დიბენზოატთან.

მრგვალირა კულაში, რომელიც ალჭურვილი იყო უკუმაცივრით, ვათვ-სებდით 13 გრ დიბენზოატს. კულას პერიოდულად ვანჯლრევდით და ერთ-დროულად მცირე რაოდენობებით ვუმატებდით 6 გრ უწყლო $AlCl_3$ -ს. რეაქცია იწყებოდა სარეაქციო ნარევის სუსტი შეთბობით და შემდეგ საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა; ამის გამო პროცესის რეგულირებისათვის კულა საჭიროებდა თანამიმდევრობით გაციებას და შემდეგ შეთბობას. რეაქცია ჩვენს ცდებში გრძელდებოდა 45 წუთიდან 1 საათამდე.

წარმოქმნილი კომპლექსი დაშლილ იქნა შემჟავებული წყლით გამოწვლილული ეთერით, გარეცხილი სოდის სუსტი ხსნარით, შემდეგ წყლით, და გამშრალი უწყლო ნატრიუმის სულფატზე. გამხსნელის მოშორების შემდეგ ნაშთი დაფრაქციონირებულ იქნა. ძირითადი მასა გამოიხადა 100—102° 1—2 მმ წნევაზე. ამ გზით სულ მიღებული იყო 13,5 გრ β -ქლორეთილბენზოატი (გამოსავალი 88,5%) თეორიულის მიმართ).

n_D^{20} 1,526; d_4^{20} 1,1953; ლიტერატურული მონაცემებით [4] ის ხასიათდება:

დ. ო. 118—120° 1 მმ წნევაზე; დ. ო. 134° 30 მმ წნევაზე, d^{20} 1,172.

ქლორის განსაზღვრა

ნაპოვნია %: Cl 18,3; 18,9.

გამოვლილია %: Cl 19,25.

II. უწყლო $AlCl_3$ -სა და ტრიეთილენგლიკოლის დიბენზოატის ურთიერთქმედება

ამ შემთხვევაში რეაქცია მიმდინარეობდა სრულიად ანალოგიურად, მხოლოდ β -ქლორეთილბენზოატი მიღებულ იქნა ნაკლები გამოსავლით (71—72% თეორიულის მიმართ). გარდა β -ქლორეთილბენზოატისა, რეაქციის პროდუქტებიდან შესაძლებელი გახდა უმნიშვნელო რაოდენობით 1,2-დიქლორეთანის მიღება, დ. ო. 83—85°; d_4^{20} 1,2572.

დ ა ს კ გ ნ ე ბ ი

შესწავლილია უწყლო AlCl_3 -ის ურთიერთქმედების რეაქციები დიეთილ-ენგლიკოლისა და ტრიეთილენგლიკოლის დიბენზოატებთან. მოწოდებულია β -ქლორეთილბენზოატის მიღების ახალი პრეპარატული მეთოდი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

პ. მელიქიშვილის სახელმისამართი
 ქიმიის ინსტიტუტი
 თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 18.12.1954)

დამოუმზული ლიტერატურა

1. Р. М. Лагидзе. Реакция расщепления диацетата диэтиленгликоля действием безводного хлористого алюминия. Сообщения АН ГССР, т. XI, № 8, стр. 483, 1950.
2. Я. Л. Гольдфарб и Л. М. Сморгонский. Реакции диоксонатов и тетрагидрофуранатов хлорного олова и четыреххлористого титана с хлорангидридами кислот ИОХ, 8, 1516, 1933.
3. S. M. Mc Elvain and T. P. Carney. Piperidine derivatives XVII. Locul anesthetics Derived from Substituted Piperidinoalcohols. J. Am. Chem. Soc. 68, 2599, 1946.
4. W. R. Kirner. Benzoesäure-[β -chloräthylester] Zbl II S. 3043, 1926; Zbl IV s. 664, 1919.

გეოგრაფია

პ. პოვალიოვი

ბაქსანის ზემო ნაწილის თანამედროვე გაყინვარების
ზოგიერთი ნიშანი

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა შევრმა ა. ჯავახიშვილმა 5.5.1954)

ბაქსანის ზემო ნაწილი, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთაზე და გვერდითი ქედის ფარგლებში მდებარეობს, კავკასიის გაყინვარების ერთ-ერთ მძლავრ კერას წარმოადგენს. აქ ყინვართა საერთო რაოდენობა დაახლოებით 80-ს შეადგენს ([1], გვ. 101), მაგრამ მათი რაოდენობა ყინულის საფარის დევრადაციასთან დაკავშირებით განუწყვეტლივ იზრდება. ბაქსანის აუზის ზემო ნაწილის გაყინვარების საერთო ფართობი პ. დემჩენკოს გამოანარიშებით ([1], 101), 175,84 კვ. კმ უდრის, რომელთაგან იალბუზის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთების ყინვარებზე მოდის 64,30 კვ. კმ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან თანამედროვე გაყინვარებას, გარდა იალბუზისა, ადგილი აქვს ბაქსანის მარჯვენა შენაკადების — ადილ-სუსა და ადირ-სუს ხეობებში (ცხრილი 1), სადაც ფრიად ხელსაყრელი გეომორფოლოგიური პირაბებია: კალთების დამრეცობა, ვრცელი პლატოსებრი ფართობები, მაღალი მწვერვალები და განიერი ულელტეხილები, რაც შესაძლებლობას აძლევს ამიერკავკასიის ტენიანი ჰაერის მასებს გადავიდნენ კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, სადაც ისინი უხვ ნალექებს იძლევან.

ცხრილი 1

გაყინვარების ფართობები ბაქსანის ზედა შენაკადების ხეობებში ვ. სოჭოლნიკოვისა და
გ. პლატუნოვის [7] და კ. პოდოზერსკის [5] მონაცემებით

ნომერი	ხეობათა დასახელება	გაყინვარების ფართობი კვ. კმ-ით	ზედნული და დასახელება	გაყინვარების ფართობი კვ. კმ-ით
1	დონიუბ-ორუნი იუსტი	13,8	6	საქაშილი კირტიკი და
2	შევლდა	17,4	7	სილტონი ირიქი
3	ადილ-სუ	21,3	8	20,7
4	ადირ-სუ	23,0	9	22,4
5		34,9	10	9,9
				32,0



გაყინვარების ფართობთა მონაცემები, რომლებიც მოყვანილია კ. 3 ოდი თერსკის, ა. რეინგარდისა და სხვა მკვლევართა ნაშრომებში, ამჟამად საგრძნობლად მოძველდა და სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდნ მეტწილ შემთხვევებში ისინი შედგენილია 1887—1889 წწ. აგეგმვის კავკასიის ორვერსიანი რუკის საფუძველზე, ხოლო ყინვართა ფართობები მას აქეთ საგრძნობლად შემცირდა რუკის შედგენის შემდეგ ყინვართა განუწყვეტლივ უკანდახევის გამო. ეს ნათლად მტკიცდება რიგ ყინვართა ბოლოების ს. სოლომი იოვისა [8] და ი. ორენშიკოვის მიერ [4] აგეგმვის შედეგებით. ზოგიერთი ყინვარი საესებით გაქრა, ზოგიც გაიყო და ძლიერ შემცირდა მათი ფართობი ([1], გვ. 110).

ბაქასანის ზემო ნაწილის ზოგიერთი ყინვარის ფართობის შემცირების ჩვენ მიერ წარმოებული გამოანგარიშებანი (ცხრილი 2) გვიჩვენებს გაყინვარების ფართობის საგრძნობ შემცირებას 1887 წლიდან 1932 წლამდე, რაც დაახლოებით 0,5—5 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

ცხრილი 2
გაყინვარების ცვლილება ბაქასანის ზედა შენაკადების ხეობებში 1887—1942 წწ. პერიოდში

წელი	ყინვართა დასახელება	1887 წ. ფართობი კვ. კმ-ით	1932 წ. ფარ- თობი კვ. კმ-ით	ფართობის შემცი- რება 1887—1932 წწ. პერიოდში კვ. კმ-ით ⁽¹⁾	ფართობის შემცი- რება 1887—1932 წწ. პერიოდში %-%-ით
1	ირიქი	22,40	22,31	0,09	0,5
2	დასაკლეთის	4,67	4,53	0,14	3
3	კონიუმაკ-ჩირანი	1,16	1,10	0,06	5
4	ბაშყარა	6,93	6,83	0,10	1,5

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, განსაკუთრებით ძლიერ შემცირდა ($\%-%$ -ის მხრივ) მცირე ყინვართა ფართობები (კონიუმაკ-ჩირანის), იმ დროს როგორც სხვეილ ყინვართა (ირიქის) ფართობები უმნიშვნელოდ შემცირდა.

კიდევ უფრო საგრძნობლად შემცირდა ყინვართა სიგრძე. როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, რაიონის სხვადასხვა ყინვარი სიგრძეზე 3% -დან 18% -მდე შემცირდა. ეს იმას გვიჩვენებს, რომ ყინვართა ფართობები ძირითადად ყინვარის ენის შემცირების ხარჯზე მცირდება.

შესამჩნევად შეიცვალა ყინვართა ბოლოების აბსოლუტური სიმაღლეც, რაც ნათლად ჩანს მე-4 ცხრილიდან.

1887 წლიდან 1932 წლამდე განვლილი 45 წლის მანძილზე სიმაღლის მხრივ (აწევა) განსაკუთრებით დიდი ცვლილება ემჩნევა დასაკლეთის ყინვარს იუსენის ხეობაში (89 მ) და ბაშყარას ყინვარს ადილ-სუს ხეობაში (85 მ).

მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ რაიონის ყინვართა სივრცობრივი მდებარეობა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა.

(1) გამოანგარიშებულია ს. სოლომი იოვისა [8] და ე. ორენშიკოვის [4] მონაცემების მიხედვით.



ცხრილი 3

ყინვართა სიგრძის შემცირება 1887 წლიდან 1932 წლამდე

ნე რი გი ნი ტი ფი	ყინვართა დასახელება	ყინვარის სიგრძე მეტრობით 1887 წ.	ყინვარის სიგრძის შემცირება 1887— 1932 წწ. პერიოდში(1)	ყინვარის სიგრძის შემ- ცირება %%-ით
I	გარაბაში	6000	800	13
2	დიდი აზაუ	12500	525	4
3	ჯანკუათ-ჩირანი . .	3900	500	13
4	დასავლეთის . .	5930	450	8
5	კაშკა-ტაში . .	5200	430	8
6	ქონიუმაკ-ჩირანი	1910	350	18
7	ბაშყარა	4260	350	8
8	ოზენგი	3000	80—100	3

ყინვართა სიერცობრივი მდებარეობის საერთო შეცვლასთან ერთად იცვლებოდა მათი თოვლის ხაზის სიმაღლეც. სხვადასხვა მკვლევრის მონაცემები თოვლის ხაზის სიმაღლის შესახებ ამ რაიონში ძალიან ხშირად საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც, უმთავრესად, მკვლევართა მიერ გამოყენებული სხვადასხვა მეთოდიკით აიხსნება, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ აგრეთვე დიდ სხვაობათა მიღების შესაძლებლობაც დროში არსებული დიდი ხარვეზის გამო.

ცხრილი 4

ბაქესანის ზემო ნაწილის ზოგიერთი ყინვარის აბსოლუტური სიმაღლის ცვალებადობა 1887—1932 წწ. პერიოდში

ნე რი გი ნი ტი ფი	ყინვართა დასახელება	ყინვარის ბოლოს აბ- სოლუტური სიმაღლე მეტრობით	ყინვარის ბოლოს უკანდა- ხება 1887 წლიდან 1932 წლამდე მეტრობით გერ- ტიკალურად		
			1887 წ.	1932 წ.(1)	
I	თერსკოლი	2624	2640	16	
2	მცირე აზაუ დასავლეთის	2887	2895	8	
3	მცირე აზაუ ალმოსავლეთის	2351	2390	39	
4	კაზიუმაკ-ჩირანი	2980	3020	40	
5	დასავლეთის	2461	2550	89	
6	ოზენგი	2461	2470	9	
7	ბაშყარა	2365	2450	85	
8	შეცლდა	2215	2230	15	

კავკასიონზე თოვლის ხაზის სიმაღლის პირველი გამოკვლევა ეკუთვნის ი. სტებნიცეის (1873 წ.), რომელიც აღნიშნავს, რომ კავკასიონის ჩრდილოეთი კალთის ყინვარების თოვლის ხაზის სიმაღლე დაახლოებით 3200 მეტრს უდრის.

(1) ს. სოლოვიოვის [8] და ე. ორეშნიკოვის [4] მონაცემებით.

1877 წელს თოვლის ხაზის სიმაღლეს კავკასიონის ზოგიერთი ნაწილი შემდეგი სათვის არკვევდა პ. ა ბ ი ხ ი ([6], გვ. 1). იალბუზის დასავლეთი კალთისათვის მან თოვლის ხაზის სიმაღლე 3329 მეტრით განსაზღვრა.

1910 წელს ა. რეინგარდ მა [9], რომელიც გეოგრაფიული მეთოდით სარგებლობდა, უმთავრესად ხუთვერსიანი რუკის მონაცემებისა და არსებულ დაკვირვებათა საფუძველზე განიხრახა დაახლოებით გამოერკვია მთელი კაშკასიონის თოვლის ხაზის სიმაღლე. მან შეადგინა რუკა, რომელზეც თოვლის ხაზის სიმაღლე აღნიშნულია იზოპიფსების საშუალებით. მიუხედავად ამისა, ამ რუკაზე მოცემული ცნობები არ გამოიჩევა სიზუსტით და, როგორც თვითონ ავტორიც აღნიშნავს ([6], გვ. 2), დეტალური გამოკვლევისათვის არასაკმარის.

1916 წელს ა. რეინგარდ მა, ისარგებლა რა 1 : 42000 მასშტაბიანი სამხედრო-ტოპოგრაფიული აგეგმვის რუკით, გამოიანგარიშა (კუროგსკის მეთოდით) თოვლის ხაზის სიმაღლე კავკასიონის დასავლეთი ნაწილისათვის [6]. ა. რეინგარდმა თავის ნაშრომში დაურთო თოვლის ხაზის იზოპიფსებიანი რუკა, დატანილი ხუთვერსიანი მასშტაბის რუკაზე. ჩვენ მიერ აღწერილი რაონისათვის ამ ნაშრომში მოცემულია თოვლის ხაზის სიმაღლის განსაზღვრა იალბუზზე, მის სამხრეთ-აღმოსავლეთ შტოებზე, აგრეთვე ბაქსანის მარჯვენა შენაკადების—დონლუზ-ორუნის, იუსენგისა და ნაწილობრივ ადილ-სუს ხეობებში. იგი აღნიშნავს იალბუზის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთი კალთების ცალკეული ყინვარების თოვლის ხაზის სიმაღლის შემდეგ მონაცემებს ([6], გვ. 21): ყინვარები ორიქი, ორიქ-ჩატი—3800 მ, ყინვარები ორსკოლი, გარაბაში, შცირე აზაუ—3850 მ და დიდი აზაუ—3790 მ.

ყინვართა თოვლის ხაზის სიმაღლე იალბუზის სხვადასხვა კალთაზე სხვადასხვანაირია. ჩრდილოეთ კალთებისათვის ა. რეინგარდი ([6], გვ. 22) აღნიშნავს თოვლის ხაზის სიმაღლეს 3900 მ, დასავლეთ კალთისათვის კი 3700 მ, რაც, მისი აზრით, დამოკიდებულია კალთების სხვადასხვა მორფოლოგიასა და კალთების მიმდებარე რაიონების კლიმატის სიმშრალის სხვადასხვაობაზე. ესოდენ მაღალი თოვლის ხაზი ჩვენ გვაქვს მხოლოდ იალბუზის კალთებზე, იმ დროს როცა მის განშტოებებზე ის საგრძნობლად უფრო დაბალია (3200—3600 მეტრამდე), რაც დაკავშირებული უნდა იქნეს იალბუზის მასიური აზიდვის გავლენასთან ([6], გვ. 22).

იალბუზის სამხრეთ-აღმოსავლეთი ტოტებისათვის ა. რეინგარდი მიუთითებს კირტიკის ხეობის მცირე ყინვარების (მისი აღნიშვნის მიხედვით 328 და 329) თოვლის ხაზის სიმაღლეს—3390 მ ([6], გვ. 50). ბაქსანის ზედა ნაწილის მარჯვენა კალთებისათვის (ჭვიბერ-აზაუს ყინვარი, დონლუზ-ორუნის ხეობის ყინვარები) რეინგარდი აღნიშნავს თოვლის ხაზის სიმაღლეს 3240 მ, ხოლო იუსენგის ხეობისათვის —3260 მ ([6], გვ. 25).

ყველა ზემოთ მოყვანილი მონაცემი რაონის თოვლის ხაზის სიმაღლის შესახებ უთუთოდ არ შეესაბამება მის დღევანდელ მდებარეობას და, როგორც გვიჩვენებს ჩვენი დაკვირვებები თოვლის ხაზის ფაქტობრივ სიმაღლეზე, ის ა. რეინგარდის მიერ აღნიშნულ სიმაღლეზე 50—60 მ უფრო მაღალია.



აღნიშვნული რაიონის ყველა ყინვარი ხასიათდება უკანდახევით, რაც აღნიშვნული რაიონის საერთო გათბობით [1]. მაგრამ ცნობილია აღწერილი რაიონის ზოგიერთი ყინვარის წინსვლის შემთხვევებიც (დიდი აზაუ, ადირ-სუ, შეცლდა და სხვ.), თუმცა მათი წინსვლითი მოძრაობა უკანდახევის საერთო ფონზე მეტად უმნიშვნელოდ უნდა მივიჩნიოთ.

ყინვართა ბოლოების მოძრაობის სიჩქარეზე საგრძნობ გავლენას ახდენს ტემპერატურის შეცვლა [8]. მაღალი ტემპერატურის დროს ყინვართა დნობა უფრო ენერგიულად წარმოებს, ვიდრე დაბალი ტემპერატურის დროს, ამიტომ ყინვარის წინსვლითი მოძრაობა ძლიერი აბლაციის პირობებში ნებლდება.

ყინვარის სივრცობრივ მდებარეობაზე კიდევ უფრო საგრძნობ გავლენას ახდენს ნალექები. წინა წლებში მოსული ნალექების რაოდენობასთან დაკავშირებით, ყინვარის ბოლოსთან მოდიან სხვადასხვა სიმძლავრის ყინულის მასები, და რამდენადც მეტია მათი სიმძლავრე, მით უფრო დაბლა შეუძლიათ დაეშვან, სანამ სულ გადნებოდნენ. ყინვარის კიდეზე ყინულის სიმძლავრის გადიდებასა და მისი აბლაციას შესუსტებას შორის ხელსაყრელი შეფარდების პირობებში შესაძლებელია მხოდეს ყინვარის წინსვლა. ყინვართა წინსვლის დაკავშირება მხოლოდ ტემპერატურის დაკლებასთან ძნელია, რადგან ასეთ შემთხვევაში წინსვლით მოძრაობას უნდა ჰქონდეს გაცილებით უფრო ფართო და არა გამონაკლისის ხასიათი, როგორც ამას ვამჩნევთ სინამდვილეში: იმ დროს, როცა რამდენიმე ყინვარი განიცდის წინსვლას, ყინვართა უმეტესობა უკანდახევას განაგრძობს.

შეცლდისა და ჩეგეთყარა-ჩირანის ყინვარების წინ წამოწევა და შემდეგ უკანდახევა შეიძლება აიხსნას ყინვარების სუსტი აბლაციით იმის გამო, რომ ისინი დაფარული არიან ზედაპირული მორენის სქელი ფენით.

ბაქესანის ზემო ნაწილში არის სხვადასხვა ფორმისა და კვების პირობებით განსხვავებული ყინვარები [4]. აქ შეიძლება გამოიყოს:

1. ყინვარები, რომელთაც კვების რამდენიმე მსხვილი არე აქვთ (შეცლდის);

2. ყინვარები, რომლებიც იკვებებიან კვების საერთო აუზიდან (იალბუზის ყინვარები);

3. ყინვარები, რომლელთაც აქვთ კვების ერთი მსხვილი არე (ჯანკუათ-ჩირანი);

4. ყინვარები, რომლებსაც არა აქვთ ფირნის ცირკი და იკვებებიან მოკლე, ციცაბოდ ვარღნილი შტოებისა და ზვავების ხარჯზე (ბაშყარა);

5. ყინვარები, რომლებიც არსებობენ მხოლოდ ზვავების ხარჯზე (ჩეგეთყარა-ჩირანი);

6. აღდგენილი ყინვარები (რეგენერირებულნი), რომლებიც იკვებებიან ყინულის ჩამონანგრევებით. ისინი ფლატის ძირში კვლავ იყინებიან და ჩნდება ახალი ყინვარები (კაშკა-ტაში, თერსკოლი);

7. კარული ყინვარები (ირიქის ხეობაში).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
განახლების სამსახურის მინიჭილი
თბილისი

ҚАЗАҚСТАНДА БОЛЫҚАТШАЛЫ

1. М. А. Демченко. До зледеніння Центрального Кавказу. Наукові записки харківського державного педагогічного інститута, т. IV, 1940.
2. П. В. Ковалев. Ледник Шхельды. Известия Всесоюзн. географического общества, т. 83, в. 6, 1951.
3. П. В. Ковалев и Г. П. Дубинский. Долина Адыл-су. Побежденные вершины. Ежегодник советского альпинизма. 1951.
4. Е. И. Орешникова. Ледники Эльбрусского района по исследованиям 1932—33 гг. Труды ледниковых экспедиций, в. 5, 1936.
5. К. И. Подозерский. Ледники Кавказского хребта. Зап. Кавказ. отдел. русского географич. общества, т. 29, в. 1, 1911.
6. А. Л. Рейнгард. Снеговая граница в Западном Кавказе между Эльбрусом и Марухом. Известия Кавказск. отдел. русского географич. общества, т. 24. № 3, 1916.
7. В. М. Сокольников и Г. А. Платунов. Водоносность ледниковых рек верховьев реки Баксан и ее притоков. Исследование ледников СССР, в. 2—3, 1935.
8. С. П. Соловьев. О состоянии ледников Эльбрусского района и к вопросу о причине их отступания. Известия Государств. географического общества, т. 65, в. 2, 1933.
9. A. Reinhard. Zur Lage der Schneegrenze im Kaukasus. Zeitschrift der Ges. f. Erdkunde in Berlin, 1911.



ზეოლიფიტი

მ. რუბიშვილი

საქართველოს ზოგი მაგისტრი ჭარმონაშვილის აბსოლუტური ასაკის შესახებ

(ჭარმონადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. ჯანელიძემ 29.4.1955)

მას შემდეგ, რაც ბუნებრივი რადიოაქტიური დაშლა და ამ პროცესის სიჩქარის ერთზომიერობა აღმოაჩინეს, აშკარა გახდა, რომ ეს მოვლენა გეო-ლოგებს ხელში აძლევს ძლიერ იარაღს, რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება გეოლოგიური ჭარმონაქმნების ასაკის დადგენა წლების მიხედვით, რასაც ჩვეულებრივად, თუმცა არც თუ ისე მოხდენილად, აბსოლუტურ ასაკს უწოდებენ.

მაგმური მინერალების აბსოლუტური ასაკის დადგენის კლასიკურ მე-თოდებს ტყვიისა და ჰელიუმის მეთოდები ჭარმონადგენენ, რომელთაც საფუ-ძვლად უდევს ურანის, აქტინოურანისა და თორიუმის გადასვლა ტყვიასა და ჰელიუმში.

მაგრამ ამ მეთოდების ფართო გამოყენება გეოლოგიურ პრაქტიკაში შეზღუდულია საჭირო მინერალების მცირე გავრცელებით, სათანადო გაზომ-ვების ჩატარების ხატარების ხანგრძლივობითა და მეთოდური სიძნელეებითაც. ბოლო დროს რამდენიმე ახალი მეთოდი დამუშავდა (სტრონციუმის, ნახშირბაზის, არგონის, ქსენონისა და ზოგი სხვა), — რომელთა შორის ყველაზე პერსპექტი-ული ჯერჯერობით არგონის მეთოდია.

ასაკის გამოთვლა შემდეგი ფორმულის მიხედვით ხდება: $\bar{N} = N$ ($\lambda t = 1$), სადაც \bar{N} რადიოაქტიური შეცვლის პროცესის ატომთა რაოდენობაა, N — დღემდე შეუცვლელი რადიოაქტიური ელემენტის ატომთა რიცხვის ჭარმონად-გენს, λ ე. წ. დაშლის კონსტანტია, რომლის განზომილება დროის შებრუ-ნებითია, ხოლო t მინერალის ასაკია წლების მიხედვით.

არგონის მეთოდი, რომელიც პირველად ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ე. გერლინგის მიერ იქნა დამუშავებული [2], კალიუმის იზოტოპის K^{40} -ის რადიოაქტივობის განსაკუთრებულ ტიპზე დამყარებული, რომელიც K —ჩაჭე-რის სახელით არის ცნობილი. ამ იზოტოპის ნაწილი ბირთვთან ახლობელი ელექტრონული გარსის ერთი ელექტრონის ჩაჭერის გზით Ar^{40} -ში გადა-დის. კალიუმის შემცველი მინერალის ასაკის დასადგენად საჭიროა მასში კალიუმისა და მის ხარჯზე ჭარმონშობილი არგონის განსაზღვრა. გარდა ამისა, უნდა ვიცოდეთ როგორც კალიუმის, ისე ატმოსფერული არგონის იზოტოპუ-რი შედეგენილობა და K^{40} -ის დაშლის კონსტანტებიც.



არგონის მეთოდის პრაქტიკული ათვისების საქმეში მნიშვნელოვან წინსულის წარმოადგენს ხ. ამირხანოვის და ი. გურვიჩის გამოკვლევები, რომელიც სატარდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის ფიზიკის ლაბორატორიაში. ამ გამოკვლევების შემდეგ ბევრად გაუმჯობესდა არგონის შემცველობის დაგენის მეთოდიკა და მნიშვნელოვნად გაიზარდა გაზომვების შესაძლებელი რაოდენობაც.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის ფიზიკის ლაბორატორიასთან თანამშრომლობით, საქართველოს მაგმური წარმონაქმნების აბსოლუტური ასაკის რიგი გაზომვა ჩაატარა.

კალიუმის რაოდენობა ნიმუშებში განსაზღვრულ იქნა გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტის ქიმიურ ლაბორატორიაში ო. რაზმაძისა და ბ. ლაშესის მიერ, ხოლო რადიოგენული არგონის რაოდენობა—სსრ კავშირის მეცნ. აკადემიის დაღესტნის ფილიალის ასპირანტ ს. სარდაროვის მიერ. გაზომვებისათვის საჭირო მასალის შერჩევაში მონაწილეობა მიიღეს ა. გამყრელიძემ, გ. ზარიძემ, ნ. თათრიშვილმა, ა. კიკიანმა, ნ. სხირტლაძემ და შ. ჯავახიშვილმა; ცდების ჩატარებაში მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწიეს ხ. ამირხანოვმა და ი. გურვიჩმა, რისტვისაც ყველას გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

შესწავლის ერთ-ერთ ძირითად ობიექტად ჩეგნ მიერ შერჩეულ იქნა ძირულის მასივის ფარგლებში ცნობილი იურულისჭინა პეგმატიტები. ეს მასივი საქართველოს ბელტის ძველი სუბსტრატის აზევებული ნაწილია და მის უძველეს ნაწილს წარმოადგენს გ. ზარიძისა და ნ. თათრიშვილის მიერ [4] დეტალურად შესწავლილი მეტამორფული ქანების კომპლექსი. ეს არის ძირითადად გრანიტული მასალით ინიცირებული კრისტალური ფიქლები; არაინიცირებული და სუსტად ინიცირებული ქანები შედარებით იშვიათია და ამფიბოლიტებითა და რეატიუარა-ბიოტიტიანი ფიქლებით არის წარმოდგენილი. შეიმჩნევა ინიცირებული კრისტალური ფიქლების თანდათანი გადასვლა გნეისისებურ კვარციან დიორიტებში. კრისტალური ფიქლები სერპენტინიტებითა და გაბრიოდებით იკვეთება.

კრისტალური ფიქლების გვერდით ძირულის მასივში ცნობილია უფრო სუსტად მეტამორფიზებული ქანების გამოსავლებიც, ე. წ. ფილიტების წყება. ამ წყებაში, რომლის შედეგნილობაში სხვადასხვა მეტამორფული ფიქლები მონაწილეობენ, არის მარმარილოს ლინზებიც არქეოციატების კამბრიული ფაუნით.

კრისტალური ფიქლებისა და ფილიტების დამოკიდებულება მთლად გამორკვეული არაა, თუმცა საკმაოდ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ეს იყოს ნაწილები ერთისა და იმავე მეტამორფული კომპლექსისა, რომელმაც კამბრიულის შემდგომი რეგიონული და ინიცირული მეტამორფიზმი განციდა [4,6].

იურულისჭინა მეცნიერების მოქმედების შემდეგი ფაზისი გამოიხატება ვარდისფერი, იშვიათად რუხი, ხშირად პორფირისებური, ბიოტიტიანი და ორქარსიანი მიკროკლინიანი გრანიტების შემოჭრაში. ამ გრანიტებ-



თან არის დაკავშირებული ალიასკიტები, აპლიტები და პეგმატიტების უბნები.

ძირულის მასივის პალეოზოურის შემდგომი ინტრუზიული წარმონაქმნები შუაიურული გრანიტოდებითა (ხევის-ჯვრის ინტრუზია) და მჟავე და ფურე ჰიპაბისური სხეულებით არის წარმოდგენილი.

ვარდისფერ გრანიტებთან დაკავშირებულ პეგმატიტურ უბანთაგან უდიდესია შროშისა, რომელიც მდ. მდ. გეზრულასა და მაჭარულას წყალგამყოფზე მდებარეობს. აქ რამდენიმე ათეული პეგმატიტური ძარღვია ცნობილი, რომლებიც ან ვარდისფერი გრანიტების მიერ ინიცირებულ გნესისებურ კვარციან დიორიტებში, ან მათი გამკვეთი გაბროს სხეულშია მოქცეული. პეგმატიტების შედგენილობაში ძირითადად მონაშილეობას ღებულობს კვარცი, მიკროკლინ-მიკროპერტიტი (ჩევეულებრივად ვარდისფერი) და მუსკოვიტი; დამორჩილებულ როლს თამაშობს ალბიტი.

ასაკის განსაზღვრავად პეგმატიტური ძარღვიდან, რომელიც მდ. გეზრულის მარჯვენა შენაკადში-სარაბის ღელეში შიშვლდება, ჩეენ მიერ აღებულ იქნა მუსკოვიტის მოზრდილი ნაკრტენისებრი კრისტალები ($K_2O - 10,61\%$).

ასაკის სამი განსაზღვრის საშუალო არითმეტიკულმა 258 მილიონი წელიწადი შეადგინა; გაზომვების მაქსიმალური გადახრა $6,2\%$ -ია. აქედან გამომდინარეობს, რომ პეგმატიტის ასაკი და, მაშასადამე, ვარდისფერი პორტფირისებური გრანიტების ასაკიც, კარბონული უნდა იყოს.

ამრიგად, მართლდება გეოლოგიური წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ძირულის შასივის გრანიტოდების ვარდისფერი ფაციესი ჰერცინულია.

არანაჯლებად საინტერესოა კავკასიონის კრისტალური გულის ე. წ. „რუხი“ გრანიტების ასაკის საკითხი, რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა კამბრიულისტინად ან ქვედა პალეოზოურად თვლის. ჩეენ მიერ შესწავლილ იქნა მუსკოვიტი, აღებული პეგმატიტური ძარღვიდან, რომელიც მდ. ტებერდის სათავეებში, მდ. ალიბეკის ჩრდილოეთით შიშვლდება მთა სემიონოვბაშის რაიონში. შ. ჯავახიშვილის მიხედვით, ეს ძარღვი დაკავშირებულია ტიბიურ „რუხს“ გრანიტებთან, რომლებშიაც ზოგ ადგილას კრისტალური ფიქლების რელიქტებიც გვხვდება.

ძარღვის აგებულებაში მონაშილეობას ღებულობს კვარცი, მესერიანი მიკროკლინ-პერტიტი, ალბიტის რიგის პლაგიოკლაზი, მუსკოვიტი და, ბევრად უფრო იშვიათად, ბიოტიტიც. მუსკოვიტში $K_2O - 9,81\%$ არის. რაღიოგენული არგონის რაოდენობის გაზომვა ორჯერ ჩატარდა და მან ძალიან დაახლოებული შედეგები მოგვცა—გადახრა საშუალო არითმეტიკულისაგან 2% -ზე ნაკლებია. ასაკის მიღებული მნიშვნელობა 235 მილიონ წელიწადს შეადგენს, რაც შეაკარბონულ შეესაბამება.

ამრიგად, თუ დაკავშირებთ, რომ შესწავლილი პეგმატიტური ძარღვი არაა დაკავშირებული რაიმე უფრო ახალგაზრდა ინტრუზიულ ფაზასთან, ვიდრე შემცველი გრანიტები, მაშინ მტკიცდება გ. აფანასიევის [1] შეხედულება ცენტრული კავკასიონის „რუხი“ გრანიტოდების ზედა პალეოზოური ასაკის შესახებ.

ძირულის მასივისა და კავკასიონის კრისტალური გულის პეგმატიტების აბსოლუტური ასაკის შესახებ მიღებული მონაცემების შედარება გვარწმუნებს, რომ ზედა პალეოზოური, ჰერცინულ მაგმურ ციკლს დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის ძევლი კრისტალური მასივების ჩამოყალიბებაში, რაც საცემით ეთანხმება ა. ჯანელიძის წარმოდგენებს კავკასიის გეოტექტილონიკური ფარმირების შესახებ [3]. გამოსარკვევია კალედონური და უფრო ძევლი მაგმური ციკლების მნიშვნელობა.

შემდეგი საკითხი, რომელიც ჩვენ წინაშე წამოიჭრება, ეხება უფრო ახალგაზრდა, აშკარად მესამეული მაგმური წარმონაქმნების ასაკის განსაზღვრის შესაძლებლობას კალიუმ-არგონის ექსპრეს-მეთოდის მეშვეობით.

სათანადო მასალა აღებულ იქნა გურიის ვულკანოგენურ-დანალექი წყების გავრცელების არიდან. აქ, მდ. ნატანების გასწვრივ, შიშვლდება ტუტე სიენიტის მასივი, რომელთანაც მსხვილმარცვლოფანი, ვაკიჯვრის პეგმატიტების სახელით ცნობილი, მინერალური ძარღვებია დაკავშირებული. ამ პეგმატიტური წარმონაქმნების შედგენილობაში, რომელიც გ. გვაძარია და ა. გამყრელი ძეგლი შეისწავლეს, შედის აქტინოლითი, ანორთოკლაზი, პლაგიოკლაზი, ბიოტიტი და მაგნეტიტი. საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება აპატიტი და პირიტიც. გაზომილ იქნა რკინის მცირე რაოდენობის შემცველი ბიოტიტი ($N_p = 1,576 \pm 0,001$; $N_g = 1,621 \pm 0,001$), რომელშიაც K_2O $10,41\% - 0\%$. გაზომვები ორჯერ ჩატარდა და შედეგები ერთმანეთს თითქმის ზუსტად დაემთხვა. ბიოტიტის ასაკი, გეოლოგიურ გარემოსთან სრული თანხმობით, დაახლოებით 30 მილიონი წელიწადის ტოლი აღმოჩნდა, რაც პალეოგენის ბოლოს უპასუხებს.

ამრიგად, ჩვენმა გაზომვებმა დაადასტურეს ე. გერლინგის აზრი მაგმური წარმონაქმნების ასაკის დასადგენად ქარსების სრული ვარგისობის შესახებ, ხოლო კალიუმ-არგონის ექსპრეს-მეთოდის შესაძლო გამოყენების არე ფართოვდება პალეოგენამდე ჩათვლით.

ეჭვს არ იწვევს, რომ მეზოზოური ქარსების ანალიზმაც დადებითი შედეგი უნდა მოგვცეს.

ცალკე ჩატარდა არგონის შედარებითი განსაზღვრა ერთისა და იმავე პეგმატიტური ძარღვიდან აღებული კალიუმის მინდვრის შპატისა (პერტიტი-ზებული მიკროკლინი) და მუსკვიტის ტიპის შემცვევით. სათანადო რიცხვები ჩვენ არ მოგვყავს, ვინაიდან კალიუმის ანალიზები შემოწმებას მოითხოვენ, მაგრამ მუსკვიტისა და მიკროკლინში რადიოგენული არგონის შემცველობა იმდენად განსხვავებულია (მუსკვიტში 16-ჯერ მეტი!), რომ შეიძლება დამტკიცებულად ჩაითვალოს ე. გერლინგის დასკვნა იმის შესახებ, რომ პერტიტიზებული მიკროკლინი ასაკის ბევრად ნაკლებ მნიშვნელობას იძლევა, ვიდრე მუსკვიტი. ეს განსხვავება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი უნდა იყოს პალეოზოური და მეზოზოური ქანების ასაკის გაზომვისას.

თუ შემდგომმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა საბოლოოდ დავრწმუნდეთ, რომ კალიუმის მინდვრის შპატის მიერ არგონის დაკარგვის მიზეზი სწორედ პერტიტიზაციის პროცესია, მაშინ ბუნებრივიად იბადება კითხვა: ხომ



არ შეიძლება სპეციალური გაზომვების მეშვეობით ვცადოთ დავადგინოთ ასაკი თვით პერტიტიზაციის პროცესისა, რომელიც არსებითად მყარფაზოვან რეაქციას (მყარი ხსნარის დაშლას) წარმოადგენს?

მართლაც, თუ რომ ეს პროცესი შედარებით ხანმოკლე იქნებოდა, ნიმუშის გეოლოგიურ ასაკთან შეუსადარი, მაშინ არგონის დიდ დაკარგვასაც აღგილი არ ექნებოდა; ამრიგად, არ გვექნებოდა განსხვავებაც მიკროკლინისა და ქარსის მეშვეობით მიღებული ასაკის მნიშვნელობაშიც.

ამჟამად მორიგი ამოცანაა, შესწავლილ იქნეს ყველა კალიუმშემცველი მაგმური მინერალი და ვულკანური მინები იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად გამოსაღევია ისინი ასაკის განსასაზღვროვად. ამ მინერალთა რიცხვს, პირველ რიგში, ტუტე პიროქსენები და ამფიბოლები, ლეიციტი, ნეფელინი და, შესაძლოა, გრანატები, შპინელები და აპოფილიტი ეკუთვნის.

ამასთან, პრაქტიკული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ვუყოთ იმ ქანებს, საიდანაც შეუძლებელია საკმარისი რაოდენობით ქარსის გამოყოფა, ანდა სადაც სერთოდ არაა ქარსი? ხომ აშკარაა, რომ კალიუმისა და არგონის რაოდენობის ჯამური განსაზღვრა ქანში, თუ გვითვალისწინებთ არგონის გარდუვალ და კარგვას, ასაკის ნაკლულ რიცხვს მოვცემს. რაც უფრო მეტად იქნება ქანი გამოფიტული, რამდენადაც უფრო მნიშვნელოვანი იქნება გავლენა ქანის ჩამოყალიბების შემდეგ მომხდარი ჩარქიციებისა (მათ შორის მყარფაზოვანისა), მით უფრო დიდი აღმოჩნდება ქანის „გაახალგაზრდებაც“.

სრულიად აშკარაა, რომ ამ გზით ერთისა და იმავე ინტრუზიული მასივისათვის სულ სხვადასხვა ასაკობრივი მნიშვნელობა შეიძლება მივიღოთ. ამის მიუხედავად, ასეთი გაზომვები მაინც უდავოდ საჭიროა, მაგრამ მიღებული რიცხვი ჩვენ უნდა შევაფასოთ არა როგორც ქანის ნამდვილი ასაკი, არამედ როგორც ქანის ნამდვილი ასაკის ზე და საზღვარი; სხვანაირად რომ ვსოდეთ, ქანი არგონის მეთოდით მიღებულ მნიშვნელობაზე გარკვეულად ძველი უნდა იყოს.

ადვილად გასაგებია, რომ ასეთი შედეგიც მნიშვნელოვანია გეოლოგებისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც კრისტალური ქანების გავრცელების დიდ ფართობზე უხდება მუშაობა.

ამ თვალსაზრისით ჩვენ რამდენიმე განსაზღვრა ჩავატარეთ. მოვიყენოთ მხოლოდ იმ მონაცემებს, სადაც კალიუმის შემცველობის განსაზღვრა ეჭვს არ იწვევს. ერთ-ერთ ნიმუშად აღებულ იქნა მდ. ყუმურის (აჭარა-თრიალეთის ქედის ჩრდილო კალთა) ბარკევიკიტიანი სიენიტი. ეს მასივი ზედა ეოცენის ტუფოგენურ წყებაშია განლაგებული და, გ. ძოწენიდისა და ნ. სხირტლაძის აზრით [7], მასთან გენეტურადა დაკავშირებული. ქანი მსხვილმარცვლოვანია და მის შედგენილობაში ანდეზინის რიგის პლაგიოკლაზი, კალიზატიტი, ბარკევიკიტი, პიროქსენი, ანალიტი და მეზოლიტი შედის. კალიზატი ინტენსიურად პელიტიზებულია. არგონის შემცველობა ქანში თითქმის გაზომვის ჩატარების შესაძლებლობის ზღვარზე აღმოჩნდა, რის გამოც „ასაკის“ განსა-



ზღვრის სიზუსტე (17 მილიონი წელიწადი) ძალიან მცირეა. მაინც, ზედა ეოცენური ქანისათვის ზედა საზღვრის მიღებული მნიშვნელობა, რომელიც შეანეგნს უპასუხებს, საგსებით მისალებია.

რადიოგენული არგონის შენცველობის ბევრად უფრო სანდო რიცხვი მივიღეთ ჩვენ კურსების ტეშენიტისათვის, რომელიც ნ. სხირტლაძის მიერ არის დეტალურად შესწავლილი [5]. ეს ინტრუზი ბათურ ნახშირიან წყებასა და ფურცელა ფიქლების წყებას კვეთს. კალიუმი ამ ქანში, როგორც წინა შემთხვევაშიც, ძარითადად ინტენსიურად პელიტიზებულ და ანალციმით შენაცვლებულ კალიუმის მინდვრის შპატთან და ბერკევიკიტთან არის დაკავშირებული. ქანის „ასაკი“ 41 მილიონი წელიწადი აღმოჩნდა, რაც დაახლოებით შეანეგნს უპასუხებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქანი ეოცენის მიურულზე ახალგაზრდა არ უნდა იყოს.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სოფ. ნიკორშმინდაში სრულიად ანალოგიური ტეშენიტი ალბურს კვეთს, აშეარა გახდება, რომ ქუთაისის ტეშენიტების ნამდვილი ასაკი ზედა ცარც-შეა ეოცენის სტრატიგრაფიულ შუალედში თავსდება. ყოველ შემთხვევაში, ეჭვს თითქო არ უნდა იწვევდეს, რომ ქუთაისის ტეშენიტები გურიის ნეფელინიან სიენიტებზე ძველი უნდა იყოს.

ასეთია, ზოგადად, კალიუმ-არგონის ექსპრეს-მეთოდის გამოყენების პირველი ცდების შედეგები საქართველოს მაგმური წარმონაქმნების მაგალითზე. ამ მეთოდის დიდი შესაძლებლობანი, ვთიქრობთ, სრულიად ნათელი უნდა იყოს.

შემდგომი მუშაობის ამოცანებს უნდა წარმოადგენდეს როგორც ცალკეული ინტრუზიული და ეფუზიური სხეულების ასაკის განსაზღვრა, ისე მეთოდური გამოკვლევებიც, რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ ყურადღების გარეშე არ უნდა დავტოვოთ აუტიგენური წარმოშობის დანალექი მინერალები; ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გლაუკონიტი, რომელიც სტრუქტურულად ქარსებან ძალიან ახლო დგას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 29.4.1955)

დამომავლი ლიტერატურა

1. Г. Д. Афанасьев. Некоторые особенности развития магматизма северо-кавказской складчатой области. Известия АН СССР, сер. геол., № 4, 1952.
2. Э. К. Герлинг. Аргоновый метод определения возраста минералов и пород. Труды I сессии комиссии по определению абсолютного возраста геологических формаций, АН СССР, 1954.
3. А. И. Джанелидзе. К вопросу о геотектоническом расчленении территории Грузии. Вопросы петрографии и минералогии, АН СССР, 1953.
4. Г. М. Заридзе и Н. Ф. Татришили. О возрастных взаимоотношениях и генезисе древних кристаллических пород Дзириульского массива. Геолого-геофизический институт Узбекистана, Ташкент, 1953.
5. სხირტლაძე. დასავლეთ საქართველოს ტეშენიტური ფორმაცია. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, მინერ.-პეტრ. სერია, ტ. III, 1953.
6. ს. ჩიხელიძე. იურიიშვილის ნალექები საქართველოში. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. I, ნაკვ. 1, 1943.
7. გ. ძოწენიძე. იურიიშვილის ნალექები საქართველოში. გეოლოგიური ინსტიტუტის შრომები, მინერ.-პეტრ. სერია, ტ. I, ნაკვ. 2, 1949.
8. გ. ძოწენიძე და ს. სხირტლაძე. ანალციმიანი სიენიტის ახალი ინტრუზი აჭარა-იმერეთის ქვედის ჩრდილო კალთებზე, საქ. სსრ მეცნ. აკად. მრამბე, ტ. X, № 8, 1949.



პალეონტოლოგია

ლ. გაბურეა

BOVINAE-ს ახალი შარმომადგენელი აღმოსავლეთ საქართველოს
ზედა მიოცენიდან

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ლ. დავითაშვილმა 15.7.1954)

ამასწინათ გამოქვეყნებულ წერილში [1], ორმელიც სოფ. არქეოს მახ-ლობლად აღმოჩენილ ჰიპარიონული ფაუნის აღმოჩენას ეხება, აღ-ნიშნულია არქეოს ფაუნის ზოგიერთი თავისებურება და გამოთქმულია ვა-რაუდი მის წარმომადგენელთა ცხოვრების პირობების შესახებ.

არქეოს ფაუნის შემდგომმა შესწავლამ საშუალება მომცა დამეზუსტე-ბინა ჩემი წინასწარი განსაზღვრები და დამედგინა რიგი მეტად საინტერესო, თავისებური ფორმები, რომელთა შორის, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყ-რობს *Bovinae*-ს ახალი წარმომადგენელი *Phronetragus arknethensis* gen. nov. et sp. nov. ჩემს წერილს სწორედ ამ ახალი ფორმის მოკლე აღწერას ვუძღვნი.

ჯჯახი *Bovidae*

ქვეჯჯახი *Bovinae*

გვარი *Phronetragus* gen. nov.

Phronetragus arknethensis gen. nov. et sp. nov.

გენოტიპი. თავის ქალას ფრაგმენტი მარჯვენა რქით (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის სექტორის კოლექცია, № 5/4).

ადგილსაბოვებელი. სოფ. არქეოს მიდამოები, საქართველოს სსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

გეოლოგიური ასაკი. მეოტიის (?).

მასალა. თავის ქალას ფრაგმენტი და ზედა საძირე კბილები ყბის ნამტვრევში (პალეობიოლოგიის სექტორის კოლექცია, № 4).

დიაგნოზი. თავის ქალა მცირე ან საშუალო ზომისა. რქების გამონაზარდები სწორი, მოკლე, შესამჩნევად ბრტყელი შიგნითა მხრიდან, საკმაოდ დაშორებული ფუძისაკენ ერთი-მეორეს, ძლიერ გადაზნექილი უკან, წაგრძელებულ-ოვალური განივი კვეთისა.

აღწერა. თავის ქალა მცირე ან საშუალო ზომისა (მანძილი რქების გამონაზარდების გარეთა წერტილებს შორის 97 მმ-მდე). შუბლის არე თან-დათან, მკვეთრი საზღვრის გარეშე, გადადის თხემის არეში. შუბლის ზედა-პირი უთუოდ ღლნავ ჩანთებილია. თხემის ქედები კარგადაა განვითარებული. რქების გამონაზარდები განლაგებულია უშუალოდ თვალბუღების უკან, საკ-მაოდ ღაშორებულია ერთმანეთს, მოკლეა (წინა კიდის სიგრძე 110 მმ-მდე), ძლიერ გადაზნექილია უკან (შუბლის ღონეს არ სცილდება) და ქმნის ერთი-

მეორესთან დაახლოებით 40° -იან კუთხეს. გარდა ამისა, მათვეის დამახასიათებელია სრული სისწორე, გარეთა მხარის ამოზნექა და შიგნითა მხარის შებრტყელება, ქედების განუვითარებლობა. ჩქების გამონაზარდების განვით პროექტისიმალურ ბოლოში ოვალურია, შუა ნაწილში — დაგრძელებულ-ოვალური, დისტალურ ბოლოში — მსხლისებრი. ჩქის გამონაზარდის პროექტისიმალური ნაწილის ზედაპირის ჭინა მხარეზე მოთავსებულია სუსტად გამოსახული, მაგრამ აშკარა ხორჯლიანობა.

ზედა მოლარები ($M^1 - M^3$) ბრაქიოდონტურია; აქვთ დამატებითი ბორცვები. გარეთა უბების აქვთ ფარგად განვითარებული სტილები და სუსტად გამოსახული ქედები.

Phronetragus-ის ნაშთის მოკლე აღწერა გვიჩვენებს, რომ ეს ფორმა ზოგიერთი ნიშნის მიხედვით (თავის ქალას შუბლის არის ჩაზნექილობა, თხემის ქედების არსებობა, გვერდებზე შებრტყელებული რქები), გამონაზარდების მდებარეობა, მათი ჭინა მხარის ზედაპირის პროექტისალურ ნაწილში მოთავსებული ხორჯლიანობა) უახლოვდება თხარქიანებს (*Tragocerus*-ს) და მათ მონათესავე ფორმებს, რომლებიც ი. სოკოლოვმა [2] გამოყო *Bovini*-ს ტრიბის *Tragocerina*-ს ქვეტრიბიზი, მაგრამ აღწერილი ფორმის სხვა ნიშნები (უმთავრესად მოკლე, სრულიად სწორი, ძლიერ გადაზნექილი უკან, შიგნითა მხრით შებრტყელებული და გარედან ამოზნექილი რქების გამონაზარდების არსებობა) იმდენად თავისებურია, რომ მაიძულებს თავი შევიკავო მისი *Tragocerina*-ს ქვეტრიბისათვის მიუკონებისაგან.

რქების გამონაზარდების ზოგიერთი აღნიშნული თავისებურებით *Phronetragus* გვაგნებს სივალიკის *Helicoportax* [3], მაგრამ მასალის სიმცირე და ფრაგმენტულობა, სამწუხაროლ, არ გვაძლევს საშუალებას, რომ უფრო დაბეჯითებით ვიმსჯელოთ ამ გვარების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

პალეობიოლოგიის სექტორი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 15.7.1954)

ლამაზებული ლიტერატურა

1. Л. К. Габуния. О новом местонахождении гиппарионовой фауны в Грузии. Сообщения АН Грузинской ССР, т. XIII, № 5, 1952.
2. И. И. Соколов. Опыт естественной классификации полорогих. Труды Зоол. ин-та, т. XIV, 1953.
3. L. E. Pilgrim. Sivalik antelopes and axen in the American museum natural history. Bull. Amer. Mus. Nat. Hist., 72, 1937.



მინისტრი

პ. შეგებია

დაჭრის გამოყენება ხანოპლე რეგულირების დროს

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. გელევანიშვილმა 15.10.1954)

ნაშრომში „მდინარეთა ვარცნის რაციონალურ ბიუფებად დაყოფის საკითხისათვის მათი კასკადური სქემით გამოყენების დროს“ [1] ჩვენ განვიხილეთ ჰიდროელსადგურების შეტბორვილ ბიეფებში არსებული დაწნევის დანაკარგები და მათი შემცირების საშუალებები მხოლოდ ხანგრძლივი რეგულირების შემთხვევებისათვის. ხანმოკლე რეგულირების დროსაც (სადღელამისო, ერთკვირეული, დეკადური), რომლებიც ხორციელდება წყალსაცავების ან აუზების საშუალებით, დაწნევის დანაკარგები, რომელსაც იწვევს მათი დონის ცვალებადობა, ხშირად საგრძნობ სიდიდეს აღწევს. როგორც საკითხის შესწავლა გვაჩვენებს, ამ დაწნევის ნაწილის გამოყენებაც ბევრ შემთხვევაში შესაძლებელია მარტივი ღონისძიებების გატარებით, რაც საშუალებას იძლევა მივიღოთ ტკირე თვითლირებულების მქონე დამატებითი ენერგია.

სადღელამისო რეგულირების აუზების დონის ცვალებადობით გამოწვეული დაწნევის დანაკარგების გამოყენების კერძო შემთხვევები განხილული აქვს ზოგიერთ ავტორს ([2, 3, 4] და სხვ.), მაგრამ საკითხის ზოგადი გადაწყვეტა, ყველა იმ შემთხვევის განხილვით, რომელიც პრატიკაში გვხვდება, ტექნიკურ ლიტერატურაში არ მოიპოვება.

ქვემოთ მოგვყავს, რეტაც შემოკლებული სახით, ჩვენ მიერ ამ საკითხზე ჩატარებული გამოკვლევების შედეგები [2, 3, 5, 6].

განვიხილოთ ჰიდროელსადგურების სქემა, როდესაც სადღელამისო რეგულირების წყალსაცავი მოთავსებულია მდინარის კალაპოტში და წყალი სადაწნეო დერივაციით მიიყვანება ჰიდროელსადგურთან (სურ. 1).

რეგულირების დროს წყლის ხარჯის ცვლილებასთან ერთად ადგილი ექნება წყალსაცავის ღონის ცვალებადობასაც. მაშასადამე, დაწნევის სიდიდე იქნება ორი სიდიდის ფუნქცია—წყლის ხარჯისა და წყალსაცავის ღონისა.

ჰიდროელსადგურის სიმძლავრე, როდესაც რეგულირებას ადგილი არ აქვს, შეიძლება შემდეგი ფორმულით [7] იქნეს გამოსახული:

$$N_0 = kQ_0(H - \alpha_1 Q_0^2 - \alpha_2 Q_0^n). \quad (1)$$

რეგულირების არსებობის შემთხვევისათვის კი გვექნება

$$N_p = kQ_p(H - h_c - \alpha_1 Q_p^2 - \alpha_2 Q_p^n). \quad (2)$$

აქ $k = 9,8 \text{ მ/ს}^2$, სადაც η აგრეგატის მარგქმედების კოეფიციენტია,

Q_3 —ჰიდროსადგურის მიერ გამოყენებული ზღინარის წყლის ბუნებრივი ხარჯი,

$Q_{\text{დ}}$ —წყლის ხარჯი ქვედა ბიეფში, როდესაც რეგულირება არ ხდება, α_1, α_2 და n —მუდმივი სიდიდეები,

Q_3 —ჰიდროელსადგურის წყლის ხარჯი რეგულირების დროს,

$Q_{\text{დ}} = \text{წყლის ხარჯი ქვედა ბიეფში რეგულირების დროს},$

h_c —წყალსაცავის დონის დაწევა.

ენერგია, რომელსაც ჰიდროელსადგური გამოიმუშავებს რეგულირების მთელი ციკლის განმავლობაში, იქნება

$$\Theta_T = \int_0^T k Q_3 (H - h_c - \alpha_1 Q_3^2 - \alpha_2 Q_{\text{დ}}^n) dT, \quad (3)$$


სადაც T რეგულირების მთლიანი ციკლისათვის საჭირო დროა.

სათანადო ენერგიის წლიური გამომუშავება იქნება (მხოლოდ რეგულირების პერიოდებისათვის)

$$\Theta_B = \sum_{k=1}^m \Theta_T, \quad (4)$$

სადაც m წელიწადში ჩატარებული რეგულირების ციკლთა რიცხვია.

გინაიდან (3) განტოლებაში შემავალი ცვალებადი სიდიდეები ზოგად შემთხვევაში არ შეიძლება მოცემულ იქნეს ანალიტიკური სახით, ენერგიის წლიური გამომუშავების გამოსასახავად (3) განტოლება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს სასრულო სხვაობებით



სურ. 1. 1—წყალმდები კაშხალი; 2—შემომვლელი დერივაცია; 3—წყალსაცავიანი კაშხალი; 4—სადაწნეო დერივაცია; 5—ჰიდროელსადგურის შენობა

ზედა $abcde$ ხაზი გამოსახავს სიმძლავრეს, რომელიც ჩვენ შეგვეძლო მიგველო, რომ ადგილი არ ჰქონიდა წყლის ხარჯისა და წყალსაცავის დონის ცვალე-

$$\Theta_B = \sum_{k=1}^m \sum_{i=1}^n k Q_3 (H - h_c - \alpha_1 Q_3^2 - \alpha_2 Q_{\text{დ}}^n) \Delta T. \quad (5)$$

აქ ΔT დროს მონაკვეთია, რომლის განმავლობაში ცვალებად სიდიდეთა k , Q და h_c მნიშვნელობა შეიძლება მიღებულ იქნეს მუდმივად.

ნახაზზე მოცემულია წყლის ხარჯის, დაწნევისა და სიძლიავრის ცვალებადობის სქემატური გრაფიკები (სურ. 3).

ნ) გრაფიკზე მოცემული სიმძლავრის ცვალებადობის

ბადობით გამოწვეულ დაწნევის დანაკარგებს, ქვედა $a'b'c'd'e'$ კი—ფაქტობრივ სიმძლავრეს ამ დანაკარგების მხედველობაში მიღებით.

ამ ორ ნახატს შორის ორდინატთა სხვაობა გამოხატავს სიმძლავრის იმ დანაკარგს, რომელიც რეგულირებით არის გამოწვეული და რომელიც უდრის


$$N_{\text{და}} = N_0 - N_r. \quad (6)$$

იმ ენერგიის ნაწილის გამოყენება, რომელიც რეგულირების შედეგად იკარგება, ჩვენს შემთხვევაში შეიძლება, თუ ჰიდროელსადგურის სქემაში შეძლებ ცვლილებებს შევიტან.

წყალსაცავის ბოლოში მდინარეზე აიგება დაბალი კაშხალი. წყალსაცავის გასწვრივ გაიყვანება შემომვლელი უდაწნეო დერივაცია, რომლის ბოლო წყალსაშვით შეუერთდება სადაწნეო დერივაციას (სურ. 1). წყალშიმღების ფარები ამ შემთხვევაში იანგარიშება ორ მხრივ დაწოლაზე.

თუ მდინარეზე ამ ჰიდროელსადგურს ზევით კიდევ არის საფეხური, რომელიც წყალსაცავის ბოლოსთან მდებარეობს, წყალი შეიძლება უშუალოდ ამ სადგურის წყალგამყვანი არხიდან იქნეს შემომვლელ დერივაციაში მიღებული (1).

ჰიდროსადგურის მუშაობის რეჟიმი ყველა ამ შემთხვევაში შემდეგში მდგომარეობს. იქამდის, ვიღრე ჰიდროელსადგურის წყლის ხარჯები აღმატება მდინარის ხარჯებს, წყალი წყალსაცავიდან ჰიდროსადგურთან სადაწნეო დერივაციით მიიყვანება. როგორც კი ჰიდროსადგურის წყლის ხარჯი მდინარის ხარჯზე ნაკლები გახდება, წყალშიმღების ფარების დაკეტვით წყალსაცავი გამოიითხება და ჰიდროსადგური წყალს მიიღებს შემომვლელი დერივაციის საშუალებით. ზედმეტი წყალი, Q_a — Q_b , ზედა კაშხალის მეშვეობით გაიზვება ისევ წყალსაცავში. ამ მონენტიდან, სანამ $Q_a \equiv Q_b$, ჰიდროსადგური სრული დაწნევით იმუშავებს. როდესაც ჰიდროსადგურის წყლის ხარჯი კვლავ შეტი გახდება, ვიდრე მდინარისა, წყალშიმღების ფარები ისევ გაიღება და ჰიდროსადგური დამატებით ხარჯებს მიიღებს წყალსაცავიდან. ჰიდროსადგურის ამ რეჟიმით მუშაობა ნაჩვენებია ნახაზზე (სურ. 2 გრ. b), სადაც მრავდებს $abcde$ და $a'b'c'd'e'$ შორის დაშტრიხული ფართობი შეესაბამება დამატებით გამოყენებულ ენერგიას. ამ ენერგიის გამოხატულება რეგულირების ერთი ციკლის განმავლობაში განხილული შემთხვევისათვის იქნება



სურ. 2

(1) ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სურხები, რომელიც აღწერილია შემოხსენებულ შრომაში [1].

$$\Theta'_h = \int_{T_c}^T k Q_3 h_c dT, \quad (7)$$

სადაც T_c წყალსაცავის დაცლის პერიოდია.

ანალოგიურად სასრულო სხვაობებში გამოსახვისას გვექნება

$$\Theta'_h = \sum_{i=1}^n k Q_3 h_c \Delta T. \quad (8)$$

სათანადოდ დამატებითი ენერგიის წლიური გამომუშავებისათვის მივიღებთ

$$\Theta'_{hB} = \sum_{k=1}^m \sum_{i=1}^n k Q_3 h_c \Delta T. \quad (9)$$

(8) და (9) გამოსახულებაში k , Q_3 , h_c და ΔT სიდიდეები იანგარიშება იმ პერიოდისათვის, როდესაც $Q_3 < Q_{\text{დ}} < Q_{\text{გ}}$ და წყალსაცავი იცის. აქ იგულისხმება, რომ ამ პერიოდის განმავლობაში აღილი აქვს წყალსაცავის ერთგზის ავსებას.

წყალსაცავის მრავალგზის დაცლა-ავსების შემთხვევაში (8) ფორმულაში შემავალი Θ'_h სიდიდე გამოთვლილი უნდა იქნეს როგორც ავსების ყველა პერიოდისათვის, ისე იმ პერიოდისათვის, როდესაც რეგულირების დროს წყალსაცავი გამოთიშულია და პერიოდი შემთხვევაში მუშაობს.


ენერგოეკონომიური ანგარიშები ამ შემთხვევების იმაში მდგომარეობს, რომ გამოთვლილი უნდა იქნეს დამატებითი ენერგიის თვითღირებულება. $S_{\text{გ. დ}} < S_{\text{გ. ა}}$ და $S_{\text{გ. ა}} < S_{\text{გ. დ}}$ ის შედარებულ იქნეს დამატებითი შემცვლელი ენერგიის თვითღირებულებასთან $S_{\text{გ. დ}} < S_{\text{გ. ა}}$; იმ შემთხვევაში, თუ

$$S_{\text{გ. დ}} \leq S_{\text{გ. ა}}, \quad (10)$$

დამატებითი ენერგიის გამოყენება მიზანშეწონილია.

უნდა აღინიშნოს, რომ დამატებით ენერგიის გამოყენების ზემოაღწერილი ხერხი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხანგრძლივი რეგულირების დროსაც.

მოკლედ განვიხილოთ დაწევის გამოყენების შემთხვევები ჰიდროელსადგურის სხვადასხვა სქემის დროს.



სურ. 3. 1—წყალამდები კაშხალი; 2—უდაწნეო დეირვაცია; 3—სადლელამისო რეგულირების აუზი; 4—შემომლელი დერივაცია; 5—დიუკერი (გარიანტი); 6—ჰიდროელსადგურის შენობა


როდესაც სადლელამისო რეგულირების აუზი დერივაციის გასწვრივ მდებარეობს და უკანასკნელი აუზამდე უდაწნეოა, ხოლო მის შემდეგ სადაწ-

ნეო, დამატებითი დაწინევის გამოსაყენებლად საჭიროა შემომვლელი დერივაციის გაყვანა (სურ. 3), ჰიდროსადგურის მუშაობის რეჟიმი ანალოგიურია ზეროთ აღწერილისა.

იმ შემთხვევაში, როდესაც დერივაცია როგორც სარეგულაციო აუზამდე, ისე მის შემდეგ უდაწეოა (სურ. 4), დამატებითი დაწინევის გამოყენებას მივაღწევთ აუზსა და დერივაციას შორის მოთავსებული ფარების სათანადო მანიპულაციით.


როდესაც სარეგულაციო აუზი უშუალოდ სადაწნეო აუზთან მდებარეობს (სურ. 5), შესაძლებელია უფრო მიზანშეწონილი აღმოჩნდეს აუზიდან და დერივაციიდან ტურბინებისათვის წყლის დამოუკიდებლად მიწოდება. მაშინ შემცირებულ დაწნევაზე გამოიყენება წყლის მხოლოდ ის ხარჯები, რომელიც სარეგულაციო აუზში გაივლის. დანარჩენი

წყალი ტურბინებთან დერივაციის საშუალებით მიიყვანება, რომელშიც რეგულირების მთელი დროის განმავლობაში შენარჩუნებული იქნება მაღალი დონე. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება დაწნევის უფრო სრული გამოყენება, ვიდრე ზემოთ განხილულ შემთხვევებში.



სურ. 5. 1—წყალამდები კაშხალი; 2—ღია დერივაცია; 3—სადღელამისო რეგულირების აუზი; 4—ჰიდროლისადგურის შენობა

ჩვენ განვიხილეთ ზოგიერთი დამახასიათებელი სექტანტი სანმოკლე რეგულირების აუზის მქონე ჰიდროლისადგურებისა. ასებობს ჰიდროსადგურის სხვა სქემებიც. ამ შემთხვევებშიც საკითხის გადაწყვეტას პრინციპულად შეიძლება.



სურ. 4. 1—წყალამდები კაშხალი; 2—ღია დერივაცია; 3—თვითმარევებულირებელი არხი; 4—სადღელამისო რეგულირების აუზი; 5—ჰიდროლისადგურის შენობა; 6—ფარები


ხსირად ხანმოკლე რეგულირებისათვის სადერივაციო არხის მოცულობას გამოიყენებენ (სურ. 6). დამატებითი დაწნევის გამოსაყენებლად ამ შემთხვევაში საჭიროა საფეხურების გამყვან არხებში (უკანასკნელ საფეხურის გამოკლებით) წყლის სილრმე მიღებულ იქნეს ტოლი

$$h_{\text{არ}} = h_{\text{არ}} + h_c, \quad (11)$$

ე. ი. ჩვეულებრივ სილრმეზე h_c სიღილით მეტი. აქ შესაძლებელი ხდება იმ დაწნევის სრული გამოყენება, რომელიც რეგულირების დროს იკარგება.

ლება ერთ-ერთი ზემომოყვანილ ხერხის (ან რამდენიმე ხერხის ამა თუ იმ კომბინირებით) გამოყენებით მივაღწიოთ.

საყურადღებოა, რომ დამატებითი დაწევის ზემომოყვანილი წესით გამოყენება საშუალებას იძლევა საგრძნობლად შევამციროთ აუზის დალექვის ინტენსივობაც.



სურ. 6. 1—წყალამდები კაშხალი; 2—სადერივაციო არხი; 3—არხის სარეგულირისაციო მოცულობა; 4—ჰიდროელსადგურის შენობა; 5—წყალწამყვანი არხი

წლიურად დამატებით 1,6 მილიონი კილოვატსათი კილოვატსათი ენერგიის თვითონირებულება 0,16 კპ/კვტს არ აღემატება. ამავე დროს აუზში შემოტანილი ნალექების რაოდენობა წელიწადში მცირდება დაახლოებით 40 ათასი კუბური შეტრით.

ამჟამად ეს ღონისძიება აღნიშნულ ჰიდროელსადგურებზე უკვე განხორციელებულია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. დიდებულიძის სახელობის

ენერგეტიკის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 11.10.1954)

დამოვაბული ლიტერატურა

1. П. Г. Шенгелия. К вопросу о рациональной разбивке падения реки на бьефы при каскадной схеме использования. Сообщения АН ГССР, т. XII, № 10, 1951.
2. П. Г. Шенгелия. Увеличение эффективности РионГЭС изменением режима работы бассейна суточного регулирования и деривационного канала. Управление Грузэнерго, 1952.
3. Ф. Ф. Губин. Гидроэлектрические станции. М.—Л., 1949.
4. Технические условия и нормы проектирования гидротехнических сооружений, напорные бассейны деривационных ГЭС. Л.—М., 1953.
5. П. Г. Шенгелия. Использование напоров, теряемых при сработке водохранилищ и бассейнов суточного регулирования. Институт энергетики АН ГССР, Тбилиси, 1949.
6. П. Г. Шенгелия. Использование напоров гидроэлектростанций при переменном уровне водохранилищ и бассейнов суточного регулирования в каскадных схемах использования водотоков. Энергетический институт им. Г. М. Кржижановского АН СССР, 1954.
7. П. Г. Шенгелия. Уравнения мощности и выработка гидроэлектростанций. Сообщения АН ГССР, т. XIV, № 7, 1953.

მეტალურგია

რ. აზლაშვი (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი) და

ა. ვოჩჩლიავაძე

ელექტროლიტური რკინის პრაქტიკულად პირველად XIX საუკუნის 60-

იან ჭლებში გამოიყენეს პეტერბურგის სტამბაში სახელმწიფო ქალალდების დამზადებისას. მ. კლეინის, რ. ლენცისა და მ. იაკობის შეირ დამუშავებული ხერხის მიხედვით სპილენძის კლიშეს რკინით ფარავდნენ ცვეთის შესახვირებლად.

რუსი მკვლევარი ს. მაქსიმოვიჩი [1] წყალბადის იონთა კონცენტრაციის რეგულირებისათვის მიზანშეწონილად თვლიდა ელექტროლიტში NaHCO_3 -ის დამატებას.

ამჟამად ელექტროლიტური რკინის უმთავრესად რკინის ქლორიდისა და სულფატის ხსნარებიდან გამოყოფენ. მრავალრიცხვან გმოკვლევათა შორის, რომლებიც ამ საკითხისადმია მიძღვნილი, აღვიჩიშვავთ პ. ფედოტივის შრომას [2].

მრავალ ქვეყანაში არა ერთგზის უცდიათ მოწყოთ ელექტროლიტური რკინის სამრეწველო წარმოება [3, 4].

ქლორიდიანი აბაზანები, რომლებმაც ფართო გამოყენება პოვეს არ მარტო მანქანათმშენებლობაში, გაცვეთილი დეტალების აღდგენისათვის [5], არამედ პოლიგრაფიაშიც [6], მომსახურების მხრივ რთულია და მძღვან კენტრიულაციის მოითხოვს გამოყოფილი მავნე აირების მოსაცილებლად; ამიტომ ჰიდროელექტრომეტრალურგიული ხერხით რკინის მიღებისას, ჩვენი აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს რკინის სულფატის შემცველ ელექტროლიტს.

რკინის ელექტროგამოყოფის პროცესი ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს, რადგან ჩვენს ქვეყანაში, სპეციალური ფოლადებისა და შენადნობთა, აგრეთვე ელექტროიფიკაციის, ტელეფონიისა და ტელეგრაფიის მძაფრ განვითარებასთან დაკავშირებით, ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება მაღალი სისუფთავის რკინაზე.

ელექტროლიტური რკინისაგან დამზადებული მავთული, მაღალ მექანიკურ თვისებებთან ერთად, საემან ელექტროგამტარობით ხსიათდება. ელექტროლიტური რკინით შეიძლება ვისარგებლოთ ნაკეთობათა დამზადებისას ფენილების მეტალურგიის მეთოდით და დენის ქიმიური წყაროების წარმოებაში. ელექტროლიტური მეთოდი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ რკინის ღრუ ხაკეთობათა და მიღების დამზადებისას.

ც დ ე ბ ი უ ხ ს ნ ა დ ი ა ნ ო დ ე ბ ი თ

ვაწარმოებდით მინის ჭურჭელში FeSO_4 -ის შემცველი ხსნარების ელექტროლიტშის. კონდის მასალად ვიყენებდით უქანავ ფოლადს, ღრუ ნაკეთობათა (მიღების) მიღებისას კი სილუმინს, რომელსაც შემდეგ გამოვადნობდით. ანდები მზადდებოდა ფურცლოვანი ტყვიისაგან (ცდები უხსნადი ანოდით) ან ფოლადისაგან (ხსნადი ანოდით).

რკინის სულფატის კონცენტრაციის გავლენა. ელექტროლიზის დროს, რკინის გამოყოფასთან ერთად, კათოდზე ადგილი აქვს წყალბადის იონების განმუხტვას, რასთანაც დაკავშირებულია კათოდთან მდებარე ფენის გატუტიანება. წყალბადის იონების კონცენტრაციის გაზრდა ადგილებს წყალბადის გამოყოფას და ამცირებს დენის გამოსავალს რკინისათვის. pH-ის მომეტებული ზრდა იწვევს ჰიდროგენის გამოლექვას და რკინის გაცუჭყაინებული ნალექების მიღებას. მაღალი სისუფთავის მცვრივი ლითონის წარმატებით გამოსაყოფად კათოდზე აუცილებელია ელექტროლიტში გარკვეულ ფარგლებში დაცულ იქნეს Fe^{+2} -ის კონცენტრაციის შეფარდება H^{+} -ის კონცენტრაციასთან.

ცდებს ვატარებდით 25°C . ელექტროლიტს ვიღებდით 270 მლ-ის რაოდენობით, საიდანაც 150 მლ კათოლიტი, ხოლო 120 მლ ანოლიტი შეადგენდა. დიაფრაგმად ვიყენებდით კერამიკულ ფორმოვან ჭურჭელს. დენის ძალა უდრიდა 0,2 ამპერს, ელექტროლიზის ხანგრძლივობა—3 საათს. დანარჩენი მონაცემები მოყვანილია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

№	ელექტროლიტის კონცენტრაცია (FeSO_4) გ/ლ	დენის სიმკვრივე კათოდზე ა/დმ ²	დენის სიმკვრივე ანოდზე ა/დმ ²	კათოდური ნალექის წონა გ	დენის გამოსავალი %	ძაბვა ვოლტებით
1	212	2	1,25	0,5502	88	4,25
2	180	2	1,25	0,5440	87	4,4
3	164	2	1,25	0,5504	88	4,6
4	144	2	1,25	0,5582	89	4,8
5	117,7	2	1,25	0,5470	87,5	5,1
6	94,2	2	1,25	0,5482	87,7	5,35

როგორც 1 ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, FeSO_4 -ის კონცენტრაციის ცვლილება 94-იდან 212-მდე გ/ლ ფარგლებში არსებით გავლენას არახდენს დენის გამოსავალზე. იგივე შეიძლება ითქვას კათოდურ ნალექზე, როგორიც ამ სერიის ყველა ცდაში დახსროებით ერთისა და იმავე ხარისხის მიიღებოდა. რკინის სულფატის კონცენტრაციის შემცირებით აბაზანის მომჭერეზე ძაბვა იზრდება. მარტო რეაქციის სულფატის შემცველი ელექტროლიტისაგან მიღებულ ნალექებზე შეინიშნებოდა ბზარები.

დანარჩენი მონაცემები და მონაცემები ცდებში (ცხრილი 2) ელექტროლიტი შეიცავდა 210 გ/ლ FeSO_4 -ს. ელექტროლიტის მოცულობა შეადგენდა 270 მლ-ს (150 მლ კათოლიტი და 120 მლ ანოლიტი), ელექტროლიტის ტემპერატურა— 25°C , დენის ძალა—0,2 ამპერს. დენის სიმკვრივის გაზრდას ვაღწევდით ელექტროდების ზედაპირის შემცირებით. ელექტროლიტის ხანგრძლივობა 4 საათს უდრიდა. დიაფრაგმად გამოყენებული იყო ფორმოვანი კერამიკული ჭურჭელი.

როგორც მეორე ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, დენის სიმკვრივის გადიდება 2,4 ა/დმ²-მდე არსებით გავლენას არ ახდენს დენის გამოსავალზე. 2,9 ა/დმ²-ის დროს დენის გამოსავალისათვის მცირე (67%) მნიშვნელობა იმით აისხება, რომ მხედველობაში არ მიგვიღია წონა აბაზანის ფსკერზე დაცვენილი დენდრიტებისა, რომელთა ლენგნობა ამ ცდაში საგრძნობი იყო.

ცხრილი 2

№№	დენის სიმკვრივე კა- თოდზე ა/დმ ²	დენის სიმკვ- რივე ანოდზე ა/დმ ²	გათოდური ნალექების წარნა გ	დენის გამო- საგალი %	ძაბვა ვოლტობით
I	0,476	0,32	0,6874	82	3,0
2	0,667	0,44	0,7086	85	3,1
3	0,976	0,65	0,7166	86	3,5
4	1,9	1,27	0,7086	85	4,3
5	2,4	1,58	0,7502	90	4,5
6	2,9	1,96	0,5668	67	4,7

ელექტროლიტური რკინის ნალექები გლუვი და უბზარებო მიიღებოდა 1,9 ა/დმ²-მდე დენის სიმკვრივის დროს. დენის სიმკვრივის შემდგომი გადი-
დებისას ნაპირებზე შეინიშნებოდა დენდრიტების წარმოქმნა, ხოლო ელექტ-
როლის ზედაპირზე—ბზარებისა. შემნეულ იქნა, რომ რაც უფრო მეტია დე-
ნის სიმკვრივე, მით უფრო ბრწყინვალე კათოდური ნალექები მიიღება. 70°-ისა და 2 ა/დმ² დენის სიმკვრივის დროს მიღებული კათოდური ნალექი 99,95% Fe-ს შეიცავდა.

ტემპერატურის გავლენა ტემპერატურის გავლენა შეისწავლე-
ბოდა 25—75°-ის ფარგლებში. 75°-ზე მეტი ტემპერატურის დროს შეინიშნე-
ბოდა რკინის კათოდური ნალექის გაჭუპყიანება ტყვიით, რომელიც ანოდები-
დან ელექტროლიტში გადადიოდა. ცდების ეს სერია (ცხრილი 3) ჩატარდა
210 გ/ლ FeSO_4 -ის შემცველი ელექტროლიტით. ელექტროლიტის მოცულობა
შეადგენდა 270 მლ-ს, დენის ძალა—0,1 ამპერს, ელექტროლიზის ხანგრძლი-
ვობა—5 საათს.

ცხრილი 3

№№	ელექტროლიტის ტემპერატურა °C	დენის სიმკვ- რივე კათოდ- ზე ა/დმ ²	დენის სიმკვ- რივე ანოდზე ა/დმ ²	გათოდური ნალექის წარნა გ	დენის გამო- საგალი %	ძაბვა ვოლტ- ობით
I	25	I	0,67	0,4482	86	3,5
2	35	I	0,67	0,4378	84	3,4
3	45	I	0,67	0,3948	76	3,37
4	55	I	0,67	0,3818	73	3,23
5	65	I	0,67	0,3218	62	3,16
6	75	I	0,67	0,3142	60,5	3,04

ტემპერატურის გაზრდით ჩვენს ცდებში დენის გამოსავალის შეცირება,
რაც ეწინააღმდეგება ლიტერატურაში ცნობილ მონაცემებს [8], შეიძლება
აიხსნას ტემპერატურის აწევისას რკინის ორვალენტოვანი იონების ჟანგვის
სიჩქარის გადიდებით. ამას ადასტურებს ელექტროლიტის ფერის შესამჩნევი
შეცვლა. ტემპერატურის აწევა აჩქარებს აგრეთვე რკინის გოგირდმჟავა მა-

რილების პიდროლიზის პროცესს და ამიტომ მაღალ ტემპერატურაზე მუშაობისას აუცილებელია ელექტროლიტის უფრო ძლიერი შემცვება. ტემპერატურის აწევით მიიღება ნაკლებ მბრწყინვაზე კათოდური ნალექები.

70° ტემპერატურის დროს დენის სხვადასხვა სიმკვრივით (1-დან 5 ა/დმ²-მდე) სარგებლობისას ჩატარებული ცდებით დადგენილ იქნა, რომ, თუ ასეთი ტემპერატურის დროს ვისარგებლებთ 3,5 ა/დმ² დენის სიმკვრივით, შეიძლება მივიღოთ დამაკმაყოფილებელი ხარისხის კათოდური ნალექები, მაშინ როდესაც ოთახის ტემპერატურის პირობებში ასეთი ხარისხის ნალექები მიღებულ იქნა დენის სიმკვრივის გაცილებით უფრო მცირე მნიშვნელობის დროს (1,5-იდან 2 ა/დმ²-მდე).

დანამატთა გაცლენა. რკინის ელექტროლიტური გამოლექვისას დანამატთა უმთავრეს დანიშნულებას ელექტროგამტარობისა და ელექტროლიტის ბუფერული უნარის გაუმჯობესება შეადგენს. ცდები ჩატარდა სხარებზე, რომლებიც, რკინის სულფატთან ერთად, დანამატების სახით შეი-

ცხრილი 4

№ №	ელექტროლიტის კონცენტრაცია გ/ლ	დენის სიმკვრივე კათოდური ა/დმ ²	დენის სიმკვრივე ანოდზე ა/დმ ²	კათოდური ნალექების ჭონა გ	დენის გამოსავალი %	ძაბავოლტობით
1(1)	FeSO ₄ —210	2	1,33	0,4024	64	2,75
2	FeSO ₄ —210	2	1,33	0,5440	87	3,8
3	FeSO ₄ —210 (NH ₄) ₂ SO ₄ —60	2	1,33	0,5614	90,8	3,7
4	FeSO ₄ —210 (NH ₄) ₂ SO ₄ —80	2	1,33	0,5472	88,5	3,6
5	FeSO ₄ —210 (NH ₄) ₂ SO ₄ —100	2	1,33	0,5252	85	3,5
6	FeSO ₄ —210 Na ₂ SO ₄ —60	2	1,33	0,5814	94	3,4
7	FeSO ₄ —210 Na ₂ SO ₄ —80	2	1,33	0,5932	96	3,2
8	FeSO ₄ —210 Na ₂ SO ₄ —100	2	1,33	0,5810	94	3,16
9	FeSO ₄ —210 MgSO ₄ —60	2	1,33	0,5686	92	3,4
10	FeSO ₄ —210 MgSO ₄ —80	2	1,33	0,5602	90,6	3,36
11	FeSO ₄ —210 MgSO ₄ —100	2	1,33	0,5750	93,0	3,3

(1) ცდა № 1 ჩატარდა უდიაფრაგმოდ.

ცავდნენ ნატრიუმის, მაგნიუმისა და ამონიუმის გოგირდმჟავა მარილებს (ცხრილი 4). ელექტროლიტის მოცულობა შეადგენდა 270 მლ-ს (170 მლ—კათოლიტი და 100 მლ—ანოლიტი). დიაფრაგმის როლს ასრულებდა ქსოვილი „ბელტინგი“. დენის ძალა უდრიდა 0,2 ამპერს. ელექტროლიზი ტარდებოდა 25°-ზე. ცდების ხანგრძლივობა 3 საათით განისაზღვრებოდა.

დენის გამოსავალის შემცირება უდიაფრაგმო აბაზანაში (ცდა 1) აიხსნება ელექტროლიტის ძლიერი შემუვებით და ანოდზე წარმოქმნილი რკინის სამვალენტოვანი იონების ზემოქმედებით, რომლებიც დიაფრაგმის უქონლობისას თავისუფლად აღწევენ კათოდამდე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე დანამატთა გამოყენებისას ძაბვის საგრძნობი შემცირება აბაზანაზე, დანამატთა გამოყენებისას აბაზანიდან მიღებული კათოდური ნალექები დამაკმაყოფილებელი ხარისხისა იყო. გოგირდმჟავა ნატრიუმს, როგორც უფრო იაფ დანამატს, უპირატესობა უნდა მიეცეს.

ც დ ე ბ ი ხ ს ნ ა დ ი ა ნ ი დ ე ბ ი თ

უხსნადი ანოდების გამოყენებით ელექტროლიზის ჩატარებისას შემჩნეული იქნა, რომ ელექტროლიტის ტემპერატურის აწევით რკინის კათოდური ნალექები უფრო კარგი ხარისხისა მიიღება და ძაბვა აბაზანაზე საგრძნობლად მცირდება. ამიტომ ცდები ხსნადი ანოდებით ჩატარდა თითქმის აღუღებამდე გაცხელებული ან მდუღარე ელექტროლიტით.

დანამატთა გავლენა. ჩვენ შევისწავლეთ დანამატ მარილთა ზემოქმედება რკინის კათოდური ნალექის ხასიათსა და დენის გამოსავალზე. დანამატ ნივთიერებათა კონცენტრაცია ყველა ცდაში ერთნაირი იყო—100 გ/ლ. ელექტროლიტის მოცულობა შეადგენდა 250 მლ-ს, დენის ძალა—2 ამპერს, დენის სიმკვრივე კათოდზე—5 ა/დმ² და ანოდზე—4,6 ა/დმ². ანოდური და კათოდური სივრცის გასაყოფად ვსარგებლობდით ქსოვილ „ბელტინგის“ ანოდური გარცმით. ელექტროლიზს ვატარებდით მდუღარე ელექტროლიტით. ელექტროლიზის ხანგრძლივობა 4 საათს უდრიდა. ელექტროლიზის დანარჩენი მონაცემები მოყვანილია მე-5 ცხრილში.

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, გამოყენებული დანამატები უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენენ დენის კათოდურ გამოსავალზე, მაგრამ იწვევენ ძაბვის შემცირებას აბაზანაზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, ელექტროლიტზე გოგირდმჟავას დამატებისას დენის გამოსავალი შემცირდა. რკინის კათოდური დანალექი ყველა შემთხვევაში კეთილხარისხოვანი იყო, ბზარებისა და ღრმულების გარეშე. კათოდების ნაპირებზე ადგილი ჰქონდა დენდრიტების წარმოქმნას.

დენის სიმკვრივის გავლენა. ელექტროლიტად გამოყენებული იყო რკინის სულფატის წყალხსნარი, რომელიც შეიცავდა 210 გ/ლ FeSO4-ს. ელექტროლიტის მოცულობა 250 მლ-ს შეადგენდა. კათოდური და ანოდური სივრცეები გაყოფილი იყო ქსოვილ „ბელტინგისაგან“ დამზადებული ანოდური გარცმით. დენის ძალა შეადგენდა 2 ამპერს, ელექტროლიზის ხანგრძლივობა—4 საათს, დანარჩენი მონაცემები მონაცემილია მე-6 ცხრილში.

რეინის კეთილხარისხოვანი ქათოდური ნალექები მიღებულ იქნა 5—10 ა/დმ² დენის სიმკვრივის დროს; 10 ა/დმ²-ზე ზევით ნალექები იძარებოდა, ბო-

ცხრილი 5

№№	ელექტროლიტის შემადგენლობა გ/ლ	ქათოდური ნალექის წრნა გ	დენის გამოსავალი %	ძაბვა ვოლტობით
1	FeSO ₄ —210	7,8132	9,37	1,75
2	FeSO ₄ —210 Na ₂ SO ₄ —100	7,8978	94,7	1,45
3	FeSO ₄ —210 MgSO ₄ —100	7,6156	91,2	1,55
4	FeSO ₄ —210 (NH ₄) ₂ SO ₄ —100	7,9186	95,0	1,50
5	FeSO ₄ —210 H ₂ SO ₄ —5	7,1708	86,0	1,41

ცხრილი 6

№№	ქათოდური ნალექის წრნა გ	დენის გამოსავალი %-ბით	დენის სიმკვრივე ა/დმ ²	ქა- თოდური ა/დმ ²	დენის სიმკვ- რივე ანოდზე ა/დმ ²	ძაბვა ვოლტო- ბით
1	7,8452	94,2	5	4,6	1,22	
2	7,9232	95	6,66	6,18	1,54	
3	7,7588	93	10	8,6	1,90	
4	7,3602	88	16,66	10,75	1,96	
5	6,9348	83	20	12,27	2,25	

ლოებზე დენდრიტები წარმოიქმნებოდა. დენის სიმკვრივის გადადება იშვევ-და კათოდური ნალექის სისალის ზრდას.

ანოდური დენის სიმკვრივის გავლენა. ელექტროლიზის განიცდიდა სხარი, რომელიც შეიცავდა 210 გ/ლ FeSO₄-ს. ელექტროლიტის მოცულობა შეადგენდა 250 მლ-ს. ელექტროლიზი მიმდინარეობდა დუღილის

ცხრილი 7

№№	ქათოდური ნალექის წრნა გ	დენის გამოსავალი %	ანოდის შედაპირის ფართი სმ ²	დენის სიმკვ- რივე ანოდზე ა/დმ ²	ძაბვა ვოლტო- ბით
1	9,4854	94,8	44	5,45	1,21
2	9,1806	91,8	33	7,27	1,30
3	9,2562	92,5	17	14,1	1,47
4	9,0332	90,3	11	21,8	1,87
5	9,0164	90,1	8,4	28,6	1,88

ტემპერატურაზე. დენის ძალა უდრიდა 2,4 ამპერს, დენის სიმკვრივე კათოდზე—6 ა/დმ², ელექტროლიზის ხანგრძლივობა—4 საათს. დიაფრაგმის მასალად გამოვიყენეთ ქსოვილი „ბელტინგი“. დანარჩენი მონაცემები მოყვანილია შე-7 ცხრილში.

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ანოდზე დენის სიმკვრივის გადიდება იწვევს ძაბვის ზრდას, მაგრამ არსებით გავლენას არ ახდენს კათოდურ დენის გამოსავლზე.

ელექტროლიზით რკინის ღრუ ნაკეთობათა მიღების
საკითხისათვის

მეტად ხელსაყრელია ელექტროლიზის მეთოდის გამოყენება რკინის ღრუ ნაკეთობათა დასამზადებლად. ლიტერატურაში მოიპოვება მითითებანი უნაკერო მიღების მიღების ცდის შესახებ ფოლადის ღეროებზე რკინის კათოდური დალექვის მეთოდით. შემდგომ ღეროებს დანალექითურთ ახურებდნენ და ტკიცავდნენ ფუძისაგან მიღის მოსაცილებლად [4]. ფოლადის კათოდისაგან მიღის მოცილების გასაადვილებლად ღეროებს წინასწარ ფარავდნენ ტკიცის ფენით. მიზანშეწონილადაა მიჩნეული აგრეთვე რკინის დალექვა შემდგომ გამოსადნობ ტკიცის ფუძეზე [3] ან ტიპოგრაფიულ შენადნობებსა და თუთიის საფუძველზე დამზადებულ კათოდზე [9]. ალუმინის კათოდით სარგებლობისას რკინით დაფარვის შემდეგ ალუმინის ტუტით ამოჭამენ [8]. მაგრამ ყველა ჩამოთვლილი მეთოდი რთულია და დაკავშირებულია დეფიციტური ფერადი ლითონებისა და რეაქტივების დიდ ხარჯთან.

ჩვენ წარმატებით განვახორციელეთ სილუმინის ღეროებზე რკინის კათოდური დალექვის პროცესი და სილუმინის ფუძის შემდგომ გამოდნობით მივიღეთ ღრუ ნაკეთობანი. სილუმინის—ალუმინის შენადნობს სილიციუმთან კარგი სამსმელო თვისებები აქვს და შედარებით დაბალ ტემპერატურაზე დნება. მაღალ ტემპერატურაზე ელექტროლიტური რკინის ნაკეთობის ზედაპირი, ეხება რა გამდნარ სილუმინს, განიცდის ალიტირებას და სილიცირებას, რის გამოც უკეთეს თვისებებს იძენს.

ჩატარდა ელექტროლიზი ხსნარისა, რომელიც შეიცავდა 210 გ/ლ FeSO₄-ს. ელექტროლიტის მოცულობა 700 მლ-ს შეადგენდა. დიაფრაგმად გამოყენებული იყო კერამიკული ფორმვანი ჭიქა. კათოდის მასალას შეადგენდა სილუმინის ღერო (φ=15 მმ), ხოლო ანოდისას—ფოლადი 15. ელექტროლიზი მიმდინარეობდა ელექტროლიტის დულილის ტემპერატურაზე. დენის ძალა უდრიდა 0,97 ამპერს. დენის სიმკვრივე კათოდზე—3,88 ა/დმ², დენის სიმკვრივე ანოდზე—1,21 ა/დმ², ელექტროლიზის ხანგრძლივობა—16,5 საათს. ელექტროლიზის შედეგად კათოდზე გამოიყო 15 გრამამდე ლითონი (დენის გამოსავალი—93%). ძაბვა აბაზანაზე უდრიდა 0,9—1 ვოლტს. ელექტროლიზების ხარჯი 1 კგ კათოდური ნალექის მისაღებად დაახლოებით 2 კვტ-ს შეადგენდა. რკინის ელექტროლიტური ნალექი გლუვი იყო, ღრმულებისა და დენდრიტების გარეშე.

თუჯისაგან დამზადებული ხსნადი ანოდებით სარგებლობისას, ანოლიტის ცირკულაციისა და ფილტრაციის გამოყენებით, შესაძლებელია თანანაწარმის სახით მივიღოთ გრაფიტი, რომელიც თუჯის გახსნის დროს თავისუფლდება.

დასკვნები

ჩატარდა ცდები რკინის გამოსაყოფად ხსნადი და უხსნადი ანოდებით ორგალენტოვანი რკინის სულფატის ხსნარებიდან.

შესწავლილ იქნა დენის სიმკვრივის, ტემპერატურის, რკინის სულფატის კონცენტრაციისა და დანამატთა—ამონიუმის, მაგნიუმისა და ნატრიუმის სულფატების—გავლენა.

დადგენილი იქნა რკინის კათოდური გამოყოფის შესაძლებლობა დენის მაღალი გამოსავლით, განსაკუთრებით $90-100^\circ$ ტემპერატურის დროს.

ელექტროენერგიის ხარჯი ხსნადი ანოდებით სარგებლობისას შეადგენს დაახლოებით 2 კვტს/კგ კათოდურად გამოყოფილ რკინაზე.

ელექტროლიზის წესით დამზადდა რკინის ღრუ ნაკეთობანი. ამ შემთხვევაში სილუმინისაგან დამზადებული საფუძველი კათოდი, რომელზედაც ვახდენდით რკინის ელექტროდალექტას, გამოიდნობოდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 12.12.1954)

დამოუმუშო ლიტერატურა

1. S. O. Maximowitsch. Ein neues Verfahren zur Herstellung des Electrolyteisens Z. f. Electrochemie, v. 11, 1905 pp. 52—53.
2. П. П. Федотов. Электролитическое получение железа с применением нерасторимых анодов. Сборник исследовательских работ, ОНТИ, Ленинград, 1936.
3. В. Энгельгардт. Электрометаллургия водных растворов. ОНТИ, 1937, стр. 189—207.
4. H. E. Cleaves, J. G. Thompson. The metall iron. Alloys of iron monographs. Ney York and London, 1935.
5. М. П. Мелков. Восстановление деталей автомобилей электролитическим остиливианием. Москва, 1954.
6. С. А. Платач. Железные гальваностереотипы. Полиграфическое производство, № 4, 1940, стр. 32—34.
7. Ю. В. Баймаков. Электролиз в металлургии, т. I. Металлургиздат, 1937, стр. 283.
8. А. М. Гринберг. Гальванопластическое изготовление полых точных деталей. Госиздат судостроительной литературы, 1951.



მატალურგია

ვ. თაბაძე, ქ. ფოლიაშვილი და მ. ნაბიქვალიშვილი

**თერმოლური დამუშავების გაცვლენა მარტანულ-ნაციონალური
შენაღების მდგრადიზაზე**

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. გედევანიშვილმა 5. 10. 1954)

მანგანუმ-ნახშირბადიანი სისტემის შენაღნობების შესწავლამ [1,2] დაგვანახვა, რომ $4\%_0$ -ზე მეტი ნახშირბადის შემცველი სხმული ნიმუშები არამდგრადებია, სინესტრის გავლენით იშლება და მათი დაშლის ძირითად მიზეზს მანგანუმის კარბიდი წარმოადგენს.


მანგანუმ-ნახშირბადიანი შენაღნობების დნობისა და მდგომარეობის დიაგრამა ფაზათა გარდაქმნებით ხასიათდება [1]. სხვადასხვა ნახშირბადიანი შენაღნობები ($C=6,78\%$ -მდე) gosFR ხაზის ზევით გახურებისას ერთფაზიანი გMn-ის მყარი ხსნარის მდგომარეობაში გადადის (დიაგრამა 1).

ასეთი შენაღნობების წროთობით მანგანუმის კარბიდები მაქსიმალურად იხსნება, მოწყვით კი ხდება მათი მაქსიმალური გამოყოფა. ვიღებდით რა მხედველობაში, რომ ფაზათა რაოდენობისა და შედგნილობის ცვალებადობა იწვევს შენაღნობის თვისებათა ცვალებადობას, მიზნად დავისახეთ ჩაგვეტარებინა მანგანუმ-ნახშირბადიანი შენაღნობების თერმული დამუშავება და შეგვესწავლა არაწონასწორული (ნაწროთობი) და წონასწორული (მოწყვული) სტრუქტურების მდგრადობა. დნობები ტარდებოდა მაღალი სიხშირის ელექტროლუმელში. დაბალნახშირბადიანი ნიმუშების გამოღნობა წარმოებდა მაგნეზიტის, ხოლო მაღალნახშირბადიანებისა კი გრაფიტის ტიგელში. თხიადი ლითონი ისხმებოდა ერთი ზომის ($10 \times 10 \times 50$ მმ) ლითონის ყალიბებში, ხოლო შემდეგ ცივდებოდა ექსიკატორში.

ვსწავლობდით ნიმუშების მაკრო- და მიკროსტრუქტურას, ფაზათა სისალეებს და ვახდენდით დაკვირვებას მათი დაშლის პროცესზე. შედეგები თავმოყრილია ცხრილში 1.

მანგანუმ-ნახშირბადიანი შენაღნობების სისტემის დიაგრამის (1) მიხედვით თერმულ დამუშავებას ვახდენდით 1100°C . ნიმუშებს ვათავსებდით ფაიფურის მილებში, რომლების ორივე მხარე დახურული იყო თიხისა და შამოტის ნარევით.

წროთობისათვის განკუთვნილ სინჯებს აღნიშნულ ტემპერატურაზე ვაყოვნებდით 5 საათის განმავლობაში (ვაწროთობდით ზეთში), ხოლო მოწვისათვის განკუთვნილ სინჯებს 24 საათის განმავლობაში, რის შემდეგ ვაციებდით ლუმელთან ერთად.



স্টু. ১

সাপ্রেল নির্মাণের প্রয়োজনীয় নির্মাণ পদ্ধতি পরিকল্পনা প্রয়োজনীয় এবং সম্ভব।

মুক্তিগুলি এবং নির্মাণ পদ্ধতি পরিকল্পনা প্রয়োজনীয় এবং সম্ভব।

মুক্তিগুলি এবং নির্মাণ পদ্ধতি পরিকল্পনা প্রয়োজনীয় এবং সম্ভব।

মুক্তিগুলি এবং নির্মাণ পদ্ধতি পরিকল্পনা প্রয়োজনীয় এবং সম্ভব।

প্রয়োজনীয় নির্মাণ পদ্ধতি

নং	নথি নং	জিমিলুরী শেফার্ড নির্মাণ		ডাশলিস ডাস্টিপোস গামরে ডাস্টিপোস			নথি	নথি	জিমিলুরী শেফার্ড নির্মাণ		ডাশলিস ডাস্টিপোস গামরে ডাস্টিপোস				
		Mn %	C %	স্বল্প-লো	মুক্তিগুলি	ডাস্টিপোস			ডাস্টিপোস	ডাস্টিপোস	ডাস্টিপোস	ডাস্টিপোস	ডাস্টিপোস		
১	১	94,6	1,41	—	—	—	১০	১০	93,22	6,36	5	2	18		
২	২	93,02	2,48	—	—	—	১১	১১	89,45	6,4	4	3	13		
৩	৩	93,74	2,57	—	—	—	১২	১২	90,0	6,88	3	2	15		
৪	৪	91,19	4,58	25	5	—	১৩	১৪	92,77	6,77	2	2	10		
৫	৫	91,7	4,21	30	7	—									
৬	৬	92,77	5,28	23	2	27	১৪	১৫	90,0	7,16	2	2	15		
৭	৭	94,30	5,67	10	2	44	১৫	১৬	89,0	7,2	2	2	14		
৮	৮	91,24	6,01	7	2	10	১৬	১৭	88,94	7,27	3	2	15		
৯	৯	93,22	6,22	5	2	18	১৭	১৮	89,19	7,84	2	2	10		

1,41%) მიკროსტრუქტურები სხმულ (სურ. 2), მოწვეულ (სურ. 3) და ნაწრ-
თობ (სურ. 4) მდგომარეობაში ნათელ ჭარმოდგენას გვაძლევს იმ ფაზურ
გარდაქმნებზე, რომელიც მიმდინარეობდნენ თერმული დამუშავების დროს.



სურ. 2

$\times 400$



სურ. 3

$\times 400$




სურ. 4

$\times 400$


სხმულის არაწონასწორული სტრუქტურა მოწვის შედეგად ა-მყარი ხსნარის პოლიედრებისა და შათ ირგვლივ გამოყოფილ მეორეულ კარბიდთა წინასწორულ სტრუქტურაში გადავიდა. წრთობის შემთხვევაში კი ერთგვაროვანი გ-მყარი ხსნარის მთლიანი ფიქსაცია არ მოხდა, ვინაიდან იგი ნაწილობრივ დაიშალა არაწონასწორულ დისპერსიულ სტრუქტურამდე. აღსანიშვანია, რომ ფაზათა მიკროსისალები სხმულ და ნაწრთობ მდგომარეობაში თითქმის ერთიმეორის ტოლია, 1010 H_M და 1080 H_M მოწვეულ მდგომარეობაში კი ა მანგანუმის სისალე დაბალია და 460 H_M არ აღმატება, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ სხმულ და ნაწრთობ მდგომარეობაში სტრუქტურებს ერთი და იგივე არაწონასწორული მდგომარეობა ახასიათებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნაწრთობი ნიმუშის სტრუქტურა უფრო დისპერსიული და კვაზიოზოტროპულია, რაც ნიმუშის განურების დროს ლიკვაციური ზონების გაერთვაროვნებას. უნდა მიეწეროს. 2,57% ნახშირბაზის შემცველი ნიმუშები სხმულ და ნაწრთობ მდგომარეობაში ერთნაირი — ევტექტოლიდური სტრუქტურით ხასიათდება. ნაწრთობი ნიმუშის სტრუქტურა შედარებით დისპერსიულია და შესამჩნევია



გაუხსნელი კ—მყარი ხსნარის პოლიედრების ზღუდეები. ნიმუშის მოწვის დროს მაღალ ტემპერატურაზე ხანგრძლივი დაყოვნებისას (24 საათი) ხდება ევტექტონიდის დაშლა მყარი ხსნარის კრისტალებად და მათ გარშემო დაკრისტალებულ კარბიდებად (სურ. 5).



სურ. 5



სურ. 6

 $\times 400$

ნაწილობრივ ნიმუშებს, რომელიც 4—5% -მდე ნახშირბადს შეიცავს, კარბიდების უფრო დისპერსიული სტრუქტურა აქვთ, ვიდრე სხმულ მდგომარე-



სურ. 7

 $\times 400$ 

სურ. 8

 $\times 400$


ობაში: მოწვეულებს კი კარბილთა შედარებით მსხვილი კრისტალები ახალი აღმოჩენების (სურ. 6, 7 და 8).

ანალოგიურად იცვლება იმ სინჯვათა სტრუქტურებიც, რომელთა შედეგენილობაში ნახშირბადი 6—8% -ია.

დაკვირვებას ვახდენ-დით სხმულ და თერმულად დამუშავებულ ნიმუშთა დაშლის პროცესზე. დაკვირვების შედეგები მოყვანილია პირველ ცხრილში, რომლის საფუძველზედაც აგებულია მანგანუმ-ნახშირბადიანი შენადნობების დაშლის დიაგრამა თერმული დამუშავების სახეობის მიხედვით (სურ. 9).

დაკვირვების შედეგების განხილვა გვიჩვენებს, რომ სხმული ნიმუშების მოწვით შენადნობების მდგრადობა მცირდება, წრთობით კი მათი მდგრადობა საგრძნობლად იზრდება.

მდგრადობის ასეთი ცვალებადობა სინჯვა სტრუქტურების ცვლილებით აიხსნება.



სურ. 9

დასკვნები

1. სხმული ნიმუშების წრთობა ზრდის, მოწვა კი ამცირებს მანგანუმ-ნახშირბადიანი შენადნობების მდგრადობას;

2. შენადნობში ნახშირბადის შეცულობის ზრდასთან ერთად თერმული დამუშავების გავლენა ნიმუშის მდგრადობაზე მცირდება.

საჭართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქტირას მოუვიდა 5.11.1954)

დამოუმზული ლიტერატურა

1. ფ. თავაძე და ქ. დოლიაშვილი. მანგანუმ-ნახშირბადიანი შენადნობების დაშლა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 5, 1954.
2. ფ. თავაძე. მანგანუმ-ნახშირბადიან შენადნობთა სისტემის ბინარული დიაგრამა. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის შრომები, ტ.I, 1947, გვ. 197.



ესპერიმენტული გადაცენა

გ. გზირიშვილი

სისხლის ქლორიდების რაოდენობრივი ცვლილებები ცოორის
ეროვნული გადაკვითის შემდეგ

(ჭარმალია აკადემიის ნამდვილმა წევრმა კ. ერისთავმა 18.4.1954)

ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის ფიზიოლოგიაში ქლორიდების წონას-წორობას ერთ-ერთი ძირითადი აღგილი უკავია.

ქლორიდების შესწავლას სისხლში, საჭმლის ლიმნელებელი სისტემის წვენებში და შარდში როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

დღეისათვეს უკვე დადგენილია, რომ ქლორიდების კონცენტრაციის ცვლილებები საგრძნობლად ცვლის სისხლის ფიზიკურ-ქიმიურ და ფიზიოლოგიურ თვისებებს, მოქმედებს სუნთქვის, საჭმლის მომნელებელი, სისხლძარღვოვანი სისტემისა და სექსუალური სფეროს ძირითად ფუნქციებზე.

უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვას მიეძღვნა მრავალი ექსპერიმენტული და კლინიკური ხასიათის ნაშრომი, რომლებმაც ნათელი მოვალეობის ამ საინტერესო საკითხის შესწავლის საქმეს.

მიუხედავად მრავალრიცხვოვანი შრომებისა, ცოორის ნერვების გავლენა ქლორიდების ცვლაზე ლიტერატურაში სუსტადაა გაშუქებული.

1948—49 წელს ვსწავლობდით ცოორის ნერვების გადაკვეთის შემდეგ თირკმლის ფუნქციას. ჩვენ მიერ აღნიშნული იყო, რომ ვაგოტომიის შემდეგ მკვეთრად მცირდება შარდში ქლორიდების კონცენტრაცია [6]. ასეთივე შედეგები აქვს მიღებული ე. ა ს რ ა ტ ი ა ნ ს [1], რომლის დასკვნითაც ვაგუსი წარმოადგენს თირკმლის ექსპრეციულ ნერვებს, რომელთა გადაკვეთა იწვევს დიურეზის შემცირებას და ქლორიდების კონცენტრაციის მკვეთრ დაკლებას.

1950—51 წელს, როდესაც ვსწავლობდით კუჭის წვენის მუავობასა და ქლორიდებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, გარკვეულ იქნა, რომ ვაგოტომიის შემდეგ, ქრება რა კუჭის წვენში თავისუფალი მარილნებად, ქლორიდების კონცენტრაცია კუჭის წვენში თითქმის უცვლელი რჩება, ე. ი. ქლორიდების ჭარბი რაოდენობის არსებობისას კუჭის სეკრეციულ ჯირკვლებს არ აქვთ უნარი მოახდინონ თავისუფალი მარილებას სინთეზირება.

ვინაიდან ქლორიდების განსაზღვრა შარდსა და კუჭის წვენში ასეთ საინტერესო შედეგებს იძლეოდა, ჩვენ შევისწავლეთ სისხლში აღნიშნული კომპონენტის რაოდენობრივი ცვლილებები ცოორის ნერვების გადაკვეთის შემდეგ.

საკითხის გასარკვევად დედები ნაწარმოებია ცხრა ძალლზე. უპირველეს ყოვლისა ვახდენდით ცხოველების წინასწარ შესწავლას: ვაკვირდებოდით მათ

ზოგად მდგომარეობას, მაღას, ვაძლევდით საკვების განსაზღვრულ ულუფას, თვალყურს ვადევნებდით მათი კუჭის მოქმედებას.

საცდელი ცხოველების ნაწილს (ძალლი № 1,2) გაკეთებული ჰქონდა კუჭის ფისტულა ბასოვის წესით და, გარდა სისხლის ქლორიდებისა, ისწავლებოდა კუჭის სეკრეციული, ექსკრეციული, მოტორული და ევაკუაციური ფუნქცია, კუჭის წვენის ქლორიდები, საერთო და არაცილოვანი აზოტი, სისხლში ნარჩენი აზოტი, შარდის ზოგიერთი ბიოქიმიური მაჩვენებელი, მათ შორის ქლორიდებიც.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილული იქნება მონაცემები სისხლში ქლორიდების წონასწორების შესახებ როგორც ვაგოტომიამდე, ისე ვაგოტომიის შემდეგ.

ანალიზისათვის სისხლს ვიღებდით ყურის ვენიდან და ქლორიდებს ვსაზღვრავდით მორის მეთოდით.

ნორმალურ ცხოველებზე ჩატარებული ცდებით გამოირკვა, რომ ქლორიდების რაოდენობა სისხლში საშუალოდ $350-450$ მლგ % -ის ფარგლებში მერყეობს. ასევე დადგენილ იქნა, რომ ოპერაციული ჩარევები (კუჭის ფისტულის დაცება და გულმკერდის გახსნა) თითქმის არავითარ გავლენას არ ახდენს სისხლის ქლორიდების რაოდენობაზე. ასეთი კანონზომიერების დადგენის შემდეგ ცხოველებზე ვაწარმოვეთ ტრანსთორაკალური ორმხრივი ვაგოტომია.

ვაგოტომიის შემდეგ სისხლს ანალიზისათვის ვიღებდით ოპერაციის მე-2-3 დღიდან 5—15 დღის შუალედებით. დაკვირვება ნაწარმოებია რვა თვის განმავლობაში (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1

სისხლის ქლორიდები ვაგოტომიამდე და მის შემდეგ

ქლორიდების რაოდ. ვაგოტომიამდე	ვ ა გ ა ტ ა მ ი ი ს შ ე მ დ ე ბ										
	მე-4 დღე	თ ვე	მე-12 დღე	მე-20 დღე	თ ვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	6 თვე	თ ვე	
ძალლი № 1 415 მგრ %	744,66	723,384	617	425	336	397,6	411,336	397,52	439,7	353	397,62
ძალლი № 2 390 მგრ %	687,9	560,3	612,58	390,06	468	461,5	—	388,06	383	—	348,24

ცდებით გამოირკვა, რომ ვაგოტომიის პირველ ხანებში ვითარდება მკვეთრად გამოხატული ჰიპერქლორემია, რომელიც ერთი თვის მანძილზე თანდათან სწორდება და 1—2 თვის შემდეგ ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება. ანონიშნული მოვლენა განუვითარდა ყველა ცხოველს, გარდა ერთისა (ძალლი № 30), რომელსაც ვაგოტომიის შემდეგ პირისლებინება და ფალარათობა დაეწყო და სისხლში მკვეთრად გამოხატული ჰიპოქლორემია განუვითარდა.

ლიტერატურული მასალის ანალიზით და ჩვენი დაკვირვებების საფუძველზე შევეცდებით ავხსნათ ვაგოტომიის შემდეგ სისხლში ქლორიდების მატების მექანიზმი.

ლ. ა მ ბ ა რ ი ს მონაცემებით, ორგანიზმში ქლორიდების შეკავებას და ჰიპერქლორების, ორგანიზმის მუვე-ტუტიანობის წონასწორობის აციდოზისაკენ გადახრა მოსდევს. თუ გავიხსენებთ ჩვენსავე მონაცემებს, ირკვევა, რომ ვაგოტომიის შემდეგ აღინიშნება მუვე-ტუტიანობის წონასწორობის აციდოზისაკენ გადახრა [7]. ამრიგად, ჰიპერქლორების და თანდართული აციდოზი, რომელიც ვაგოტომიის შემდეგ გვაქვს, ერთმანეთს აპირობებენ და, ამბარის გამოკვლევების თანახმად, ერთმანეთის გამომწვევი მიზეზებია.

საერთოდ, როდესაც საქმე გვაქვს ჰიპერქლორებიასთან, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ქლორიდების გამოყოფა ძირითად ორგანოებს—თირკმლებს. სხვადასხვა ფიზიოლოგიურ ჰირობებში (მარილიანი საკვები, მარილით დატვირთვა და სხ.). ნორმალურ თირკმლებს შეუძლია ქლორიდების კონცენტრაცია შარდში 100-დან 1200 მგრ ٪-მდე გაზარდოს. ფოლგარტის, შტრაუსისა და ვიდალის მიერ თირკმლების ექსკრეციული ფუნქციის დაქვეითების შემთხვევებში აღწერილია ორგანიზმში ქლორიდების შეკავება და ჰიპერქლორებია. რაც შეეხება მძიმე ურემიული მდგომარეობის დროს არსებულ ჰიპოქლორებიას, იგი უნდა აიხსნას იმ ფალარათობითა და ჰირისლებინებით, რომელიც ამ დაავადებას ახასიათებს. აღნიშნულთან ერთად თუ გავიხსენებთ ჩვენს და ასევე ე. ასრატიანის მონაცემებს, რომ ვაგოტომიის შემდეგ თირკმლის ექსკრეციული ფუნქცია და შარდში ქლორიდების რაოდენობა მკვეთრად მცირდება, ვაგოტომიის შემდეგ ჰიპერქლორების ერთ-ერთ მიზეზად თირკმლების ფუნქციის დაქვეითება უნდა ვალიაროთ.

როგორც ლ. ლუკაციევერი აღნიშნავს, სისხლის ქლორიდების კონცენტრაციაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს კუჭის სეკრეციული აპარატის მდგომარეობას. მაგ.: ანაციდური დაგომარეობის დროს სისხლში ქლორიდების ჭარბი რაოდენობაა [5]. ვ. ბ ე რ ნ შ ტ ე ი ნ ი, რომელსაც შეუსწავლია მუცლის ქირუგიული დაავადებების დროს ქლორიდები, აღნიშნავს, რომ ყველა პერაციულ ჩარევას ჰიპოქლორებია სდევს, გარდა კუჭის ტოტალური რეზექციისა და გასტროექტომიისა, როდესაც ჰიპერქლორებია აღნიშნება, რასაც იგი კუჭის გამოთიშვით სსნის. ცნობილია, რომ ვაგოტომიის კუჭის წვენის მეავობის ძლიერი შემცირება და ზოგჯერ ანაციდური მდგომარეობაც კი მოსდევს, რაც შეიძლება ჰიპერქლორების ერთ-ერთი მიზეზი იყოს.

ამრიგად, ზემოთ აღწერილი მსჯელობის შემდეგ იმ დასკვნამდის მივდივართ, რომ ვაგოტომიის შემდეგ განვითარებული ჰიპერქლორების მიზეზი ორგანიზმიდან ქლორიდების გამოყოფის შეფერხებაა. აღნიშნულის სადემონსტრაციო ცირკულაციის ჩავატარეთ დამატებითი ექცერიმენტები.

საცდელ ცხოველებს (ძალი № 1) ჩავუტარეთ მარილით დატვირთვა. დილით გასეირნების შემდეგ ძალი აყვანილ იქნა საცდელ მაგიდაზე, აელო სისხლი, ხოლო შემდეგ უკანა კიდურის ვენაში გაუკეთდა 40 კბ. სმ 10% NaCl. სისხლი აღებული იყო ყოველი 15 წუთის ინტერვალებით 1 საათის განმავლობაში. შედეგები მოცემულია მეორე ცხრილში, რომლიდანაც ირკვევა, რომ ვენაში ჰიპერტონიული ხსნარის შეყვანა იწვევს ჰიპერქლორების, რომელიც 30—40 წუთის შემდეგ ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება.



ასეთივე ცდა ამავე ცხოველებზე გამეორებულ იქნა ვაგოტომიიდან 10 დღის შემდეგ. შედეგები მოცემულია მეორე ცხრილში, საიდანაც ირკვევა, რომ ჰიპერტონიული ხსნარის შეყვანის შემდეგ სისხლში მატულობს რა ქლორიდების კონცენტრაცია, იგი ნორმალურ მდგომარეობას არ უბრუნდება თითქმის ორი საათის განმავლობაში, ე. ი. ვაგოტომიის შემდეგ ქლორიდების გამოყოფა ორგანიზმიდან შეფერხებულია.

ცხრილი 2

ქლორიდები სისხლში 30 კუბ. მმ 10% NaCl-ის ვენაში შეყვანის შემდეგ

ვაგოტომიამდე ქლორიდები 397,152 მგრ %	NaCl შეყვანა გრამ	15 წ. 709,44 მგრ %	30 წ. 524,882 მგ %	45 წ. 432,512 მგ %	60 წ. 418 მგრ %	
ვაგოტომიამდე შემდეგ 10 დღე- ქლორიდები 617 მგ %	30 კ. მ. 10. 30 გ. გ.	967,36 მგ %	744,66 მგ %	723,36 მგ %	838,38 მგ %	თრი საათის შემდეგ 716,42 მგ %

როგორც რიგი ავტორები—ვ. ბერნშტეინი [2], ლ. ლუკანცევი რი [3] და სხვები—აღნიშნავენ, რომ ქლორიდების შეწოვა ძირითადად წვრილი ნაწლავების საშუალებით ხდება. ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორი ინტენსივობით ხდება ქლორიდების შეწოვა ვაგოტომიის შემდეგ, რის გასარკვევადაც კუჭის ფისტულიან ძალაზე ასეთი ცდები ჩავატარეთ: ვაგოტომიამდე კუჭის ფისტულადან შეყუყანეთ ძალლს 10% მარილსნარი 150 კბ. სმ რაოდენობით და შევისწავლეთ სისხლის ქლორიდები ყოველი საათის შეუალებებით. ცდებით გამოირჩეა, რომ კუჭში ასეთი ხსნარის შეყვანის 30—45 წუთის შემდეგ ქლორიდების რაოდენობა სისხლში მატულობს. ამავე ცხოველზე აღნიშნული ცდა ვაგორდა ცონილი ნერვების გადაკვეთიდან 8 დღის შემდეგ და გამოირჩეა, რომ ვაგოტომიის შემდეგ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მარილით დატვირთვა იწვევს სისხლში ქლორიდების მომატებას თითქმის ისეთივე ინტენსივობით, როგორც ვაგოტომიამდე (ცხრილი 3).

ცხრილი 3

ქლორიდები სისხლში, კუჭის ფისტულიდან 10 % 150,0 NaCl შეყვანის შემდეგ

ვაგოტომიამდე ქლორიდები 390 მგ %	NaCl- შეყვანა გრამ	30 წუთი 560,268 მგ %	45 წუთი 679,732 მგ %	1 საათი 687,924 მგ %	1,5 საათი 524 მგ %
ვაგოტომიის შემდეგ მე-8 დღე ქლორიდები 617 მგ %	150,0 კუჭ- ნაწლავის გრამ	632,66 მგ %	632,66 მგ %	709,2 მგ %	832,92 მგ %

ჩატარებული ცდებით ირკვევა, რომ ვაგოტომიის შემდეგ საჭიროის მომნელებელი სისტემიდან ქლორიდების შეწოვა იმგვარადვე წარმოებს, როგორც ვაგოტომიანდე, ხოლო ქლორიდების მოხმარება (კუჭის წვერის სინთეზისათვის) და მისი გამოყოფა (თირკმლების საშუალებით) შეფერხებულია, რაც აპირობებს ვაგოტომიის შემდეგ სისხლში ქლორიდების მატებას.

წარმოდგენილი მასალისა და ჩატარებული ცდების საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. ცთომილი ნერვების გადაკვეთის შემდეგ ორგანიზმში ვითარდება სუს. ტად გამოხატული ჰიპერქლორემია, რომელიც დაახლოებით 20—30 დღის განმავლობაში ნორმას უბრუნდება;

2. ვაგოტომიის შემდეგ განვითარებული სუსტად გამოხატული ჰიპერქლორემია კუჭისა და ოირკმლების ფუნქციის დაკვეთების შედეგია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ექსერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა
და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 18.4.1954)

დამოუკიდული ლიტერატურა

1. Э. А. Астратян. О влиянии блуждающего нерва на функцию почек. Бюллетень экспер. биол. и медицины, т. IX, в. 4, 1940.
2. В. С. Бернштейн. О профилактике и лечении гипохлоремии. Вестник хирургии, т. 79, кн. 1, 1950.
3. С. Я. Капланский. Кислотно-щелочное равновесие. Медгиз, 1940.
4. Н. И. Кравчинский. Физиология почек. Медгиз, 1949.
5. Л. С. Луканцевер. Хлорный обмен и секреция пищеварительных желез. Киев, 1939.
6. А. З. Гзиришвили, Г. А. Гзиришвили. Функция почек после двусторонней ваготомии (на груз. языке). Труды Ин-та экспер. и клин. хир. и гематологии АН Груз. ССР, т. III, 1951.
7. А. В. Антелава и Г. А. Гзиришвили. Некоторые биохимические показатели в моче до и после ваготомии (на груз. языке). Труды Ин-та эксп. и клин. хирургии и гематологии АН ГССР, т. IV, 1953.



ხელოვნების ისტორია

ლ. შერევაშვილი

**„ვეფხისტურისი“ 1646 წლის ხელნაზერის მინიატურების
ავტორობის შესახებ**

(ჭარმიადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ჩუბინაშვილმა 14.7.1954)

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულია № H 599 დასურათებული ხელნაწერი—შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტურისანი“, რომელიც ჭარმიადგენს აღნიშნული პოემის უძველეს ნუსხას დღეისთვის ცნობილ ნუსხათა შორის.

ხელნაწერი გადაწერილია ქალალდზე. იგი შეიცავს 267 ფურცელს. გარდა ძირითადი ფურცლებისა, რომლებიც ტექსტის რვეულებში შედის, კიდევ ჩაწებებულია 39 ცალკე ფურცელი მინიატურებით მთელ გვერდზე. ფურცლების ზომა 27×19 სმ უდრის. ტექსტი შესრულებულია მხედრულით, დამუშავებული, კალიგრაფიული ხელით, შავი მელნით, სათაურები და ტაქტების დასაწყისები კი სინგურითა დაწერილი.

როგორც გვიჩვენებს ხელნაწერში არსებული ჩანაწერები, რომლებიც მოყვანილია საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერების აღწერილობაში ([1], გვ. 52), პოემის ტექსტი გადაწერილია 1646 წელს მამუკა მიიქნის მიერ, ტყვეობაში ყოფნის ფრონს¹.

1634 წელს მამუკა ტყვედ ჩაუვარდა ლევან II-ს. ლევანის კრჩე ტყვეობაში ყოფნისას მამუკას მისი ბრძანებით რამდენიმე წიგნი გადაუწერია, მათ შორის განსახილველი ხელნაწერი H 599 (იხ. ცნობები მამუკა თავაქალაშვილის შესახებ ([2], გვ. 243 და სხვა).

ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მოსაზრება, რომ მამუკა თავაქალაშვილი იყო არა მხოლოდ გადამწერი პოემისა, არამედ მხატვარიც და მის მიერ შესრულებულია H 599 ხელნაწერის მინიატურები ([3], გვ. 285; [4], გვ. 136, 151; [5], გვ. 191—192; [6], გვ. 263; [7], გვ. 4). ზოგიერთ სხვა ნაშრომში ეს ვარაუდი მიღებულია დაღვენილ ფაქტად ([8], გვ. CXLII და ტაბ. II—XIII).

მაგრამ მასალების შესწავლა არამცო არ აღასტურებს ამ აზრს, არა-მედ გარევეულად უარყოფს მას.

არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ, თუ მინიატურები შესრულებული იქნებოდა ტექსტის გადამწერის მამუკას ხელით, ამ შემთხვევაში მინიატურე-

¹ მამუკა მდივანი—თავაქალაშვილი (იგივე თავაქარაშვილი) ცნობილია როგორც პოეტი და მთარგმნელი. მის კალამის ეკუთვნის „შავნამეს“ ნაწილის თარგმანი ლექსიდ. მას შთამომაც-ლობით ჰქონდა მეფის მდივნის წოდება იმერეთის სამეფო კარზე.

ბისადმი დართული და მათ ქვემოთ მოთავსებული განმარტებითი წარწერებიც და მით უფრო თვით მინიატურებში შემავალი ტექსტის სტრიქნები (მაგალითად, გრავილზე, რომელიც მწერალს უჭირავს, ფ. 1 v) დაწერილი იქნებოდა მისივე ხელით.

ნაწერთა ხელის შედარება—1) პოემის ტექსტისა, რომელიც შესრულებულია მამუკა თავაქალაშვილის ხელით (იხ. სურ. 1, ტაბულის I სვეტი), 2) მინიატურებში შემავალი ტექსტისა, რომელიც უდავოდ ამ მინიატურების შემსრულებელი მხატვრის ხელითაა შესრულებული (ტაბულის II სვეტი) და ბოლოს, 3) მინიატურების ქვემოთ მოთავსებული განმარტებითი წარწერების ტექსტისა (ტაბულის III სვეტი) შემდეგ სურათს გვაძლევს: ტექსტები თვით მინიატურებში და მინიატურების ქვემოთ მოთავსებული განმარტებითი წარწერები შესრულებულია ერთი ხელით, ე. ი. მინიატურების მხატვრის ხელით, ამასთანავე ამ ტექსტების ხელი, რომელსაც ზოგიერთი საერთო ნიშანი აქვს პოემის ტექსტის ხელთან, რაც მათს თანადროულობას მოწმობს, არსებითად განსხვავდება მისგან ცალკე ასოების მონახაზის, მათი დახრის, მათი ურთიერთშორის დაკავშირების მანერის მხრივ და საგრძნობლად ჩამორჩება მას კალიგრაფიის მხრივ.


ამით საგვებით გამორიცხულია შესაძლებლობა ვარაუდისა, თითქოს ტექსტები მინიატურების ქვემოთ და მინიატურებში იმავე წელით იყოს შესრულებული, რომლითაც შესრულებულია პოემის ტექსტი, ე. ი. მამუკა თავაქალაშვილის ხელით.

იმის სასაწებელოდ, რომ მამუკა მხოლოდ პოემის გადამწერი იყო და არა მისი ილუსტრატორი, ლაპარაკობს აგრეთვე შემდეგი გარემოება: მინაწერში, ფურცელზე 210r, წერია: „ლმერთო, შეიწყალე ამის მწერალი მამუკა მდივანი“. აქ მამუკა თავის შესახებ ლაპარაკობს მხოლოდ როგორც გადამწერზე და არა როგორც მინიატურების მხატვარზე.

ფურცელზე 267 v მოყანილია გადამწერის ჩანაწერი (იხ. [1], გვ. 52), რომელშიც დაწვრილებით არის აღნიშნული გადაწერის დაწყებისა და დამთავრების დრო, მუშაობის პირობები („ტყვეობაშიდ ესწერდი“), ჩამოთვლილია რვეულების და მათში, შედარდებით, ფურცლების რაოდენობა (8 ფურცელი რვეულში), მაგრამ სრულიად არ არის ნახსენები მინიატურები, რომლებიც ცალკე ფურცლებზეა შესრულებული და დამატებითად ჩაკრული ხელნაწერის რვეულებში, ტექსტის შესაფერის ადგილებში.

ერთ მინიატურაზე (გვ. 252r) გამოსახულია მაგილასთან მჯდომი კაცი, რომელიც წერს ქალალდის ფურცელზე. ამ მინიატურის ქვემოთ მოთავსებულია განმარტებითი წარწერა: „აქ ამისი მწერალი მდივანი მ[ა]მ[უ]კა სწერ[ს] და ვინც ეს...“ შემდეგ წარწერა ჩამოჭრილია. როგორც ეს წარწერა მიუთითებს, მინიატურაზე გამოსახულია თვითონ მამუკა. ამასთანავე ამ წარწერაშიც მას კვლავ მხოლოდ მწერალი ეწოდება და არა მხატვარი.

მამუკას რომ ტექსტის გადაწერის გარდა მართლაც შეესრულებია მინიატურებიც, ეს უდაოდ ასახული იქნებოდა ერთ-ერთ ტექსტში მაინც, რომელშიც მამუკა მოხსენებულია მწერლად.



რომ მამუკა საერთოდ არ იყო მხატვარი, დასტურდება მეორე, მის მიერ 1647 წელს გადაწერილი „ზააქიანის“ ხელნაწერით (S1594 საქ. სახ. მუხ.), რომელიც „შავ-ნამეს“ ნაწილის პროზაულ თარგმანს წარმოადგენს. ამ ხელნაწერის ბოლო გვერდზე, ისევე როვორც H 599 ხელნაწერში, არის მა-
მუკას მინაწერი, შესრულებული ტექსტისავე ხელით (ჩართულია ტექსტის ბო-
ლო ნაწილში):

I	II	III	IV	I	II	III	IV
უ ს მ ი ს	უ ს მ ი ს	უ ი	უ ს	ე მ	ე მ	უ ს მ ი ს	უ ს მ ი ს
კ უ რ	ჭ	ჭ	ჭ	ს	ს	ს	ს
დ ა რ	ბ	ბ ჭ ჭ	-	ტ ტ	-	ტ ტ	-
ჭ ჭ	ღ ღ	ღ ჭ ჭ ჭ	ღ ჭ	უ უ	უ უ	უ უ	უ უ
ჭ უ რ ე ბ რ ე	ა ე ა ა	ა ე ა ა	ა ე ა ა	ჭ ჭ	ჭ ჭ	ჭ ჭ	ჭ ჭ
ჭ უ რ ე ბ რ ე	ვ უ ვ	ვ უ ვ	ვ უ ვ	ჭ ჭ ჭ ჭ	ჭ ჭ ჭ ჭ	ჭ ჭ ჭ ჭ	ჭ ჭ ჭ ჭ
-	-	-	-	ვ	ვ	ვ	-
თ თ ა მ	თ	თ თ ა მ	თ თ ა მ	ჭ ჭ ჭ ჭ	-	ჭ ჭ ჭ ჭ	ჭ ჭ ჭ ჭ
თ	თ	თ	თ	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-
-	-	-	-	რ	რ	რ	-
ჭ ჭ ჭ	-	ჭ ჭ ჭ	-	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-
ჭ ჭ ჭ	-	ჭ ჭ ჭ	-	ჭ ჭ ჭ ჭ	ჭ ჭ ჭ ჭ	ჭ ჭ ჭ ჭ	ჭ ჭ ჭ ჭ
ა ა მ	-	ა ა მ	-	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-
ჭ ჭ	-	ჭ ჭ	-	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-
6	6 6 6	6	6	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-
-	-	-	-	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-
ჭ ჭ ჭ	-	ჭ ჭ ჭ	-	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-
ა	ა	ა	ა	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-
-	-	-	-	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-
2	2	2	2	უ უ უ უ	უ უ უ უ	უ უ უ უ	-

სურ. 1

„აქა გათავდა ეს წიგნი ბრძანებითა ხელმწიფის დადიანის ბატონის ლევანისათა და ხელითა შამუკა თავაქალაშვილისათა...“

შემდეგ არის ტექსტის ფრაზის დამოლება, რის შემდეგ, ისევ შავი მელ-
ნით, სტრიქონის შეუწყვეტლად წერია: „დაწერა ქორონიკონსა სამას ოცდა

თხუთმეტსა, თვესა ივლისა ოცდა შეიდსა გათავდა“ (მინაწერი მოყვანილია [2], გვ. 243). ამ მინაწერშიც მამუკა არც ერთ სიტყვას არ ამბობს თავის თავზე როგორც მხატვარზე, თუმცა ამ ხელნაწერშიც ბევრი მინიატურაა.

S 1594 ხელნაწერის ყველა მინიატურა, გარდა ორისა, რომლებიც ტექსტის შემდეგაა ჩაწერებული (მათ შესახებ ქვემოთ), თუმცა სტილისტიკურად უახლოვდება ერთმანეთს, მაგრამ ამავე დროს მათი შესრულების განსხვავებული მანერა, შედარებით მაღალი თუ დაბალი ოსტატობა და კოლორიიტი გვიყარნახებს, რომ ეს მინიატურები ერთი მხატვრის ხელს არ ეკუთვნის. მინიატურები შეიძლება მიეკუთვნოს ოთხ მხატვარს მაინც. S 1594 ხელნაწერის მინიატურების შემსრულებელი ყველა მხატვარი (გარდა, იქნებ, ერთი მხატვრისა, რომელსაც დასურათებული აქვს ხელნაწერის ბოლო ნაწილი) თავისი ოსტატობით H 599 ხელნაწერის მინიატურების ავტორზე გაცილებით დაბლა დგას.


H 599 ხელნაწერის მინიატურები მამუკას რომ ეკუთვნოდეს, მაშინ გაუგებარი იქნებოდა, თუ რად არის მის მიერვე გადაწერილი მეორე ხელნაწერი (S 1594) დასურათებული მამუკას მიერ კი არა, არაშედ სხვა, ამასთანავე გაცილებით ნაკლები ოსტატობის მქონე, მხატვრების მიერ.

გარდა მინიატურებისა, რომლებიც მოთავსებულია ტექსტიან ფურცლებზე, S 1594 ხელნაწერის ბოლოში, ტექსტის შემდეგ მომდევნო უკანასკნელ ფურცლებზე, დართულია მთელ ფურცელზე მოთავსებული 2 მინიატურა (147r და 148r).

პროფ. ა. ბარამიძის წერილში ([9], გვ. 204) ნათქვამია, რომ „მისივე (ე. ი. მამუკას, ლ. შ.) მინაწერებით შემკულია ორი ილუსტრაცია“. საფიქრებელია, რომ იმისა მტკიცებამ, რომ მინიატურების ქვემოთ მოთავსებული ეს განმარტებითი მინაწერები შესრულებულია მამუკას ხელით, საბაბი მისცა მკვლევართ თვით მინიატურები მიეწერათ მამუკასთვის, რასაც ვხედავთ ფირფლუსის გამოცენის კატალოგში ([10], გვ. 20, 62)⁽¹⁾. მაგრამ, მამუკას მიერ შესრულებული ხელნაწერის ტექსტის ხელის შედარება 147r და 148r ფურცლების მინიატურების მინაწერების ხელთან ცხადყოფს, რომ ეს მინაწერები მამუკას ხელს არ ეკუთვნის (შეადარეთ ტაბულის I და IV სეგტები) და ამიტომ ამაზე დამყარებული მტკიცება, რომ ეს მინიატურები მამუკას ეკუთვნის, უკუიგდება. მინიატურები 147r და 148r ფურცლებზე საგსებით განსხვავდება S 1594 სხვა დანარჩენი მინიატურებისაგან. ამასთანავე, ისევე როგორც უკანასკნელთ, საერთო არაფერი აქვთ H 599 ხელნაწერის მინიატურები, რომელიც საგსებით განსხვავდებან პირველთაგან როგორც სტილითა და ოსტატობის დონით, ისე ნახატითა და კოლორიტით.

⁽¹⁾ თუ დაგუშვებთ, რომ მინიატურები S 1594 ხელნაწერის 147r, 148r ფურცლებზე შესრულებულია მამუკას მიერ, მაგრინ სრულიად გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ მას ეკუთვნოდეს H 599 ხელნაწერის მინიატურები, რომელიც საგსებით განსხვავდებან პირველთაგან როგორც სტილითა და ოსტატობის დონით, ისე ნახატითა და კოლორიტით.

ტურები 147r და 148r ფურცლებზე ყველაზე მეტად უახლოვდება XV ს. მინიატურებს H 1665 და განსაკუთრებით H 75 ხელნაწერებში (საქ. სახ. მუზ.).



სურ. 2. მინიატ. H 599-დან



სურ. 3. მინიატ. S 1594-დან ფ. 147r.

ქალალი, რომელზედაც შესრულებულია 147r და 148r ფურცლების მინიატურები, განსხვავდება ხელნაწერის ქალალდისაგან ხარისხითაც, ფურცლის ფორმატითაც ($22 \times 16,6$, ნაცვლად 30×20 სმ). ეს მინიატურებიანი ფურცლები ჩაწებებულია ხელნაწერის ფურცლებში ამოჭრილ სწორკუთხედ „ფანჯრებში“. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ 147r და 148r ფურცლების მინიატურები არამც თუ არ არის შესრულებული მამუკას მიერ, არამედ თავდაპირველად არც ეყუთვნოდა S 1594 ხელნაწერს. ისინი, როგორც ეს ხშირადაა ქართულ ხელნაწერებში (ზაგ. H 1665, H 75), აღებულია უფრო აღრინდელი ხელნაწერიდან და ჩაწებებულია უფრო გვიანში.

S 1594 ხელნაწერის 147r და 148r მინიატურების სტილისტიკური სიახლოეს XV საუკუნის მინიატურებთან (H 1665 და H 75) ნათლად აღასტურებს პროფ. ა. ბარამიძის ([9], გვ. 207) შემდეგ დასკვნას:

„ფირდოსის „შაპ-ნამეს“ ახლადაღმოჩენილი პროზაული ვერსიის ფრაგმენტი უნდა უსწრებდეს „როსტომიანის“ გალექსვის პერიოდს და, მაშასადამე, XV საუკუნის პირველი ნახევრის გვიანდელ დროისად მაინც არ უნდა ჩაითვალის.“

და ბოლოს, მამუკას ავტორობის უარმყოფელია თვით ხელნაწერის H 599 მინიატურები.

საქართველოში გვიანდეთ დალურ ხანაში, კერძოდ XVII საუკუნეზე, ფეოდალთა წრისათვის დამახასიათებელია მიდრეკილება ყოფაცხოვრებაში ირანული კულტურისადმი, ირანული ფუფუნების საგნებისა და ხელოვნების ნაწარმოებებისადმი, ირანული გემოვნების გეზი ([11], გვ. 253). აქედან— შესამჩნევი გავლენა ირანული ხელოვნებისა ქართულ ხელოვნებაზე, კერძოდ, ტექსტის გაფორმებაზე და ხელნაწერების ილუსტრაციებზე.

მამუკა თავაქალაშვილი გამოსულია წარჩინებულ აზნაურთა გვარიდან, რომელშიც მეფის მდივნის საკარისკაცო წოდება მემკვიდრეობით გადაღიოდა. როგორც იმერეთის მეფესთან უალრესად დაახლოებული ერთ-ერთი კარის-კაცი, რომელიც ტყვეობაშიც იმყოფებოდა სამეგრელოს მთავრის ლევან II-ის კარზე, ე. ი. საქართველოს ერთ-ერთი ძლიერი მთავრის კარზე, მამუკა, უდა-ოდ, ფეოდალური საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელია, რომე-ლიც მიიღო ტყველი ირანული კულტურისაენ და იზიარებდა ამ ფენის გემოვნე-ბასა და იდეოლოგიას. ეს, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ ასახულიყო H 599 ხელნაწერის მინიატურებში. თუკი მამუკა მათი ავტორი იქნებოდა, ისინი. თავისი მხატვრული ხასიათით, დაუახლოვდებოდნენ ირანული მიდრეკილების მინიატურების წრეს, იმ ტიპისას, როგორიცაა საქ. სახ. მუხ. ვეფესისტყაოს-ნის (S 5006 [3]—ტაბ. 188), იოსებ ზილიხანინის (S 1283 [3]—ტაბ. 187), ვისრამიანის (S 3702) ილუსტრაციები.

ამრიგად, ყოველივე ზემონათქვამი საფსებით ცხადყოფს, რომ მამუკა თავაქალაშვილი არ ყოფილი და არც შეიძლება ყოფილიყო H 599 ხელნაწე-რის მინიატურების ავტორი.

ამიტომ გასაგებია, რომ არც ერთ მკვლევარს, რომელიც თავდაპირვე-ლიდ მუშაობდა H 559 ხელნაწერზე—არც ე. თაყაიშვილს [13], არც დ. გორ-დევეს [14], არც კ. კეკელიძეს [3]—არც უვარაუდიათ, რომ ამ ხელნაწერის მინიატურები მამუკას მიერ ყოფილიყოს შესრულებული. ამგვარი მტკიცება მოკლებულია საფუძველს, მას უარყოფენ ფაქტებიც.

მამუკა თავაქალაშვილი—პოეტი, მთარგმნელი ირანულიდან, კალიგრაფი და გარისკაცი—არ არის H 599 ხელნაწერის მინიატურების ავტორი.

მაგრამ ამ შემთხვევაში ვინ უნდა ყოფილიყო ეს მხატვარი, რა სოცია-ლურ ფენას ეკუთვნოდა იგი?

ამას ერთგვარ შექმნა ფენს შემდეგი გარემოება: H 599 ხელნაწერის ერთ-ერთ მინიატურაზე (252r), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გამოსახულია თვითონ პოემის გადამწერი მამუკა თავაქალაშვილი. გადამწერის გამოსახვა ჩვეულებრივი მოვლენა არ არის ქართულ ხელნაწერთა ილუსტრაციების რე-პერტუარში. იმ შემთხვევაში, როდესაც მინიატურებში, გარდა ამ ნაწარმოებ-ში მოქმედი პირებისა, გვხვდება კიდევ სხვა რამე გამოსახულებები, ეს ჩე-ულებრივ არის ამ ნაწარმოების ავტორის პორტრეტი ან ხელნაწერის შემკვე-თელის პორტრეტი, ზოგჯერ კი ორივესი ერთად. განხილულ H 599 ხელნა-წერში პირველ მინიატურზე გამოსახული არიან პოემის ავტორი შოთა რუს-



თაველი და ლევან II დადიანი, რომლის პრეზენტაციაც მამუკამ გადაწერა ჟენევის ხელნაწერი¹.

მამუკა რომ იყოს არა მხოლოდ გადამწერი, არამედ მხატვარიც, მაშინ გასაგები იქნებოდა მისი სურვილი ერთ-ერთ მინიატურაზე (გვ. 252r) თავისი თავი გამოიხატა პოემის გადაწერის პროცესში.

მაგრამ, როგორც ზემონათქვამიდან გამოირკვა, მამუკა არ არის მინიატურების ავტორი. ისმება საკითხთა როგორ მოხდა, რომ მამუკა, პოემის უბრალო გადამწერი, ამასთანავე ტყვე, გამოსახულია ერთ-ერთ მინიატურაზე?

ლევან II-ის ზემომოყვანილ სიგელში ([12], გვ. 52) მის კარისკაცთა შორის მოხსენებულია „მეფის მდივანი“ მამუკა თავაქალაშვილი. ეს მოშობეს, რომ, ნიუხედავად ტყვეობისა, მამუკას გარკვეული მდგომარეობა უკავია ლევან II-ის კარზე და იგი ატარებს მეფის მდივნის სანემკვიდრო წოდებას.

ის გარემოება, რომ H 599 კოდექსის დამსურათებელი მაატევარი ათავსებს გადამწერ მამუკას გამოსახულებას და მის სახელს აღნიშნავს განმმარტებელ წარწერაში, ამავე დროს თავის თავს ნებას არ აძლევს არამცუ მოათავსოს თავისი გამოსახულება, არამედ თავისი სახელიც კი ახსენოს, მიუთითებს შემდეგზე: ჯერ ერთი, მას ლევან II-ის კარზე მეტად უმნიშვნელო აღგილი უჭირავს. გარდა ამისა, იგი შესაძლოა დამოკიდებულ, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფება H 599 კოდექსის გადამწერი მამუკას მიმართ.

1634 წელს ბალანდთან ბრძოლის დროს როდესაც მამუკა ჩავარდნილა ტყვედ, ტყვედ იქნა წაყვანილი მრავალი იმერული და კაზელიც (იხ. 1647 წლის სიგელი [15], გვ. 463).

ვინაიდან თავის ტყვეობამდე მამუკას იმერეთის სამეფო კარზე თვალსაჩინო აღგილი ეჭირა, მას, როგორც ყოველ კარისკაცს, თავისი დაახლოებულნი და მსახური უნდა ჰყოლოდა. საფიქროებელია, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო მამუკას მიერ გადამწერილი H 599 ხელნაწერის ილუსტრატორი. ამ შემთხვევაში გასაგებია, რომ იგი ტყვეობაშიც თავისი ბატონის—მამუკას მსახურად იყო და მისი პორტრეტი მოათავსა ერთ-ერთ მინიატურაზე, მიუხედავად იმისა, რომ მამუკა პოემის გადამწერის არათვალსაჩინო როლს ასრულებდა.

H 599 ხელნაწერის მინიატურები თავისი სტილით ძლიერ განსხვავდება ამ დროის სხვა ქართული ხელნაწერების დახვეწილი კალიგრაფიული მინიატურებისაგან, რომელთაც ირანის ხელოვნების ზეგავლენის კვალი ემჩენევა და იმდროინდელი საქართველოს ფეოდალური საზოგადოების მაღალი წრის გემოგნებაზე ლაპარაკობენ.

H 599 ხელნაწერის მინიატურები თავისისუფალია უწინ გამომუშავებული სქემებისაგან, იყონოვანული შაბლონებისა და შტამპებისა და უცხოური გავლენისაგან. ისინი თუმცა შესრულებული არიან პრიმიტიულად, არამაღალი პროფესიული ოსტატობით, მაგრამ მეტყველი და თავისთავადნი ირან და

(1) ამ მინიატურის ფრაგმენტი მოცემულია დ. გორგევის წერილში ([14] – ჩართული ტაბულა), ხორც მთლიანად მინიატურა მოთავსებულია შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორიაში“ ([3], ტაბულა 189).

ამით იჩენენ მიღრეკილებას წმინდა ხალხური ხელოვნების ნაწარმოებებისადმი. ეს თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ H 599 ხელნაწერის უცნობი მხატვარი საზოგადოების უმაღლესი კლასის წარმომადგენელი კი არ არის, არამედ ხალხის წიაღიდანაა გამოსული.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი
 თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 15.7.1954)

დამოწმებული ლიტერატურა

1. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტომი II, თბილისი, 1951.
2. ჭ. კეგელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, მესამე გამოცემა. თბილისი, 1952.
3. III. Я. Амиранашвили. История грузинского искусства, т. I, Москва, 1950.
4. მ. ამირანაშვილი. შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში, გნომების მოამბე, ტ. III, თბილისი, 1938, გვ. 135—155.
5. მ. ამირანაშვილი. ქართული საერთო მხატვრობის წარმოშობის საკითხისათვის. „ქართული მწერლობა“ № 6—7, თბილისი, 1927, გვ. 175—207.
6. III. Я. Амиранашвили. „Витязь в тигровой шкуре“ и древнегрузинское искусство. Сборник «Шота Руставели и его время». М., 1939, стр. 237—269.
7. შ. ა. ამირანაშვილი. «Витязь в тигровой шкуре» в грузинской миниатюре газ. «Заря Востока», 1937 г. 17 мая, № III (4132).
8. შ. თ. თ. უ. ს. თ. ა. ვ. ე. ლ. ი. ვეფხისტყაოსანი. რედაქცია და წინასიტყვაობა ს. კაკაბაძისა. თბილისი, 1927.
9. ა. ბ. რ. ა. ბ. ი. გ. შავ-ნამეს ახლადაღმოჩენილი ქართული პროზაული ვერსია. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, წ. 1, თბილისი, 1935.
10. Выставка Фирдоуси и грузино-иранские связи в литературе и искусстве. Каталог. Гос. Музей Грузии и Музей Искусств „Метехи“, Тифлис, 1934—1935.
11. Г. Н. Чубинашвили. Иранские влияния в архитектуре Грузии. III международный конгресс по иранскому искусству и археологии. Доклады. Ленинград, 1935, М—Л, 1939.
12. ს. კაკაბაძა დ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. წ. I, თბილისი, 1921.
13. Е. С. Такайшвили. Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. II, вып. 1—4, Тифлис, 1906—1912.
14. Д. П. Гордеев. Иллюстрации к поэме Шота Руставели. ж. „Феникс“, № 1, Тифлис, 1918, стр. 1—4.
15. თ. უ. რ. დ. ა. ნ. ი. ქრისტიანი, წ. II, თბილისი, 1897.

მთ. რედაქტორი აკად. ნ. მუსხელიშვილი



წელმოწერილია დასაბეჭდად 19.5.1955; შეკვ. № 570; ანაწყობის ზომა 7×11 ;
ქაღალდის ზომა 70×108 ; სააღრიცხვო-საგამომც. ფურცლების რაოდენობა 6;
ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 5; უე 03071; ტირაჟი 800.



დებულება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა პრადემის მოამბის“ შესახებ

1. „მოამბეში“ იბეჭდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი მუშა-კებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოყლედ გაღმოცემულია მათი გამოკვლევების მთავარი შედეგები.
2. „მოამბეს“ ხელმძღვანელობს სარედაციით კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.
3. „მოამბე“ გამოდის ყველთვიურად (თვის ბოლოს), გარდა ივლის-აგვისტოს თვისა — ცალკე ნაკვეთებად, დაახლოებთ 5 ბეჭდური თაბაზის მოცულობით თითოეული. ერთი წლის ყველა ნაკვეთი (შეულ 10 ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტრმს.
4. წერილები იბეჭდება ქართულ ენაშე, იგივე წერილები იბეჭდება რუსულ ენაშე პარალელურ გამოცემაში.
5. წერილის მოცულობა, ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა იღემატებოდეს 8 გვერდს. არ შეიძლება წერილების დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.
6. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები უშუალოდ გადაეცემა დასახელდად „მოამბის“ რედაქციის, სხვა ავტორების წერილები კი იბეჭდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის წარმოდგენით. წარმოდგენის გარეშე შემოსულ წერილებს რედაქცია გადასცემს აკადემიის რომელიმე ნიმუშით წევრის ან წევრ-კორესპონდენტის განსხილველად და, მისი დადებითი შეფასები შემთხვევაში, წარმოსადგენად.
7. წერილები და ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იქნეს ავტორის მიერ სავსებით გამზღვებული დასახელდად. ფორმულები მყაფიოდ უნდა იყოს ტექსტში ჩაწერილი ხელით. წერილის დასახელდად მიღების შემდეგ ტექსტში არავითარი შესწორებისა და დამატების შეტანა არ დაიშვება.
8. დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად სრული: საჭიროა ალინიშნის უზრანალის სახელწოდება, ნომერი სერიისა, ტრმისა, ნაკვეთისა გმოცემის წელი, წერილის სრული სათაური; თუ დამოწმებულია წიგნი, საგალდებულოა წიგნის სრული სახელწოდების, გამოცემის წლისა და აღვილის მითითება.
9. დამოწმებული ლიტერატურის დასახელება წერილის ბოლოში ერთვის სიის სახით. ლიტერატურაზე მითითებისას ტექსტში ან შენიშვნებში ნაჩვენები უნდა იქნეს ნომერი სიის მიხედვით, ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში.
10. წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა უნდა აღნიშნოს სათანალო ენებზე დასახელება და აღილმდებარება, დაწესებულებისა, საღაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსულის დღით.
11. ავტორს ეძლევა გვარდებად შეკრული ერთი კორექტურა მეცნიერად განსაზღვრული ვადით (ჩვეულებრივად, არა უმეტეს ერთი დღისა). დადგენილი ვადისთვის კორექტურის წარმოუდგენლობის შემთხვევაში რედაქციის უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა, ან დაბეჭდოს იგი ავტორის ვაზის გარეშე.
12. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი წერილის 50 ამონაბეჭდი (25 ამონაბეჭდი თითოეული გამოცემიდან) და თითო ცალი „მოამბის“ ნაკვეთებისა, რომლებშიც მისი წერილია მოთავსებული.

სამართლის მისამართი: თბილისი, ძმაშინების ქ., 8

СООБЩЕНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР, Т. XVI, № 6, 1955